

ბატონ-ემანი

საქართველო გი

რუსეთთან შეერთებამდის.

K 144/9
1/α



ისტორიული გამოკვლევა

ა. ხახანაშვილისა.



ტფილისი, 1890 წ.

საქართველოს მთავრობის მ. ა. მესხევას და ს. ა. პოლიტიკისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Января 1890 года.

წინასიტყვათბა

აკტორი გარგად ჰურმნოს, ორმ გამოგვლევა მისი
ბატონი ემოსის შესახებ სუსტი და დაუმთავრებელია. მან
განიზრასა თავის წერილების ცალება წიგნად გამოცემა იმ
აზრით, ორმ კრიტიკას მისცეს საშუალება უფრო ადგი-
ლად გადაათვალიეროს და უჩვენოს გამოგვლევის ნაკლუ-
ლევანებანი.

აკტორი ისარგებლებს დამფასებელთა შენიშვნებით,
ორმ შესებული და შესწორებული გამოსცეს იგივე გა-
მოგვლევა რესულს ენაზედ.

ამ წიგნის დამატებად პირველად იბეჭდება წერილი:
„ქართული ფული მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებისა“.

ბატონ-ყმობა საქართველოში

რუსთან შეერთებამდის.

I

ბატონ-ყმობას საქართველოში ჰქონდა ბევრი საერთო მხარე ამ გვარსაცე წყობილებასთან ევროპასა და რუსეთში. ფეოდალობასაფათ¹⁾ იგი არ არის საკუთრება გერმანელ და რომაელ ერებისა, არამედ იგია მსოფლიო ამბავი, რომლის კერძო განსხვავებანი დამოკიდებული არიან ერის ხასიათზედ და იმის ისტორიულ განვითარების სვე-ბედზედ. ჩვენს ყურადღებას მივაქცევთ როგორც ერთ ნაირს შედევს, აგრეთვე განმასხვავებელ ელემენტებსაც, რომელიც ჩვენებურმა ბატონ-ყმობამ შეიხორცა, გამოიხატა ჩვენს მეფეთა კანონებში და განხორციელდა ცხოვრებაში.

ბატონ-ყმობა ყველგან და ყველთვის იყო პირველად აშენებული მამულის მფლობელობის ნია-

¹⁾ Происхождение феодализма. П. Виноградовъ, 83. 3. Родовое устройство Дагестана, М. Ковалевский. „Юрид. В.“ 1888, ХII, გვ. 524.

დაგზედ. მას ედო საჩიულად ეკონომიური დამოკიდებულება მამულის პატრონთა და მის მკეთებელთა შორის, იგი აშენდა პირველად მატერიალურს უფლებაზედ და მხოლოდ შემდევ ჩვეულებით მიღებული დედა-აზრი განმოციცებულ იქმნენ იურიდიულის სანქციით. ამ საფუძველზედ დაიბარნენ კოლონატი რომის იმპერიაში, ვასალიტეტი საშუალო საუკუნეებში რა ბატონ-ყმობა რუსეთში. ჩვენშიც ბატონ-ყმობას ჰქონდა იგივე დასაწყისი, დამყარებული მამულის მფლობელობაზედ.

თუ ახლო დავაკვირდებით ბატონ-ყმობას, მასში აღმოვაჩენთ, გარდა ამ ეკონომიურის საფუძველისა, პოლიტიკურს მიზეზსაც, რომელიც გახდა აგრეთვე ბატონ-ყმობის შემოქმედ ძალად. ძველის დროებისაგან დარჩენილ ჩვეულების გამო ომში ძლეული მძლეველის მონაც, ყმად გახდებოდა ხოლმე. გამარჯვებული ძლეულს უყურებდა, როგორც უსულო ნიერი (res), ან პირუტყეს, და, მოკლებული ყოველს კაცობრიულს ლირსებას, იგი გათანასწორებული იყო ხარითანა და ცხენთან. ფრაზების კანონებში ვკითხულობთ დადგინდებას, რომელიც თანასწორად იხსენიებს პარუტყესა და ყმას: „თუ ყმამ, ან ყმის ცოლმა, ან ცხენმა, ან ხარმა“... სასჯელი ერთ ნაირია ამათ-თვის.

ეს კაცის დამამცირებელი. ჩვეულება—ტყვის მო-

ნად წაყვანა²⁾) — ჩეენში ამ საუკუნის დასაწყისამდე
ძალიან იყო გავრცელებული, ძეელს ბერძნებთან ჩეე-
ნი წინაპარნი სხვათა შორის ამ ცოცხალის საჭინ-
ლითაც აღებ-მაცემობდნენ³⁾). გრძოლაში დარჩენილ
დაცლასა და ტყვეს სახელმწიფო ჰერთლა თავს და
კერძო პატრონთა შორის. ასე გაიყვეს დორიელებმა
ილოტები ძეელს სპარტაში. პატრონი ნაბოძებ ტყვეს
ჰერთლიდა სახლში და ჰერთა აღებ-მაცემობის საგ-
ნად, როცა იგი აღარ აძლევდა იმედს გამოსარჩომ
სამსახურისას. კატანი, რომაელთა მწერალი, ურჩევს
ბატონებს, ამ გვარი გამოუსადევარი მონა ჩქარა მო-
იშორონ თავიდამ. აქედვან წარმოსდგა მეორე სათავე
მონობისა, სურდა-გასურდვა ტყვედ აყვანილის კაცისა.
ჩეენში ნასყიდი მონა უკეთესს მდგომარეობაში იყო,
ვიდრე ტყვე: ტყვე, ამბობს ვახტანგ მეფე, „სურულ-
ზე უფრო ყმა არის“ (ვახ. კანონები, § 254), მაგრამ
რა განსხვავება იყო მათ შორის, ამისი ცნობა არ
მოიპოვება.

მესამე სათავეს ბატონ-ყმობისას წარმოადგენენ
თავისუფლად შესულნი პატრონის მფარველობის ქვეშ:

²⁾ Курціусъ. Исторія Греції, I, 341—2; Brosset, Introduction, 82. Прор. Іезекіиль. Эзехіель. XVII, 13—14. Крест. гуд., 26; Церк. Г., გვ. 153.

³⁾ აღბულას კანონები, § 91 (ქართულ ქრისტომატიაში და
ჩეენის უკილისა; რესულს უნაზედ § 92).

ესენი იუნენ უცხო ტომთა ჩამომავალი, ან სხვა
შეჩიდვან მოსული უძამულონი, როგორც რომავლ
ა. კურატები, რომელიც არსებობისათვის გაცხა-
რებულს პრინციპი ცატრონსა და მფარ-
ელს⁴). თუ ერთის მხრით პოლიტიკური ღელვა ატან-
და ძალას უცხო კაცს შესულიყო ძლიერის კაცის
მფარელობის ქვეშ, მეორეს მხრით ეკონომიკური ხელ-
მოკლეობა, უმამულობა ხდიდა იმას მიწის მფლო-
ბელის ყმად. აქედან მიწათ-მფლობელი იყო ბატო-
ნიცა და პატრონიც უთვის ტომო, უმამულო, გადმო-
დარდნილის გლეხისა, რომელიც ბატონის მიწის შემ-
ბუშავებელისაგან ბოლოს ყმალაც გადიქცა. ერთის
სიტყვით, ეკონომიკურმა მდგომარეობამ გახდა თავის-
უფალი კაცი ყმად. აგრეთვე ტყვის ყმად გადაქცევა-
ში ამ ეკონომიკურს საფუძველს უპირატესობა ეძლე-
ბა პულიტიკურ მიზეზთან შედარებით: ტყვე გახდა
მონად და ყმად იმიტომ, რომ იმისი ძალა-ლონე გა-
მოსადეგი იყო პატრონისთვის მიწის შესამუშავებლად,
სახლში მოსახმარისად, და არა უსარგებლო საგანს
წარმოადგენდა აღებ მიცემობისათვის.

⁴) Я прибыл изъ Эрзерума, азотомъ грузинскому, и
такъ какъ не имѣлъ земли, то отдалъ себѣ въ крестьян-
ство Мцхетскому Собору („Кавказъ“, 1864 г., № 84).
გორგიშვილი მიდის ყმად თუმანიშვილთან, რადგან ბატონი არა
მყავდა სხვა მხრიდგან მოსულსათ (Крестьян. грам., 59; იხ.
კილევ ცერков. гудж., გვ. 19, 153; Brosset. Introd., 82).

ჩეენ არა ვართ იმ აზრისა, რომ უკელა ისტორიული ამპავი და მოულენა ავტენიათ ეკუნომიურს ნიაღაგზედ დაბადებულ მიზეზით. ჩეენ ვამბობთ, რომ ამ საპუთს დიდი ძალა ჰქონდა ბატონ-ყშობის სათავეში და განვითარებაში; ამასთანავე ვალიარებთ, რომ იმისი გაძლიერება იყო. შედევი მთავრობის განკარგულებისა, ხელმწიფოს სურვილისა: ბოქება მამულისა გლეხებითურთ ეკულესია-მონუსტრებისთვის, ბატონ-პატრონებისათვის გახდა უაღრეს საგძლად ბატონ-ყმრ. ბის მხელელობაში. შემდეგ პოლიტიკური და ეკონომიური გარემოებანი მხარ და მხარ პმოქმედობინენ ამ წეს-წყობილების გასამტკაცებლად.

II

ბატონების უძრავს ქონებას შეადგენდა, გარდა მამულისა (მამეული, დედეული, საგვარეულო მიწა-წყალი), მეფის ნაწყალობები, „ნაბოძები“. უკანასკნელი შეადგენდა არა სრულს საკუთრებას პატრონებისას, არამედ ლროებითს სასარგებლოს, ჯილდოს სამხედრო ანუ სამოქალაქო მოღვაწეობისათვის, მეფისა და ტახტის ერთგულებისათვას. მეფე გიორგი აძლევს (1584 წ.) თავისს ერთგულს ყმას ჯანდიერი-შეილს დიდის ხის სასარგებლო სამარხურისათვის ოც-და ცხრა კომლს გლეხს „ყოველის იმათის შეძლე-

ბით⁶). მეფე ლუარსაბი აძლევს შალიკაშვილს სოფ. აპანოს იმ სამსახურისათვის, რომელიც შალიკაშვილმა გაუწია მეფეს ქვიშხეთში, როცა თითონ ხანს ეომებოდა⁶). მეფე თეომურაზი აძლევს ბარათაშვილს ერთს ოჯახს გლეხისას ჯილდოდ ოტია ბეჭაშვილის დაჭერისთვის⁷).

მეფე აძლევდა მამულს მეფის შვილებს საუზღისწულოს (უდჭე), თავად-აზნაურებს, მოქალაქეებს⁸) და ეკკლესია-მონასტრებს სულის მოსახსენებლად. მეფე ერეკლე ურბნისის სობოროს სწირავს მამულს გლეხებით, რათა ყოველს წელიწადს იმის სულა-სათვის აღაპი გაჰმართონ (Церк. г. 1789 №.)⁹). მეფის შვილები (ბატონიშვილები) თავის მხრივ აძლევდნენ მამულს ხაუფლისწულოდამ (Двор. гр., გვ. 6, 23). ბატონებიც ასახლებდნენ გლეხებს ბოძებულს მამულ-

⁵) Двор. гр., 3; оѣ. კოდევ დ. აქტი 1586 №., 1602 №., 1622 №., 1629 №. („за преданность царскому дому“), სიგელი 1654 №., 1656 №. „заботились о престолѣ и царствѣ“), 1746 №.

⁶) Двор. гр., გვ. 4., оѣ. კოდევ ი.в. სიგელი 1633 №., 1692 №., 1693 №. (გურამიშვილი), 1764 №., 1798 №.

⁷) Дв. гр., გვ. 6, 12; სიგელი 1733 №., 1801 №.

⁸) მეფე ლუარსაბი აძლევს ქალაქის ამინს სოფ. ქაშლა-ჩის (Дв. г., 1602 №.), საუფლისწულო (Двор. гр., 23).

⁹) оѣ. Цер. г., 1519 №., 1477 №., 1495 №. (გვ. 132), 1499 №., 1618 №.

ზედ. უმაღლეს პატრონალ ბოძებულის მამულისა ითვ-
ლებოდა ჯერ მეფე-პატონი, მერე ბატონ-პატრონი და
შემდეგ დროებითის სარგებლობის უფლება რჩებოდა
მის შემშევებელს. „ნაბოძების“ გადაცემა დროე-
ბითს პატრონს არ შეეძლო: თუ საბატონო რამ იყოს,
ამბობს მეფე ვახტანგი: ან ბატონს ებოძებინოს, იმას
უერ გასცემს, ბატონს უნდა ჰქითხოს, ბატონზედ ჰქი-
ლია (ვახტ. კანონები, № 233; ალბულ. კანონები, №
76). როგორც ვასსალი თავის სიუზერენის დაუკით-
ხავად ვერ განაგებდა მამულს, აგრეთვე ჩვენშიაც ამ
გვარსავე წესსა და ჩვეულებას მისდევლნენ, ვასსალს
ჰქონდა dominium utile, სიუზერენს dominium di-
rectum.

როგორც დასაცლეთს ეკრპაში კონტრაგენტე-
ბის — მამულის მფლობელისა და იმის შემშევებე-
ლის — გამოცელით საჭირო იყო ხელ-წერილის გან-
მეორება ინვესტიციურით და ჰამაფით, აგრეთვე ჩვენ-
შიაც ახალის მფლობელს მიეცემოდა განახლებული
სიგელი და გუჯარი მამულის ხმარებისათვის¹⁰⁾. გან-
მეორების განსამტკიცებლად დროებითა მფლობელი
აძლევდა ბატონს რაიმე სასყიდელს (გურიაში 500
მარჩილს) და წინად ბოძებული მამული უკან უბრუნ-

¹⁰⁾ ცер. გუდж., 12, 96, 97, 125, 126; ქვემოთ, გრ.,
გვ. 22; Акты Кавказ. Арх. Ком., т. I, гв. 2, 8, 15.

დებოდა¹¹⁾). ყმა (ვასალი) აძლევდა პარობას ერთგულის სამსახურასას¹²⁾. მეფეს უფლობა ბატონზედ და ამ უკარასკნელისა მამულის ღროვებითს მფლობელზედ იქიდამა სჩანს კილევ, რომ „ამოვარინილი“ (ვიმორიჩიე) მამული უბრუნდებოდა ან მეფეს, ან ბატონს, ან ეკულესის, ერთის სიტყვით; იმას, რომ ლისაგანაც მიღებული პქონდა მიწა-წყალი¹³⁾. მეფე და ბატონი ამ ამოწყვეტილის შამულს არიგებდნენ სურვილისავებრ¹⁴⁾ მაშასადამე, მეფე ბატონს, ბატონი მიწის შემმუშავებელთ უყურებდნენ, როგორც ღროვებითს მფლობელებს. სიგელისა და ვუჯარის განახლება, სახყიდვის მიცემა ხელ-წერილის განმეორებაში ცხადად ამჟაკიცებს ამ გვარს ხასიათს მიწის მფლობელობისას.

მამული (მამეული) უდრის რუსების „вотчи-на“-ი, „ნაბოძები“ — „пожалованное поместье“-ი.

¹¹⁾ Археолог. путешествие по Гуріи и Адчарѣ, Бакрадзе, გვ. 297, 302.

¹²⁾ Двор. гр., გვ. 17, 19, 22, 43. Церк. гудж., 11, 29. Археолог. пут., 299, 305, 318.

¹³⁾ I. cit. „Вымороочный имѣнія переходятъ къ помѣщику, который распоряжается по своему усмотрѣнію“, Двор. гр., 23. მედ. დასავლეთ ეპროპაში. Визинскій. Папство и свящ. имперія.

¹⁴⁾ ნახე ბაკрадзе. Археол. путеш., 305.

„ნაბოძები“ რუსეთშიაცა და ჩვენშიაც ექვეოდათ იმ პირობით, რომ სამხედრო და სამოქალაქო მოვალეობა ¹⁵), საზღვრების გამაგრება მიეღოთ თავის თავზედ ამ „ნაბოძებით“ გაბეჭნიურებულთ. რასაკვირველია, „ნაბოძები“ ამ შემთხვევაში გადადიოდა შთამომავლობაზედ მხოლოდ მაშინ, როცა მამრობითი მემკვიდრე რჩებოდა ¹⁶). დედაკაცს არ შეეძლო შეესრულებინა ის უპირატესი მოვალეობა, რომელიც დაკავშირებულია ლაშქარ-რმიანობასთან. ამიტომაც პირეელად რუსეთშიაცა და ჩვენშიაც მდედრობითი სქესი მოკლებული იყო უფლებას დამკვიდრებულიყო „ნაბოძებს“ მამულში. ვახტანგ მეფე ბრძანებს, დედაკაცს „მამულთან“ ხელი არა აქვს, ბატონისა არის... თუ შეიძლი ¹⁷) ვკავს, მამულს ვერავინ წაართმევს, შვი-

¹⁵⁾ ასე იყო ევროპაშიაცა და რუსეთშიაც. Roth. Beneficial wesen Feudilitat, 333.

¹⁶⁾ მამრობითს მემკვიდრეობას უქევს რელიგიური საფუძველი. ქველს რომესა და სახერმნეოში მხოლოდ ვაჟიშვილი იყო მემკვიდრე და მასთანავე მამის მომხსენებელი ღმერთების (ლარების წინაშე). ამას ჭვალს ვხედავთ აწ ისებსა და სესხებში. სვანი ექებს მემკვიდრედ ვაჟიშვილს, რომელმაც უნდა მოიხსენიოს მამის სული „ივერია“, 1888 წ., № 118. Ковалевский. Древній законъ и совр. обычай, т. I. гл. II. შეად. Fustel de Coulanges. La cité antique и Мэна. Древній законъ и обычай.

¹⁷⁾ ვახტ. კანონები, § 231; ვახუშტის იუტორია, გვ. 5.

ლისა არის¹⁸⁾). პილიტიკურმა გარემოებამ, ეკონომიკურმა მოთხოვნილებამ, კაცობრიულმა გრძნობამ ამ ჩეეულებას მოულო ბალო, მამეული და ნაბოძები (ვოტჩინა და „პომხსტე“) გააერთა და ორივე გახდა¹⁹⁾ ბატონის საშეილიშვილო, სამკვიდრო ქონებად²⁰⁾). ნაბოძებისა და მამულის გაცემის უფლება თანასწორად მიეცა ბატონს, იგი გახდა „ნაბოძების“ პატრონისაკან მამულის ბატონად.

მამულზედ, ნაბოძებზედ დასახლებული იყო ნასყიდი, ანუ ვალ-გადუხდელად დარჩენილი გლეხი, სახასო, ანუ ნაბოძები გლეხი და ყმა. სხვის მამულზედ მოსახლ-კარე გლეხები განიყოფებოდანენ სამ სახედ, ანუ კლასად: სახელმწიფო ანუ სახასო, საბატონო ანუ საპატრონო, საეკკლესიო (ანუ სამონასტრო. გლეხებში განირჩეოდნენ მსახური, ნასყიდი, ნაბოძები, ვალ-გადუხდელი, თავის ნებით შესული და რთული ტიპი ყმა. ვახუშტი მსახურს არჩევს გლეხთაგან, მაგრამ ამ უკანასკნელთა შორის იგი ვერ ჰქოულობს განსხვავებულს ეკონომიკურს ყოფას. „ხოლო

¹⁸⁾ პეტრე დიდის კანონით 1714 წ. (о единовластии) „ВОТЧИНА“ და „ПОМХСТВЕ“ გაერთდნენ.

¹⁹⁾ წინად-კი მეტისა ანუ ბატონის დაუკითხავად ვერ მოხარებდა. ქ. გრ. 31.

²⁰⁾ შვილი, ეს იგი ვაჟიშვილი. ამას შეეძლო მამის მოვალეობა აესრულებინა და მამულიც ამას რჩებოდა.

სოფლიერნი, აშბობს ვახუშტი: 1) ერისთავნი; 2) მთავარნი; 3) აზნაურნი; 4) ვაჭარნი; 5) მსახურნა და 6) მუშაკნი გლეხნი („ისტორია“, 83. გვ-4).

III

მსახური (serviteur) იყო დაახლოებული პირი ბატონისა (княжий слуга Русской Правды). მსახურთუხუცესი იყო მესამე ხარისხის ხელის უფალი²¹). მათ ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა, როგორც ministerial-ს გერმანელ ერთა შორის. მსახური იდგა გლეხსა და აზნაურს შორის, მისი სისხლი ლარდა 1200 თეთრი²²), თუ იგი მისსა პატრონსა აზნაურის შეილად ჰყევს²³). ვახტანგის კანონით, მისი სისხლი ორჯელ მეტად ლირდა, ვიდრე გლეხისა: პირველის სისხლი ლირდა 240 მან., მეორესი 120 მან²⁴). ესე იგი მსახურის სისხლი ლირდა იმდენადვე, რამდენადაც მთავარ-დიაკონისა და მესამე ვაჭრის სისხლი²⁵). მსახური

²¹⁾ Wakhoucht. Géogr., 19.

²²⁾ ალბულას კან., § 8 და 10.

²³⁾ თეთრი — ერთი შაჟრია. Brosset. Hist. de la Géorgie, Introd., 81.

²⁴⁾ ვახტანგის კან., §§ 32 და 33. Brosset. introd., p. 101.

²⁵⁾ ვახტანგის კანონები, § 32.

ხშირად გადადიოდა აზნაურთა წოდებაში²⁶). ქულის მაგიერად ძველად გლეხის სისხლში აძლევდნენ ძრო- ხებს. „გლეხის კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი, რომე ერთის გლეხის სიკუდილისთვის ხამოცი ძროხა იყო გაჩენილი“. ესე იგი თითო ძროხა ორის მანეთის ფასად იყო დაცებული. შემდევ სისხლის ფატმა იმა- რა. მეოე ერეკლეს დადგინდით (1786 წ.) თუშის, ანწუხისა და ქართლელის სისხლი 30 თუმნამდე ავა- და, რათა მოესპო კაცის კვლა და ავაზაკობა.

ნესეიდი (പულნაი ხოლოპა). ვალის გადასახდელად, ანუ სხვა გაჭირების გამო გლეხი გაიყიდდა თავის თავს და ამით აძლევდა ბატონს უფლებას მოეხმარა იგი, როგორც ნახყიდი ყმა. „ანუ სყიდნენ თავის ცოლშეილს, უფროსს ვაჟა შვილს“ სახლობით²⁷), იგი გაიყიდდა თავს ტრულის თავის ჩამოშავლობით, საუ- კუნოდ, სამკეიდროდ (ერ. გრ., 7). თავის გასყიდვაში პირობას ძალებდა და სიგელით მტკიცდებოდა მი- სი თავისუფალი მოქმედება, რომ იგი ხელს იღებს თავისუფლებაზედ და ხდება ბატონის ყმად („на вѣ- чныя времена“). ასე იყო რუსეთშიაც, სადაც თავის გამსყიდველი გლეხი აძლევდა პირობას „работать на землевладельца безъисходно, вѣчно“. მე-XVII საუკ.

²⁶) გახტანგის კანონები, § 18.

²⁷) Кресть. гр., გვ. 9, 15, 30. Brosset. Introd., 82. განსყიდველი იღებდა ფულს, რამდენზედაც გულს და ჯირებდა. ერ. გრ., 73.

ხელ-წერილით მონად აძლევდა ბატონს მთელს ჩა-
მომავალს შტო²⁸⁾). მე-XVII საუკუნემდე არა გვაქვა
ცნობა, რომ საქართველოში ყმად თავის გასყიდვა
ყოფილიყოს გაერცეს ებული ჩვეულებად. პირველი ყმა
ბატონისა იყო ტყვედ აყვანილი კაცი, რომელიც ვან-
ტანგის კანონით „სყიდულზედ უფრო ყმა არის“
(ვახტ. კანონები, § 254). რამდენად ძველია ჩვეუ-
ლება ყმად თავის გასყიდვისა, არ ვიცით, ეს-ვი შე-
ვვიძლიან ვსოდეთ, რომ ვიორგი მეფის კანონებმა
სრულებით არ იცის ბატონ-ყმობა. აღმულამ მხო-
ლოდ ომში იცის დარჩენილი ტყვე, მავრამ იმის
მდგომარეობაზედ არას გვაუწყებს. შესანიშნავია ერ-
თი მუხლი²⁹⁾ აღმულას კანონებისა: „თუ გლეხისა
სხესა წარმავალსა გასწიოს ანუ მოგვაროს შინა იგი
გლეხი და მის ხელთა მისცეს იგი გლეხი, რომელ-
საცა, ნუცა გლეხი გლეხს მკვიდრად იტჩის მართებს,
არცა სყიდვისა იგი ღრასა, ოდესცა შან ანუ ნასყიდ-
მან კაცმან იშოვნოს, რცა გამოელოს, ანუ მკვიდრ-
მან ბატონმან მიუშოროს, აღილოს და კაცი გაუ-

²⁸⁾ Запись 1687 г. „жить мнъ за господиномъ съ
женою и дѣтьми, а по мнъ и внучатамъ моимъ“. В.
Ключевский. „Рус. М.“ 1886, 1887 г. Крѣп. право.

²⁹⁾ აღმულას კანონები, § 72.

შვას“. ამ მუხლის აზრის გაგება ფრიად ძნელია; ეს-
ჭი, თუ არ ვცდები, შეგვიძლიან ქსოვათ, რომ ნა-
სყიდვ გლეხს აღმულა დროებით ყმადა ჰედის, იგია
nexus, დროებითი მოვალე და უნდა განთავისუფლ-
დეს, როცა ვალს გადაიხდის. ამ გვარი დამოკიდებუ-
ლება რუსეთშიაც იყო ცნობილი (закладничество,
закупъ).

ვფიქრობ, რომ ძველად ყმად თავის გასტიდვა
არ იყო ხშირი ჩვეულება. თუით ვახტანგ მეფე არა
ჰქმარობს „ნასყიდს“ გლეხს მე-204 მუხლამდე შემ-
დეგ ვხედავთ როგორც ნასყიდს, აგრეთვე „ნაქირავე-
ბელ“ კაცს, რომლის სწსხლი ბატონს „არ ემართლე-
ბა“, თუ იგი კაცი გავზავნილი სალაშქროდ, ან წყალ-
ზედ მოკვდეს³⁰⁾). სიგეუებიც ვლეხის მიერ თავის თა-
ვის გასყიდვისა ეკუთვნის XVII საუკ.

არ შეგვაძლიან არ შეერთოთ აქ გავლენა ბერ-
ძენთა კანონებისა³¹⁾, რომელმაც, როგორც ვნახავთ,
საშინელი ბეჭედი დასვა მე-204 მუხლიდამ დაწყებუ-
ლი. როგორც აღმულას კანონები გვიჩვენებენ და სი-
გელები გვიმტკიცებენ, პარველი საფუძველი ყმობისა,
გარდა ტუისა, რომელიც შეუცილებელი ყმა იყო

³⁰⁾ ვახტაგის კანონები, § 229.

³¹⁾ ბერძენია კანონებს დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთზე-
დაც. ჩვენში სახერმნეოდგან გავრცელდა პრინციპები რომაელთა
უფლებისა.

ზატონისა, დასღო ეალის ამღებშა, ოომელიც ფალის
გადახდის შემდეგ უნდა განთავისუფლებულიყო.

ნასყილ-ნაბოძები თავისუფლად შესულისავან
ეტყობა განირჩეოდა, რაღვანც პარაბაში, ოომელ-
სც სდებენ ბატონი და ნასყილი, ანუ თავისუფლად
შესული, არ ივიწყებენ რა უფლება ეძლევა ბატონს,
როგორ უნდა უყუროს თავის ყვას, როგორც ნასყილი
ბოძებულს, თუ თავას ნებით შესულს. პატუნაშვალი
აძლევს ხელ-წერილს თუმანიშვილს, რომ იგი უნდა
ემსახუროს როგორც „ნასყილი ყვას“ (въ качестве
купленного крестьянина³²).

ნაბოძები სეხნიაშვილი-კ ამღეცს მაღალაძეს
სამს შველს ყმად, ერთს „ნასყილ ყმად“ და ორს-კი
როგორც „წყალობის ყმად“ („пожалованы крестья-
не“³³). ნასყილი, როგორც ტყვე, სრული საკუთ-
რება იყო ბატონისა, იგი იყო პარუელი შეუცილებე-
ლი ყვას პატონისა. ნაბოძებს, წყალობის ყმას სა-
ხელშით თითქოს მეტს ყურს უგდებდა, თავის მჭა-
რველობის ქვეშ ჰყავდა.

შემდეგ ენახავთ, რომ წყალობის ყმა და ნასყი-
ლი, თავის ნებით შესული ტყვე აირივნენ ერთმანეთ-
ში, ერთად შედუღებული დაპბადეს ის ყმა, ოომელ-

³²) Крестьян. гр., стр. 9, 15.

³³) Крестьян. гр., стр. 30.

საც ვიცნობთ მე-XVIII საუკ. წინად სახელმწიფო
აღევნებდა თვალს, გლეხი არ შეეწუხებინათ მეტის
გადასახადით, რაღაც სახელმწიფო ინტერესს აზია-
ნებდა, თუ პირველად „ნაბოძები“ დროებით საკუთ-
რება იყო პატრონისა და, მაშასადამე, საჭირო იყო
სახელმწიფოს ზედამხედველობა, რომ არ გააღატა-
კონ ნაბოძები ყმანი, მე-XVIII საუკ. ბოლოს ეს კუ-
თილი და უსაჭიროესი უურის-გდება სახელმწიფოშ
ველარ შესძლო: ნახყიდი, ნაბოძები და თავის ნებით
შესული გახდა ბატონის სრულ საკუთარ ყმად.

თავის ნებით ყმად შესული განირჩეოდა ნახყი-
დისაგანა და ნაბოძებისაგან იმითი, რომ იგი პირობით,
ბატონთან დაჭერილით, დაიმედებული იყო, რომ ბა-
ტონი მოექცეოდა სამართლიანად და კანონიერად³⁴⁾.
იგი უყმობდა მთელს თავის ჩამომავლობას, მხოლოდ
აქაც პირობაში ბატონს ეუბნებოდა, რომ უნდა მო-
ექცეს მათ ისე, როგორც თავის ნებით შესული
ყმას³⁵⁾. როგორც თავის გამაყიდვი გლეხი, ისე თა-

³⁴⁾ „должны поступить со мною законно и справедливо, не употреблять надо мною насилия и не дѣлать мнѣ неправды“. Крестъ гр., 49.

³⁵⁾ „Для добровольцевъ крестьянъ“. Кр. гр., 54. Служить такъ, какъ служатъ добровольные крестьяне. Кр. гр., 59, 60.

თავის ნებით ყმად შესულნი პირობას ულებლნენ ბა-
ტონს, აძლევლნენ ხალ-წერილს, „წიგნს“ თავიანთ
ყმობისას. ხელ-წერილის (грамота) მიცემა შესანიშნა-
ვია მით, რომ ესეთი ხელულება გავრცელებული იყო
როგორც კოლონებში, აგრეთვე რუსეთშიც. თავი-
სუფალი კაცი აძლევს ხელ-წერილს, რომ ეყმობა ეკვ-
ლიციას, ბატონს³⁶). ამითი მტკიცდება იმათი უფლე-
ბა იმის პირობასა და ქონებაზეთ.

ბატონი პატრონი და მფარველია იმისთვის უც-
ხო ქვეყანაში. კაციაშეიღლი ირჩევს „პატრონად“ მუ-
ხრანსკის, რომელსაც „წიგნით“ ყმად ეძლევა, კრ.
ტр., 49. პირველ შეხედვითვე ტყვეთ თავის ნებით
შესული უფრო კარგს მდგომარეობაში უნდა იყოს,
ვიდრე ნასყიდი და ნაბოძები. ეს აშკარად გამოჩენდე-
ბა, როცა იმათს პიროვნულსა და ქონებრიცეს უფლე-
ბას გადავავლებთ თვალს.

კადა-გადუწუკეტელი ყმად დარჩენილი (неполный
холопъ). ვალის ამლები, რომელმაც ველარ გადა-
სწუვიტა თავისი ვალი, ეძლევა ვალის მიმცემს ყმად.
ყაზარაშეიღლი რჩება ალექსანდრიშვილის ყმად იმი-
ტომ, რომ ვერ დაუბრუნა ვალი³⁷). როცა ვალს
იღებდა, ვლეხო თავის თავს ვირაოდ აძლევდა ა (за-

³⁶⁾ Церк. гудж., გვ. 19, 153; Кр. Тр., აქტი 1795 წ.

³⁷⁾ Кресть. Тр., 36.

зладывался რუსეთში), ეიღო ვალს გადასწყვეტდა³⁸⁾. რაკი ვალი შერ დაუბრუნა, ივა დროებითის ყმობი-
დგან (nexus) ხდება სრული ყმი ბჟორნისა, როგორც
დანარჩენი ყრინი ნასყიდნი, ანუ ნაბოძებნი, სამუდ-
მად³⁹⁾ („на вѣчныя времена“). ერთი პირობა-კი
უნდა დაეცვა ბატონს, როცა შეუძლებელი ვალის
ატლეტი ყმად მიჰკავდა. ვახტანგ მეფე, რომელმაც ეს
ჩვეულება კანონით განამტკიცა, ამბობს: უსეც ოქმნე-
ბის მოეალეს, რომ კაცი ვერ აუვიდეს, საქონელი
არ ქონდეს, კაცი მიეცემის იმ საქმით, რომ ურჯუ-
ლიაზედ არ გაყიდოს⁴⁰⁾. რამდენად ასრულებდნენ
ბატონები ამ პირობას, ხიგდლებიდამ სჩანს. ეს კან-
გად ვიცით, რომ ყმის გასყიდვის წინააღმდეგ ეჭვლე-
სია. მუდამ იბრძოდა⁴¹⁾.

გლეხი ევონებ უკრო რთული, ჭოგადი სახელ-
ლია, ეიღო კერძო, განსხვავებითი. მაინც მოვიყენ
აზრს. ბ-5 დ. ფურცელაძისას, რომელიც ამბობს,
რომ დასაცავის საქართველოში გლეხს ედო (ვალად

³⁸⁾ ქართველი ერთობენ 1720 წ. ნახე კიბევ ქართველი ერთობენ 1720 წ.

³⁹⁾ ქართველი ერთობენ 1720 წ. ნახე კიბევ ქართველი ერთობენ 1720 წ.

⁴⁰⁾ ვახტანგის კან., § 142.

⁴¹⁾ ცერქ. გუდა., 153, 151, 23 და სხ.

თთეუში ოთხი დღე ემუშავნა ბატონისათვის და ეხსლნა ყველა გარდასახადი, რაიც მოხსენებული იყო ნაბოძების სიგელში⁴²⁾). სჩანს გლეხი და ჩეენი „ჩაბოძები“ ერთი და იგივე იყო ამ შემთხვევაში. მე-XVIII საუკ. დამლევა ვხედაუთ გლეხთ-ზოკალნეს⁴³⁾ (იხილვისას).

IV მონა იყო აუცხოებლის და მოკიდებულ ხარისხს შედებაში და იყო საგანი, რომელსაც გვიჩატენ სიგელები მე-XVIII და XIX საუკ. როგორ დაიბადა ეს ტიპი, რა შეითვისა ყველა ცალკე ელემენტისაგან, — აი საგანი, რომელიც ჰქონილობს ახსნასა და გამორკიცევას, ჯერ უნდა წარმოვიდგინოთ თითოეულ ელემენტის მდგომარეობა, იმისი პიროვნული და ქანებრივი უფლება, რომ შემდეგ რთულს ტიპი, როგორიც არის ყმა მე-XVIII საუკ., გამოსაცნობაც აფარ იკონა, რა გავლენა იქონია ტყვემ და ნახუიდმა, ნაბოძებმა და წყა-

⁴²⁾ Кр. гр., 10, 1. შენიშვნა დ. ფურცელაშვილი. გლეხი, იგივე როული ტიპი — ეს უნდა უმთილეს „ბატონ-უმლების როგორ მიცემული“ — на основаніяхъ помѣщичьихъ крестьянъ. Кр. гр., გვ. 27.

⁴³⁾ Кр. гр., 70.

ლობის გლეხმა, თავის ნებით შესულ მა და ვალ-გა-
დუწყვეტელმა კაცმა ყმის შექმნაში.

პირველი საძირკველი ყმობისა ჩაჰყარეს ტყვემ
და ნასყიდმა, თუმცა მეფე ვახტაონგი პირველს მეორე-
ზედ ჭვეით აუნებს („სყიდულზე უფრო ყმა არის“.
ვახტ. კან., § 254), მავრამ განსხვავებას ვერა ვპუ-
ლობთ მათ მდგომარეობაში. ტყვესაცა და ნასყიდსაც
ჩამორთმეული აქვთ პიროვნული და ჭონებრივი უფ-
ლება, მათ შეეხებათ დადგენილება: „ყმის ყველა ბა-
ტონისა არის“⁴⁵). ეს დადგენილება არის წაბაძეა ბერ-
ძენთა კანონ-მდებლობას⁴⁶), ოომელიც ჩართულია
ვახტანგის სამართლის წიგნში. ამათზედ ერცელდება
ბერძენთა კანონები ყმის შესახება: ყმას არ შეეძლო
ყოფილიყო მოწმად⁴⁷), გაესესხებინა რამე და უკან
ეთხოვა იგი, არ შეეძლო საჩივარი შეეტანა, სამარ-
თალი ეთხოვნა და არც არავის მასზედ ჩივილის ნე-
ბა ეძლეოდა⁴⁸). ნასყიდის გლეხის მიერ შეძენილი
საჩივარ ეკუთვნის ბატონს⁴⁹). ეს უკანასკნელი მუხლი
ამოლებულია ძველთა ოომაელთა უფლებილგან, ზომ-

⁴⁵⁾ ვახტანგის კანონები, § 258.

⁴⁶⁾ ბერძენთა კანონები, § 166.

⁴⁷⁾ ib., § 163.

⁴⁸⁾ ib., § 165.

⁴⁹⁾ ib., §§ 310 და 311.

ლის შესახებ ცნობილი იურისტი გეი სწერდა:
quodcumque per servum adquiritur domino ad-
quiritur (რასაც ყმა იძენს, იძენს ბატონისათვის⁵⁰).
ვის არ გახსოვთ კაცია-აღამიანში დარეჯანის სიტ-
ყვები — „წართმევა არაფერი, ეგ რა საკვირველია, ქალ-
ბატონის ნებაა: გოგოც ჩემია და ჩით-მერდინიც“, მა-
შინ-როდესაც ჩით-მერდინი საწყალ ელისაბედის გო-
გოს თავის მოგროვილის ფულით უყიდნია („კაცია-
აღამიანი?“).

თუმცა დედა-აზრმა: „უმის ყველა ბატონისა
არის“ ფეხი მოიკიდა საქართველოში, მაგრამ დანარ-
ჩენი წესები ყმათ შესახებ, გადმოტანილნი საბერძნე-
თიდამ ვახტანგის მეფის მიერ, არ იქმნენ შეწყნარე-
ბულნი, ქველებურმა წევულებამ შეამსუბუქა სასტიკი
იურისდიქცია, ის შემხუთავი ზღუდე, რომელშიაც
მოქცეული იყო ბერძენთა ყმა. ჩვენ გვაქვს საბუთი,
რომელიც აბათილებს მე-163 მუხლს ბერძენთა კა-
ნონებისას, რომლის ძალით ყმას არ შეეძლო ყოფი-
ლიყო მოწმად და ეთხოვნა სამართალი. მაგალითად
შეგვიძლიან მოვიყვანოთ პროცესი იესელა შეიღლისა
და უელიშვილისა⁵¹), ლოლაძეს მდივანბეგებმა გადაუ-

⁵⁰) Gaii Institutiones I, § 52. Ср. Рус. Правду, ¹¹³/₁₃₀.

⁵¹) Кресть. гр., 58. Церк. гудж., 11. თეორებ-
თაგანი ყმანი იფიცებდნენ უორანზედ. ქ. гр., 69.

წყვილებ გადაეხადნა სისხლის ფართ 120 მ. ბერძენზა
კანონით-კი, ყმაზედ საჩივარს ცერავინ შეიტანს⁵²⁾.
ჩვენში ბატონის წინააღმდეგაც შეეძლოთ ყმებს სპ-
ჩიურის აფეხა, არამც თუ კერძო კაცების წინააღ-
მდეგ⁵³⁾.

სიცრთხილით შემძლიან ესთქვა, რომ ჩვენე-
ბურს ტყვეს ყმად აყვანილსა და ნასყიდს ჰქონდა მცი-
რე პიროვნული უფლება და მოკლებული იყო ქო-
ნებრივს უფლებას. ძალად გადმონერვილმა უცხო იუ-
რისლიქტიამ ყმად წაყვანილი ტყვებს და წასულის
შესახებ ვერა ნახა მამზადებული ნიბრავი ცხოვრე-
ბაში განხორციელებისათვის. ძველმა ჩვენმა კანონებ-
მა მეფე გიორგისამ არ იცის ის წყობილება, რო-
მელსაც ბატონ-ყმობა ჰქვიან. აღმულამ იცის ვალის
ამღები და არა ის ყმობაც რომელსაც ვალობთ ვან-
ტაწვეს ბერძენთა კანონებით.

მაყვანილმა მაგალითებმა დაგეანახვა, რომ
ჩვენი ყვა ისე არ არის შევიწროებული, როგორც
ბერძენთა კანონები გვაუწყებინ ვახტანგის სამართლის
წიგნში. არამც თუ პრაჭუიკა, თვით ჩვენი კანონ-
მდებლობაც საბუთს გვაძლევს ჭითიქროთ, რომ ჩვე-

⁵²⁾ ქრ. ერ., 23.

⁵³⁾ ცერ. თუდ. 30. ნინო-წინადებული მიტროპოლიტი და
მისნი ყმანი.

ნებურს ყმას ჰქონდა პიროვნული უფლებანი. აღმულას კანონები აძლევენ ყმას ორსავ უფლებას — ქონებრივსა და პიროვნულს. ვახტანგის დროს პრაქტიკამ უფრო შეხუთა ყმა, შეუმცირა თავისუფლება, მომკლო ქონებრივი უფლება ბატონის ხასარგებლოდ აღმულას კანონებით. შეგვიძლიან ასეთი წარმოდგენა ვიქონით გლეხის მდგრადობაზედან გლეხს აქვთ თავისი საკუთარი სარჩო, რომელიც შეუძლიან თან წაილოს გადასელისათანავე ერთის აღვრულდამ მეორეზედ; გარდა ამისა იმას ერგება მესამედი ნაწილი იმ მოძრავას ქონებისა, რომელიც თავის შრომით შესძინა ბატონს⁵⁴⁾; იმას შეუძლიან თავდებობა ბატონის ხელის ჩამორთმევინებით⁵⁵⁾); იმას აქვს უფლება ბატონის ხელის მოწერით გაჰყიდოს და დააგირაოს მამული⁵⁶⁾; გლეხს, რომელიც მიეწერა ახალს ბატონს, შეუძლიან დაბრუნდეს „პატრონისას მითვე საქონლით“ და ცოლ-შეკლით, ეს უფლება ვრცელდება შეილიშეკლამდე. თუ შეიდის წლის განმავლობაში თვით არ დაბრუნდა და არც ძეველმა ბატონმა მოი-

⁵⁴⁾ აღმულას კან., §§ 73 და 74.

⁵⁵⁾ აღმულა, § 69. შეად. კრ. ტр., 58, 69; ცერკ. ტ., 11.

⁵⁶⁾ აღმულა, § 77. შეად. კრ. ტრ., 6, 51; ცერკ. გუდამ., 76.

კითხა იგი, წინანდელი პატრონი პარაგავს უფლებას წაიყვანოს დაკარგული გლეხი თავისთან⁵⁷⁾).

აღბულას კანონ-მშებლობა არ არჩევს ჯერ კი-დევ ყმათა შორის ნაბოძებს, ნასყიდს და თავის ნე-ბით შესულს. იმის დროს არ არის ის ყმობა, რომ ლის კვალს ვპოულობთ უახტანგის კანონებში. აღ-ბულამ იცის მხოლოდ დროებითი მოვალე⁵⁸⁾, რო-მელსაც შეუძლიან გადასწყვიტოს ვალი და განთა-ვისუფლდეს. ამისთანა ყმას, როგორც უნახეთ, არ აკლია არც პიროვნული და არც ქონებრივი უფლე-ბა. რამდენად უკან წავიდა ყმის კეთილი მდგომარეო-ბა, როგორ შეავიწროა უახტანგის კანონებმა და პრაქ-ტიკულმა მოთხოვნილებამ, — არ საგანი, რომლის გარჩევას უნდა შევუდგეთ.

V

პირეელ თეალ-საჩინო განსხვავებად აღბულას და უახტანგის კანონებში ის მიგვაჩინა, რომ უკანასკნე-ლი უკვე ავლებს ხაზს ტყეს, ნასყიდს, ბოძებულსა და თავის ნებით შესულ ყმათა შორის. ტყე „საყი-დულზე უფრო ყმა არის“⁵⁹⁾). ნასყიდს უფრო ქვეით

⁵⁷⁾ აღბულას კან., § 78.

⁵⁸⁾ აღბულას კან., § 78.

⁵⁹⁾ უახტანგის კან., § 254. ტყე უკველგან ჩუთ პირველი წყარო ბატონ-უმობისა. Чичеринъ. „Опыты по истории рус- скаго права, гл. 144.

აყენებს ნაბოძებზე, იმისი ეკონომიური მდგომარეობა უფრო შევიწროებულია, ვიღრე წყალობას ყმისა. „ვისაც ყმა ამოუეარდეს, ნასყიდი თუ იყოს, მისი ხა-
ქონელი ბატონს უფრო ეხალთვის, თუ ცოლი და
ქალი დარჩება, სამკეიდროთა და შესანახავით, შეიჯე-
როს; თუ ან წყალობის ყმა იყვეს, ან პატრონის მი-
ნაცემი, იმის ცოლს უფრო ცოტა რამ გამოერთვას“⁶⁰).
მაშასადამე, ქონებრივი მდგომარეობა ბოძებულის
ყმისა საგრძნობლად განირჩეოდა „ნასყიდისაგან“. იმის
ქრის-ობლებზედ არა ვრცელდება კანონი ბერძენთა
წაბაძვით დადგენილი — „ყმისა ყველა ბატონისა არის“.
წყალობის ყმის ცოლ-შვილს, ვახტანგის სიტყვით,
ბატონის სასარგებლოდ „ცოტა რამ გამოერთვას“.

მაშასადამე, ვახტანგ მეფემ პირველად გაჰყო
ტყვე, ნასყიდი და წყალობის ყმა, თითოეულს მიუ-
წყო ის, რაც ცხოვრებამ გამოიყელია. აღბუღასთან
შედარებით ვახტანგის ყმა უფრო შევიწროებულია.
ამას გარდა იმას მოაკლდა ქონებრივ უფლებისაგან
ერთი ნაწილი ბატონის სასარგებლოდ. აღბუღას ყმა
თავის სარჩოს არ უწილედებს ბატონს, ვახტანგისა-
კი, თუნდ წყალობისაც იყვეს, მაინც „ცოტა რამ“
უნდა ვაიღოს ბატონისათვის⁶¹). ამ შევიწროებას ყმი-

⁶⁰) ვახტანგის კან., § 248.

⁶¹) აღბუღას კან., გვ 73 და 74; ვახტ. კან., § 48.

სას ვახტანგის შეკვეთის მხრით ვჩესშით ცხოვრების
შსვლელობით, რომელიც თავისუფალს წაც ხდილა
უფრო და უფრო მაღალ, როგორც ეს მოხდა მთელს
ევროპაში; მეორეს მხრით, ბერძენთა გავლენით ვახ-
ტანგის ჩეფორმაზე. ვახტანგმა მისცა იურიდიული
სანქცია ბატონ-ყმობის წეს-წყობილებას საქართვე-
ლოში: გადმოიტანა შეხედულობა ბერძენთა ნასყიდ-
ზედ, მაგრამ თოთონვე სულილობდა კანონით შეემ-
სუბუქებინა ყმის ტვირთი. „ნურა კაცი თავის ყმას
ძალას ნუ დაატანს“⁶²), ამბობს კაცო-მოუკარე შეფეხ
მაგრამ ეს ჰუმანური ტჩევა დარჩა ცხოვრებაში უქ-
მალ.

ვახტანგ მეფე არას გვაუწყებს, რით განიჩეოւ-
და თავის ნებით ყმად შესული ნასყიდისაგან და ნე-
ბოძებისაგან. ეიცით, რომ თავის ნებით ყმად შესუ-
ლი არა ჰქარგავდა უფლებას, აღბულას კანონით გან-
თავისუფლებულიყო⁶³). ვახტანგის განონებში არის
მუხლი შესახებ ყმის გადასვლისა ერთის ბატონისა-
გან მეორესთინ, მაგრამ თავის ნებით შესულზედ ცნო-
ბას უერა ვპოულობთ. ჯე შემთხვევაში შეგვიძლიან
შივმართოთ სიგელებსა და გუჯრებს და იქიდვან გა-
მოვარკვაოთ, რა განსხვავება იყო ნასყიდ-ნაბოძებსა
და თავის ნებით შესულ შორის.

⁶²⁾ ვახტანგ. კანონ., § 201.

⁶³⁾ აღბულას კან., § 78.

თავის ნებით შესულის ყმას ექლევა ბატონისა-
გან პირობა, რომ იგი მოექცევა „ვანონიერად და სა-
მართლიანად“⁶⁴), შეინახავს კარგად და უკნებლად⁶⁵).
იმათის პრიცეილეგიდამ შეეგვიძლიან დავასუსელთ თა-
ვისუფლება გოგოსი⁶⁶) ა ხშირად ეკვლების თავის,
უფალნი ყმანი მხალოდ საკმელ-სანთელს სწირავ-
დნენ⁶⁷), ხან ამას ძლვენი და ფულიც ემატებოდა⁶⁸).
ჩვეულება თავის ნებით ყმაც შესულისა — გადასვლა
ერთდს ბატონისაგან მეორესთან, — რომლის შესახებ
გვაქვს. ცნობა აღბულს კარინებიდგან, პრაქტიკულს
ცხოვრებაში გავრცელებული იყო. თავის ნებით შე-
სულსა და აგრეთვე ნაბოძებს ჰქონდა უფლება, ტრა-
დიცრიტინიზმი, დაქნებებინათვა ბატონისათვის,
თუ იგი აწუხებდა მეტას-ვადასახადით, და ვადასული-
ყო სხვის მამულში ან ყმადვე, ანუ ყმისა და მეიჯა
რადრეს წუა მდგომარეობა დაეჭირა, გამხდარიყო
ხიზნად⁶⁹). თავისუფლად შესულსა და ნაბოძებს ეძლე-
ვათ მიწა, საქონელი, თესლი, ვენახი, წყალი, წის-

⁶⁴⁾ Кресть гр., 49.

⁶⁵⁾ Кресть гр., 66. ამ იტერიტ. აუთავი (1).

⁶⁶⁾ Кресть гр., 26. ამ იტერიტ. აუთავი (1).

⁶⁷⁾ Церк. гудж., 55, 87, 66. ამ იტერიტ. აუთავი (1).

⁶⁸⁾ Церк. г., 65. ამ იტერიტ. აუთავი (1).

⁶⁹⁾ Кресть гр., 29, 49. ამ იტერიტ. აუთავი (1).

ქეილი, კალო, როგორც რუსეთში ეძღვეოდათ ეს-
რედ წოდებული ენვენტარი-ი⁷⁰). მიწა ეძღვევათ სამ-
კურდონდ იმ უფლებით, რომ გაყიდონ კიდეც ბა-
ტონის თანხმობით⁷¹). აქედამ სჩანს, რომ სახელმწი-
ფო თავის ნებით შესულს არ უყურებდა ისე, რო-
გორც ყმას. თვით ნაბოძები სდგას უკეთესს მდგო-
მარებაში შედარებით ნასყიდთან და, გარდა იმ გან-
სხვავებისა, რომელიც ზემოდ უჩჩენეთ, ახლა დავი-
ნახეთ, რომ „ნაბოძებს“ სხვა უპირატესობაც ჰქონ-
და ნასყიდთან: შეეძლო მამულის გასყიდვა ბატონის
თანხმობით.

ბატონის ნებას დართვა მამულის გასყიდვაში
არ არის მხოლოდ ჩვენის წარსულის კერძო ამბავი.
ეს ჩვეულება გავრცელებული იყო მთელს ევროპაში.
სიუზერენის დაუკითხავად ყმა ვერ გაჰყოდდა თავის
ნაჭერ მიწას. ამ უფლების მიღებაში იგი აძლევდა ბა-
ტონს ბაჟ' (lods et vents). ჩვენში ბატონს ჰქონდა
უფლება ჯერ თითონ „ნაბოძებს“ ყმას შევაჭრებოდა
და, თუ ჰსურდა, შეესყიდნა⁷²). საკულტო გლე-

⁷⁰) Бѣляевъ. „Крестьяне на Руси“, стр. 44—50.

⁷¹) Двор. гр., 23; Кресть. гр., 3, 7, 11, 52. Церк. гудж., 7, 12, 52, 59, 64, 65.

⁷²) Кр. гр., 52. ასეთივე ჩვეულება იყო დასავლეთს ევ-
როპაში. დასტურლი, 18.

ხებს ხანდახან უმცირდებოდათ უფლება გასყიდვისა იმით, რომ ვალდებული იყვნენ მიეყიდნათ უთუოდ საეკულესიო ყმისთვის⁷³⁾). ორსავ ჩვეულებას თავისი საბუთი ჰქონდა. ბატონი არა ჰკარგავდა შემთხვევას იაფად შეეძინა თავის ეასსალის მამული, რომ შემ-დეგ სარგებლიანად გაეცა. ეკკლესიაც სცდილობდა საიმედო ხელში გადაეცა თავისი მამული. იგი იც-ნობდა თავის ყმებს და მათგან გამოწირვა უსარგებ-ლო იქნებოდა: ახალი ყმა შეიძლებოდა ჯანჯალი კაცი ყოფილიყო, არ ეწია ის უღელი, რომელსაც ადებდა ბატონი ყმას.

თუმცა ერთის მხრით კანონშა, მეორეს მხრით თვით ჩვეულებამ გააულო მკრთალად განსხვავების ლარი ბოძებულსა, თავის ნებით შესულსა, ნასყიდსა და ვალ-გადაუწყვეტელს⁷⁴⁾ შორის, მაგრამ ხშირად ისინი არ იჩევან ერთმანეთში და გაერთებულ იქ-მნენ მე-XVIII საუკ. ბატონის თვალში. იგი უყუ-

⁷³⁾ კრ. გრ., 56. ეს საერთოდ ცნობილი ჩვეულებაა და სწარმოებს ბატონის უფლებიდგან, ადგვნოს თვალი მეურნეობასა და მამულის შემუშავებას.

⁷⁴⁾ ვალ-გადაუწყვეტელი ყმად რჩებოდნენ, როგორც „ნასყიდნი“. კრ. გრ., გვ. 7, 9. ამიტომ ამათ შესახებ აღარ ვსცანით საჭიროდ ცალკე გველაპარაკნა. რაც შეეხება ნასყიდს, იგივე ითქმის ვალ-გადაუწყვეტელ ყმად დარჩენილზედ.

რებლა მათ, როგორც მემკვიდრეობითს, შეუცილებელს ყმას, რომლის ჩამომავლობა და მიზეზი ყრიად ვახდომისა მისთვის საჭირო აღარ იყო. ჩვენში მოხდა ის პროცესი, რომელიც კარგად ცნობილია რუსეთში. მე-XVIII საუკ. „ვაკუშ“-ი, ნასყიდი, შეუძლებელი მოქალე და გლეხი ბატონის მამულზედ დასახლებულნი გახდნენ პეტრე დიდის განკარგულებით სამკვიდრო ყმად ბატონისა⁷⁵⁾). რაც პრაქტიკამ დაადგინა, იგი კანონით განამტკიცა ჩვენში ვახტანგმა და რუსეთში პეტრემ. დაიბადა რთული და მეტად ძნელად გამოსაცნობი ტიპი ყმისა, რომელმაც შეითვისა სხვა-და-სხვა ელემენტი ყმობისა.

VI

ვახტანგის ყმა იყო ნაყოფი სამ გვარის ელემენტისა: ნასყიდისა, ბოძებულისა და თავისუფლიად ყმად შესულ გლეხისა. „ნასყიდი“ და ტყვე იყვნენ პირუელნი ყმანი ბატონისა. აქედამ გადავიდა ვახტანგის ყმაზედ იგი პრინციპი, რომ „ყმისა ყველა ბატონისა-არის“ (§ 258 ვახტ. კანონები). ძველი პრინციპი quodcumque per servum, adquiritur id domino adquiritur გაურცელდა თანასწორედ ნაბოძებზედ და თავისუფლიად ყმად შესულზე. ნაბოძებისა და თავისუფლ ყმის პატრონისაგან მიწის მფლობელი გახდა

⁷⁵⁾ რუსეთში 1718 წ. პირველის რევიზიის შედეგი იყო ეს გარემობა.

ბატონად: იმას მიეცა ნება დატუქსევისა და დასჯასა⁷⁶); იგი იცნეს მსაჯულად გაყრისა და უთანხმოების დროს ყმათა შორის⁷⁷).

რთ განსხვავებაა ვაჭრანგისა და აღბულას კანონ-შდებლობაში? ვახტანგმა შეავიწროა ყმა, რომელსაც დაუწყო საერთოდ ცეკვა, როგორც ნასყიდს, რომ ლის შესახებ მიღებული იყო მუხლი „ყმისა ყველა ბატონისა არის“. აღბულა-კი გლეხა აძლევდა საკუთარს ქონებას და მესამედუსაც იဒ სარჩოდგაან, რომელიც იმან პატრონს შეაძინა თავის შრომით⁷⁸). გაშასაღამე, ვახტანგის ყმამ დაპკარგა აღბულას ყმასთან (დროუბით მოვალეობით) შედარებით ერთი ნაწილი ქონებრივის უფლებისა. ყმა იცნეს როგორც პირი (субъектъ наказуемый), რომლის დასჯა შეიძლება გარდასახადით, ეალის გაღახდაში⁷⁹), მაგრამ იგი არ არის ცნობილი როგორც უფლებით აღჭურვილი კაცი ითხოვოს ბატონისაგან სისხლის ფასი, როცა იმისგან გახეიბრდა⁸⁰). იგი არის ობიექტი და არა სუბიექტი უფლებისა.

⁷⁶) ვახტანგ. კანონები, § 98.

⁷⁷) ვახტ. კან., §§ 80 და 98.

⁷⁸) აღბულას კან., §§ 73, 74.

⁷⁹) Обычай, выраб. при царяхъ, 16.

⁸⁰) ვახტანგ. კანონები, § 95.

გარდა ამ ქონებრიეს უფლებისა ვახტანგის ყმამ დაჰკარგა აღბულას გლეხთან შედარებით ცოტა პიროვნული უფლებაც: თავდებობა ვახტანგის კანონით ყმას აეკრძალა⁸¹⁾ წინააღმდეგ მე-69 აღბულას კანონის §-სა, რომლის ძალით ეს უფლება ყმას მინიჭებული ჰქონდა. აქ დაეტყო ვახტანგის რეფორმას ბერძენთა კანონების ზედ-ვავლენა, თუმცა ძალად გადმონერების სჯულ-დებამ ვერა ნახა მომზადებული ნიადაგი. ამიტომაც, წინააღმდეგ ბერძენთა წარმოდგენისა⁸²⁾, ყმას ძველებურად შერჩა უფლება ფიცის მიცემისა⁸³⁾). ვახტანგის ყმა მაინც ისე შეხუთული არ არის, როგორც საბერძნეთში. თუმცა ერთი მუხლი ბერძენთა გავლენით ყმას ართმევს ქონებრიესა და პიროვნულს უფლებას, მაგრამ მეორე ჩვეულებრივი დადგინება საქართველოში ცოტად მაინც აძლევს ამ უფლებას⁸⁴⁾.

რაღანაც ვახტანგის ყმა დაიბადა სამის ელემენტის შეხედულობით, ამიტომაც მისი მდგომარეობა არ უნდა ყოფილიყო შევიწროებული. თავის ნე-

⁸¹⁾ ვახტანგ. კან., § 235. და ალბ., § 69. Русская Правда, § 117.

⁸²⁾ ბერძენთა კანონები, §§ 163, 165.

⁸³⁾ ვახტ. კან., §§ 12 და 200.

⁸⁴⁾ ib., §§ 258 და 248.

ბით შესული ყმა და ნაბოძი დაასეამდნენ „ნასყიდს“ თავისს ბეჭედს, შეამსუბუქებდნენ იმის მდგომარეობას. ასეც მოხდა, როგორც შეგვიძლიან ვიფიქროთ a priori, წინდაწინვე თავის ნებით ყმად შესული ჩვეულებით გადადიოდა ერთის ბატონისაგან მეორეს-თან და აძლევდა პირობას ბატონ-ყმობისას და იმა-საც აღებინებდა „წიგნს“, რომ კანონიერად და სამა-რთლიანად მოექცევა. ეს ჩვეულება ვახტანგმა განამ-ტკიცა: „ბატონსაც, ჰბრძანებს ვახტანგის წიგნი: და-ლებინოს, რომ უხელმწიფოდ ვერც მოკლას, ვერც გაახეიპროს“⁸⁵). თავის ნებით ყმას შესულმა ეს გა-რანტია ხელ-შეკებლობისა და გადასელისა გადასცა ვახტანგის ყმას⁸⁶). „ნაბოძებმაც“ იქონია თავისი გა-ვლენა. მეფე, როცა აძლევდა ყმას ბატონს, ნიშნავ-და ამ უკანასკნელს პირველის პატრონად; ყმის შე-წუხება ბატონის მიერ მეფისათვის არ იყო სასარგე-ბლო, რადგან ყმის მდგომარეობის უკან დაწევა სა-ხელმწიფოს დაქვეითება იყო. ამიტომაც მეფე უპრ-

⁸⁵) ვახტ. კან., № 258. მე-XVIII-ს. პეტლიცისტი კოტო-შიხინი სწერდა რუსეთში: „Въ уголовныхъ дѣлахъ сыскивати и указъ чинити помѣщикамъ и вотчинникамъ не велѣ-но“. მე-XVIII ს.-კი ბატონებს მიეცათ სისხლის იურისდიქცია, რომელიც ვახტანგის კანონით ჩვენში აღკრძალული დარჩა.

⁸⁶) ვახტ. კან., № 202.

ძანებდა ბატონებს მეტის გარდასახალით არ შეეწუხებინათ ყმა. ვაკტანგმა ეს ჩვეულება შეიტანა კანონად; თუმცა ბატონი დანიშნა გლეხის ობლების მზრუნველად⁸⁷), მაგრამ თუმცა ადევნებდა თვალს და დადგინებად აღიარებდა: „ჩურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს“⁸⁸). ვაკტანგი ამბობს საერთოდ ყმაზედ და არა კერძოდ ნაბოძებზედ და თავის ნებით ყმად შესულზედ, ესე იგი ერთი და იგივე წარმოდგენა გაერცელდა, — ცოტა განსხვავებას რომ არ მივხედოთ ნასყიდა და ნაბოძებს შორის — ერთის იურისდიქციის ქვეშ მოექცენენ პრაქტიკულის ცხოვრების მოთხოვნილებით ნასყიდა-ვალ-გადუქველი, ნაბოძებ-თავ-შეფარებული პატრონის მფარველობის ქვეშ. ესენი მიღიოდნენ პირდაპირ ერთმანეთისკენ: ერთი ჰკარგავს მცირე პროვენულს უფლებას, მეორე იძენს ცოტაოდენს თავისუფლებას, რომ ერთად შედულებულთ და ჰბადონ ჩს ბატონ-ყმობა, რომელიც მე-XVIII ს. მეფობდა. შეუმჩნეველი დაახლოვება ნასყიდა და ბოძებულს შორის კანონით აღიარებულ იქმნა და განმტკიცებულ იურიდიულის სანქციით.

რაკი ერთხელი გამოკვლეულ იქმნა ჩვეულება და კანონი ყმის შესახებ, იგივე წესი გაერცელდა საერთოდ.

⁸⁷⁾ ვაკტ. კან., § 203.

⁸⁸⁾ ib., § 201.

თოდ გლეხხე, რომელიც ბატონის მიწა-წყალზედ
სკოვრობდა. ამ გვჯრად თუმცა ბატონ-ყმობა და-
წყო ტყვისა, ნასყიდისა და ეალ-გაღუბელისაგან, რო-
მელსაც (ბატონ-ყმობას) დაასვა თავის ბეჭედი ნაბო-
ძებმა და თავის ნებით ყმად შესულმა, მაგრამ შემ-
დეგ ყმობას ასაზრდოებდა და აძლიერებდა ბევრი სხვა
გარემოება, რომელიც ულეველი იყო ცხოვრებაში.
ყმად ირიცხებადა:

1) ყმის შეილი, ესე იგი ყმობა გადადიოდა
საშეილი შეილოდ: „მამა მისი კაცისა, ამბობს ვახ-
ტანგი: ყმა ყოფილიყოს და შეილი მისი ბატონს შე-
ცემოდეს“⁸⁹). სიგელებში არა ერთხელ შევხვდებით
„შემკვიდრეობითს“ ყმას. მთელის ჩამომავლობის გას-
ყიდვა, ანუ ყმად მიცემა თავისუფალის კაცის მიერ
ბატონის მფარველობის ქეეშ ამტკიცებს ამ ჩვეულე-
ბას ყმობისას „на вѣчныя времена“, საუკუნოდ,
სამუდამოდ, დაუსრულებლად⁹⁰). გუჯრებში მემკვი-
დრეობითი, სამკვიდრო ყმა იშვიათია.

2) აყვანილი შეილობილი ჰედება ყმად: „ვინც
აიყვანოს ყმაწვილი, ან იპოვნოს და გაზარდოს, იმ
კაცზედ ჰკიდია, თუ უნდა შვილად გაზრდის, უნდა

⁸⁹) ვახტა კან., § 261. ცр. ქარევ. ფრანცузскіе
крест., 44.

⁹⁰) ქრ. გრ., 6, 7, 49.

თავის ყმად. თუ ყმობა დაარქვა, სამკვიდრო ყმა იქნება⁹¹⁾. დ. ფურცელაძე ამბობს, რომ დასავლეთ საქართველოში უკანონო შვილს ეკულესია აძლევდა საეკულესიო ყმებს ყმად. აქედამ წარმოსდგა მესამე წყარო ყმობისა⁹²⁾.

3) „თუ ნაბიჭვარი თავის ძმებს ეყმობა, სხვათ ხელი არ აქვთ“⁹³⁾, ესე იგი, უკანონო შვილი ხდებოდა ძმების ყმად.

4) შეუძლებელი მოვალე რჩებოდა ყმად: „ესეც იქმნების, მოვალეს რომ კაცი ვერ აუვიდეს, საქონელი არა ჰქონდეს, კაცი მიეცემის იმ საქმით, რომ ურჯულოზედ არ გაყიდოს“⁹⁴⁾. სისხლის ფასის მიუცემლობა ხდიდა კაცს აგრეთვე ყმად⁹⁵⁾). ვაჭარი, რომელმაც ვალი ვერ, გადაწყვიტა, ეძლეოდა მოვალეს დასაკმაყოფილებლად, მდივანი ძალას ატანდა გადაწყვიტა აღებული ვალი და, თუ ვერ შეასრულებდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც მოვალეს ყმად რჩებოდა.

⁹¹⁾ ვახტ. კან., § 261.

⁹²⁾ Крест. гр. შენიშვნა დ. ფურცელაძისა, გვ. 114.

⁹³⁾ ვახტ. კან., § 210.

⁹⁴⁾ ვატუნაშვილი ხდება თუმანიშვილის ყმად, რადგან ვალი ვერ გადაწყვიტა. კრ. გრ., გვ. 9; ნახე კიდევ კრეს. გრ., 36, 41. ვახტ. კან., § 142.

⁹⁵⁾ კრეს. გრ., გვ. 57.

5) შეუძლებელი ქურდი, რომელიც შეიპარა სახლში, საცა ცოლ-ქმარს ეძინათ, და მოპარული ერთი შეიდად ვერ გადასხადა, მიეცემოდა გაქურ-დულს „თავის ცოლ-შეილით, ქონებით და ნასყი-ლით“⁹⁶). ჩვეულება ნაპარაეის ერთი შეიდად გადახდი-სა აქამდის დარჩენილია მთაში, თუშ-ფშავ-ხევსუ-რეთში⁹⁷).

6) გლეხი, რომელმაც შეირთო ბატონის გოგო, ან თავისუფალი ქალი გათხოვდა ყმაზედ, მაშინ იგი ხდება ბატონის „მკვიდრ“ ყმად⁹⁸). ასეთივე ჩვეულე-ბა იყო ფრანკთა შორის, რომელზედაც გვაუწყებს ძველი იმათი კანონ-მდებლობა Lex Salica და, რო-გორც ჩვენში თავისუფალი კაცი, ან ქალი, მონას-თან ცოლ-ქმრობით დაკავშირებული, ჰკარგავს თავი-სუფლებას. Si vero ingenuam puellam de illis suam voluntatem servum secuta fuerit ingenui- tatem suam perdit. მონამ თუ მორტაცა თავისუ- ფალი ქალი, სიკუდილით ისჯება „devita conponat“⁹⁹).

⁹⁶) ვახტ. კან., § 151.

⁹⁷) იხ. „ვერია“, 1888 წ. № 185 ჩემი წერილი „მგზა- ვრის დღიურიდამ“.

⁹⁸) აღხს. კანონები, §§ 73 და 74. ცр. რუ. Прав- да, ¹⁰⁸/₁₂₀.

⁹⁹) Lex Salica, § 13. De rapto ingenuorum.

ხეენში ასე სასტიკად არა სჯილნენ ყმას თავისუფალ
ქალთან შეუღლებისათვის.

7) თუ ბატონის გოგოსთან უკანონო კავშირი
დაიჭირეს, იმის გამაფატიურებელი ხდება ბატონის
ყმად¹⁰⁰), კერძოდ გოგოს ბატონისა, რომლის ნათესა-
ვების უფლება არა ვრცელდებოდა ყმაზედ (личныи
крестьяниномъ). პაპუა გახდა კობიევის ყმად, მაგრამ
ნათესავებს ამ ბატონისას არ ეყმობა გოგოს შემ-
ცდენელი კაცი¹⁰¹).

8) ვინც შიმშილობაში გამოჰკვება გლეხი ცოლ-
შვილით, ხდება იფი პირველის მემკვიდრეობით
ყმად¹⁰²)

9) ვინც გამოიყიდა ტუვეობრდგან გლეხი, მისკა
მას ჰური, ქერი, საქონელი, მიწა, ვენახი, იგი რჩე-
ბა სამუდამო ყმად („на вѣчныя времена“)¹⁰³).

10) ვინც გადაუწყვიტა ვალი გლეხს, მისკა
იმის ქალს მზითევი, იგი მიღის ცოლ-შვილით ყმად
ვალის გადამხდელთან¹⁰⁴).

11) ვინც ბრალდებული ხდება კაცის მოკველა-

¹⁰⁰⁾ Кр. гр., გვ. 8.

¹⁰¹⁾ Кр. гр., გვ. 62.

¹⁰²⁾ Кр. гр., გვ. 6, 14, 67. ვახტ. კან., § 200.

¹⁰³⁾ Кр. гр., გვ. 17, 30.

¹⁰⁴⁾ Кр. гр., 49. ср. Русская Правда, § 102/119;
ვახტ. კან., § 200.

ში და იმის თოფ-იარალის მითვისებაში, იგი ხდება
მოკლულის ბატონის ყმად ცოლ-შეილით¹⁰⁵).

12) ვინც გაჰყიდდა თავის თავს, ან ცოლ-შეილ-
სა, იღებდა ფასს, რამდენზედაც გულს აჯერებდა, იგი
მიღიოდა მყიდველის ყმად¹⁰⁶).

ამდენის წყაროს წყალობით ბატონ-ყმობას მე-
ტი სიმტკიცე და გაძლიერება ეძლეოდა. თვით
განთავისუფლებულნი ეძებდნენ ბატონსა და პატრონს,
აქედამ ორი გზა კიდევ რჩება ბატონ-ყმობის შესავ-
სებლად:

13) თავის ნებით ყმობა უცხო მხრიდგან გაღმო-
სულის მიერ.

14) განთავისუფლებულის მიერ (*libertinus*)
ბატონისა და პატრონის ძეგნა¹⁰⁷).

შეგვიძლიან ასეთი გრადაცია წარმოეიფგინობა,
რომელიც დაგვიხატავს ბატონ-ყმობის ელემენტებს და
იმის აგენტების სხვა-ზა-სხვა მდგომარეობას. სუკე-
ლაზე ძლიერ შევიწროებული იყო მონად აყვანილი
ტყვე—სყიდულზე უფრო ყმა არს¹⁰⁸); სყიდული

¹⁰⁵) Кр. гр., 11.

¹⁰⁶) Introd. Brosset, 127; Кр. гр., 74, 103—4.

¹⁰⁷) Двор. гр., 1782 №; Кр. гр., 41. Brosset.
Introduction, 82; Церк. гудж., 19, 55, 87, 153 და სხვ.

¹⁰⁸) ვახტ. კან., § 254.

წყალობის გზაზედ ქვეით იდგა: მას და იმის ქვრივს
ნაკლები ქონებრივი უფლება აქვს, ვიდრე ბოძებულს—
„თუ ნასყიდი იყოს, მისი საქონელი ბატონს ეხელ-
თვის... თუ ან წყალობის უმა იყვეს, ან პატრონის
მინაცემი, იმის ცოლს უფრო ცოტა რამ გამოარ-
თვას“¹⁰⁹). ამათზე უკეთესს მდგომარეობაში იყო თა-
ვის ნებით უმაღ შესული, რომელიც გადადის ერთის
ბატონისაგან მეორესთან ბატონის „ხელ-წერილით“.
ივი უმა-კი არ არის, არამედ „პატრონის და მფარვე-
ლის“ მძებნელი¹¹⁰). ღროვებით მოვალე (nexus), თუ
ვალს გადასწყვეტდა, ხდებოდა აზატი, თავისუფალი
კაცი¹¹¹). ეს განსხვავების ლარი ლრმაღ არ არის გა-
ტარებული არც კანონ-მდებლობაში, არც პრაქტიკა-
ში. ბერძნთა კანონებმა იქონიეს საშინელი გაელე-
ნა¹¹²) ძველს ჩეცულებაზედ საქართველოში. თუმცა
კაცთ-მოყვარე ეახტანგი სცდილობდა შეემცირებინა

¹⁰⁹) ვახტ. კან., § 248.

¹¹⁰) ქრ. გრ., 29, 31. ცერ. გუდჯ., 84, 67. „ბატო-
ნი უმას უნდა როგორც შვილს ისე მოჰქევოვდა“. ქრ.
გრ., 56.

¹¹¹) აღბულას კან., § 72; ქრ. გრ., 6. როგორც რუ-
სეთში „неустойка“-ს იხდიდნენ, ისეც ჩვენში ერთი ბატონის
უმაღ რჩებოდა.

¹¹²) გაავრცელეს წარმოდგენა: „უმისა ყველა ბატონისა

თურისლიქტია ბატონებისა ყმებზედ („ნურა კაცი თავის
ყმას ნუ შეაწუხებს“, სწერს ვახტანგი), მაგრამ პრაქ-
ტიკამ კიდევ წინ გადასდგა ფეხი, უფრო ძლიერ შეა-
ვიწროა გლეხი, ვიდრე ვახტანგის კანონები აძლევ-
და ნებას.

VII

საფუძველი ბატონ-ყმობას სამმა ელემენტმა დაუ-
დო — „ნასყიდმა“ (ვალ-გადაუხდელმა), „ბოძებულმა“,
და თავის ნებით ყმად შესულმა. „ნასყიდმა“, რო-
მელზედაც უფრო საგრძნობლად გაერცელდა გადმო-
ტანილი ბერძენთა შეხედულობა ყმაზედ, შეავიწროა
ბოძებული გლეხი, თავის ნებით შესულმა ბატონის
მფარველობის ქვეშ გადასცა „ნასყიდ-ბოძებულს“
ჩვეულება გადასელისა და განთავისუფლებისა. აღმუ-
ლას კანონით აზატი ხდებოდა კაცი, როცა იგი გა-
დიხდიდა ვალს¹¹³⁾). ვახტანგმა მიიღო კანონად ეს გა-
ვრცელებული ჩვეულება, მხოლოდ პირობის აღსრუ-
ლება, „ვალის გადახდა“ შეიქმნა შეუძლებელი ვალის

არის“. ბერძენთა კანონები რომ შოქმედებდა ჩვენში, ეჭვი არ
არის, რადგანაც სიგელებში ხშირად ნახავთ მითირებას ბერძენთა
კანონებზე. მაგ , ქრ. გრ., გვ. 20.

¹¹³⁾ აღმულას კან., § 72. ქრ. გრ., 6.

ამღებისათვის: შომეტებული ნაწილი გლეხთა ვეღარ
ჰპოულობდა საშუალებას ებლი გადაეწყვიტა და ძალა-
უნებურად რჩებოდა ყმად. ასეთი პროცესი მოხდა
რუსეთშიაც, სადაც კანონ-მდებლობით-კი არ დამაგ-
რდა (прикрепленія) ყმა ბატონთან და იმის მამული-
თან, არამედ ეკონომიურის გარემოების შედევი იყო
ვალის ამღების ყმად გადაქცევა¹¹⁴⁾.

რადგანაც სურეილი განთავისუფლებისა ძლიერი
იყო ყმათა შორის, ამიტომ, როგორც რუსეთში, დაი-
ბადა საქართველოშიაც ორ-ნაირი ფორმა თავის და-
ხსნისა: გადასცლა სხვა პატრონთან, რომელიც გაუ-
სწორდა პირველ ბატონს გლეხის ვალში¹¹⁵⁾, და გა-
პარვა ყმისა ვალის გადაუწყვეტლად. შესანიშნავია,
რომ ჩვენში, როგორც რუსეთშიაც, განთავისუფლე-
ბული იხდიდა „Неустойка“-ს, როცა თავისუფლ-
დებოდა: ჯანია ყორლანაშვილს აძლევს პირობას,
რომ იგი დასტოებს ერთს შვილს ბატონთან „ნას-
ყიდ ყმად“; თუ ვინმე გამოისყიდის ჯანიას, იგი და-

¹¹⁴⁾ ბორის გოდუნოვის დადგინებას „О прикреплении
крестьянъ“ პროვ. ვ. მ. კლიუჩევსკი რაცხს „ისტორიულ-
ჯუგუნდად“, რადგანაც ეს ძირთასი დოკუმენტი აქამდის არ
არის აღმოჩენილი.

¹¹⁵⁾ Кр. гр., 3, 6, 7, 14, 41, 45.

უბრუნებს ყორლანაშვილს იმისგან აღებულს ვალს¹¹⁶). ეს ჩვეულება, ვალის გადაწყვეტა სხვა შემძლებელის ბატონის მიერ, ძალიან ხშირია და კანონით გახტანგის მიერ განმტკიცებულ იქმნა¹¹⁷). ვახტანგმა შეიწყნარა უკანონო ჩვეულება—გაპარვა ყმისა და დაადგინა, რომ გაპარული ყმა 30 წლის განმავლობაში მოიშებნოს და, თუ ამ ვადის განმავლობაში ბატონმა იპოვა თავის დაკარგული ყმა, იგი ვალდებულია იმის ყმის შემნახველს გადუხადოს ყმაზე დანახარჯი და მისცეს იმის დროებით მთარეველს ნახევარი იმ სარჩოდგან, რომელიც გამოპარულმა ყმამ „ახალს ბატონს“ შესძინა, ამ თვით შუხლი როგორ გვიხატავს ამ გარემოებას: „თუ ერთი მეორეს „ყმა“ ერთმანეთს მიუვიდეს და თავი ნასყიდად დაუწეროს, ან იმ მებატონებ იმ „გლეხ კაცს“¹¹⁸) ან ვაჭრ ვაჭაუწევიტოს და ან შიმშილობაში გამოკვებოს და დავთარში ჯერ არ დაწერილიყოს იმის სახელზე და ისე წამოედავოს პირველი მებატონე, რაც ამ ახალს ბატონს იმაზე ხარჯი ექნას, ის ვასუხიც უნდა მისცეს, და რაც ამ გლეხ-კაცს ამ ახლის ბატონის ხელში მოუვია, იმისი

¹¹⁶) Кр. ტр., 3, 6, 7, 14, 30, 41, 45; ცერк. გუდ., § 8, 61.

¹¹⁷) ვახტ., კან., § 200.

¹¹⁸) ვახტანგის კანონებში, როგორც ამ მუხლიდანაცა

ნახევარი უნდა ახალს გატონს მისცეს და თავისი უმა
ძელს ბატონს უნდა მისცეს“¹¹⁹).

სიგელი 1772 წ. ამ მუხლს მშვენიერად ასუ-
რათებს. სიგელი გვიჩვენებს, რამდენად აძლევდა პა-
სუხს კანონ-მდებლობა ცხოვრების მოთხოვნილებას
და რამდენად შესაძლო იყო მისი განხორციელება.
ამ სიგელში ვკითხულობთ: ... „Справлялись съ за-
кономъ и нашли, что, по закону царя Вахтанга,
если крестьянинъ уйдетъ отъ своего господина и
проживетъ въ другомъ мѣстѣ 30 лѣтъ, то прежній
владѣлецъ не можетъ уже имѣть на него владѣль-
ческихъ правъ. А какъ крестьяне Мирзашвили въ
Джавахетіи всего 6 лѣтъ, то мы, вслѣдствіе этого
и на основаніи этого вышеприведенаго закона,
постановили: признать ихъ крестьянами сардара
Давида (Орбеліани)“¹²⁰). კანონი, რომელიც აქ მო-
ხებულია, გვაუწყებს შემდეგს: „თუ აქედამ აუზი-
ლი გლეხი სხვის საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექვ-
ნი წელიწადი დაჰყოს და ისევ ხელმწიფის უმად მო-

სჩანს, ხშირად განუჩეველად იხმარება უმა და გლეხ-კაცი. სი-
გელებშიც ასეა (крестьянинъ, „крѣпостной“). ამ გვარადვე
ირვა, როგორც ვნახავთ, მეფე-ბატონი და ბატონ-პატონი,

¹¹⁹) ვახტ. კანონები, § 200.

¹²⁰) Кр. гр., 25. რუსულად მოვიუვანე, რადგანაც მსურ-
და დამეცვა ტექსტი.

ეიღა, თუ უნდა მისცემს ხელმწიფე, თუ უნდა არი¹²¹⁾.. ეს პარველი ნახევარია იმ დადგინების საფუძვლად, რომელიც გადასწყდა ორბელიანის სა- სარგებლოდ. მეორე ნახევარს მსაჯულის გადაწყვე- ტილებისას აქვს საფუძველი შემდეგს მუხლში: „თუ საბატიოს კაცის შეიღის ყმა სხვის საბატონოში წავიდეს, თუ 30 წელიწადი იქ დაჭურ და ისევ მო- ვიდა და სხვა გაცს უმო, გეღარას შეუვა, თუ ნაკლე- ბი დაჰყო... ძველს ბატონს უნდა მიეცეს“¹²²⁾.. მირზაშეიღილი ოც-და-ათ წელზედ ნაკლები იყო და- კარგული და ამიტომ გადაუწყვიტეს ორბელიანთან— პირველ მებატონესთან დაბრუნება.

ბატონები ეძებდნენ თავიანთ დაკარგულ ყმებს¹²³⁾. უადად წინად დადებული იყო 30 წელიწადი. ამის კვალს ვპოულობთ აღბულას კანონებში, რომელმაც თავის მხრივ შეამცირა ვადა შეიღ წლამდე¹²⁴⁾. ვახ-

¹²¹⁾ ვახტ. კან., § 201.

¹²²⁾ ვახტ. კან., § 202.

¹²³⁾ სოლომონ და ირაკლი მეფეთა შორის დადგენილ ხელ- შეკრულობის მეშვიდე პენტი აშშობს: ყმანი და გლუხნი თვინიერ ნებით გადასულნი ერთმანეთს დაუბრუნდეს (Дѣла грузинскія. Арх. М. М. Д.).

¹²⁴⁾ აღბულას კან., § 78. შეად. მოსეს კან., § 6.

ტანგმა ვადად ისევ 30 წელი დახდო¹²⁵). რუსეთში ჯერ ხუთი წელიწადი იყო, შემდევ 10—15 წ., 1646 წელს ალექსი მიხეილის ძემ ვადა სრულებით მოსპოდა ნება მისცა მებატონებს ეძებნათ დაკარგული ყმა უვადოდ („ნევსრობი, ნევ იროკა ლტТ, ვჭყიო“). ამ კანონის ძალით, მე-XVII საუკ. დასაწყისს გაპარულ ყმებს ეძებდნენ ბატონები ეკატერინე მეორის მეფობაში! ჩვენში უფლება ძებნისა ვადადიოდა არამც თუ შეილებზედ, არამედ ნათესავებზედაც. მოხისელის ბატონის გლეხი გაპარა რუსში, მაგრამ მისის ბატონის ნათესავმა, მეფე ვახტანგის გრძანებით, მოაძებნინა და გახადათავის ყმად¹²⁶). თვით შაჰიბაზის დროს ამ გაპარებასა და დაბრუნებას ეხედავთ გამეფებულს. იგი უბძანებს ფირმანით ქიურამ-ოლლის (გურამიშვილს), გლეხები (ყმანი) მოსძებნონ, საცა არიან, და დაუბრუნონ პატრონს¹²⁷). ყმები თავისას არ იშლიდნენ და გაპარებას არ იფიტყებდნენ¹²⁸). თუ გაპარული 30 წელს (ან 12 წ. თრიალეთზედ) დაჰყოფდა, მაშინ იგი თავისუფლდებოდა ბოტონისაგან.

¹²⁵) ვახტ. კან., § 202.

¹²⁶) Кр. гр., 8, 25. Акты Кавказ. Археогр. ком. I, 47, 72.

¹²⁷) Кр. гр., 87.

¹²⁸) Кр. гр., 13, 105.

ეახტანგ მეფემ ეს 30 წლის ვადა დასდო, შევეოძლიან ვითიქროთ, მცირე მამულის პატრონთა სასარგებლოდ წინააღმდეგ დაცთა მებატონეთა. დიდის მამულის მფლობელს შევძლო გადაყვანილი გლეხი დაემალა. შეიდის წლით, როგორც აღბუღა სწერდა¹²⁹), სხვა-და-სხვა მითარებულს მხარეს თავის უზარმაშარის მამულისა და შემდეგ ამ ვადისა დაესაკუთრებინა გამოპარული გლეხი კანონის ძალით, 30 წლით დამალვა უფრო ძნელი იყო და გამოქცეულის ყმის ძველს პატრონს მეტი დრო ეძლეოდა იმის მოსაძებნად.

გარემოება ოცვლება და ვადას მნიშვნელობა აღარა აქვს გამოქცეულის ყმის დაბრუნებისათვის, თუ იგი გამოპარული გლეხი „დავთარში“ ახალს ბატონთან აღწერის დროს ორჯელ მოექცა. ქართლში აღწერა შეიდ წელიწადში ერთხელ ხდება, მაშასადამე საკმარისი იყო ორ აღწერას—14 წელიწადს—გაევლო ყმის გამოპარებიდამ, რომ ბატონს დაჰკარგვოდა ნება იმის მოსაძებნად, მაგრამ ჯერ კიდევ თვით ყმას ეძლევა ნება დაბრუნდეს ძველს პატრონთან. რაკი გაივლის 30 წელი, მაშინ ყმაც ჰყარგავს უფლებას დაბრუნდეს უკან და, თუ დაბრუნდა „სამკვიდროზედ“, იმან (ძველმა ბატონმა) ისევ უნდა მოჰცეს¹³⁰). ხელ-

¹²⁹⁾ აღბუღას კან., § 78.

¹³⁰⁾ ვახტ. კან., § 199.

მწიფის დაკთარში ეისაც მოსვლია, იმის სახელზედ
ჭირის მქონლად დაიწეროს „¹³¹“). აქედგან ბატონ-
უმობა დაბადებული ეკონომიურს ნიადაგზედ იქმნა
მიღებული კანონით და განმტკიციუბულ სიაში, „დაკ-
თარში“ ჩაწერით. რუსეთში პირველის რევიზიის შემ-
დეგ (1718 წ.) ყმანი ჩაიწერნენ რევიზიის სიაში
(„ревизскія сказки“). ჩვენში მოექცნენ „დაკთარ-
ში“. ეინც ორჯელ აღწერის დროს ერთისა და იმავე
ბატონის დაკთარში მოექცა და დაპყო იმასთან ვი-
წელი, იგი ხეხბა იმის სამკეილრო ყმად, წინანდელს
„სამკეილროზე“ ვეღარ წავა, თუ წავა, ისევ უნდა
მოსცეს¹³²). თვით ელი, „მწყემსი ხალხი, რომელიც
ხვნა-თვესეას არ მისდევს და ბინას იცელის“¹³³) („Гу-
ляющіе люди“ რუსეთში), რაკი მოექცა დაკთარში,
ხდება ბატონის სამუდამო ყმად, ჰკარგავს უფლება
თავისუფლად გადასელისას¹³⁴).

¹³¹) ევროპაში საკმარისი იყო ერთი წელიწადი ყმას გა-
ტარებინა სხვა ბატონთან, რომ იმის ყმად გამხდარიყო (droit
d'eubainage). კარ्भევъ. ფრანც. ქრეს्तიანე, 42.

¹³²) კრ. გრ., 25. „დაგთრის“ მნიშვნელობაზედ ნახე
ხაერდე. არხეოლ. Путешествие по Гурii и Адигарѣ, გვ.
320, 327.

¹³³) 3. უმიკაშვილის ახსნა „ელისა“. იხ. „დასტურლა-
მალი“, გვ. 169.

¹³⁴) კრ. გრ., 27. შესანიშვნა, ბატონს რომ სხვის ყმამ

მაშასალამე, კერძო დამოკიდებულება, რომელიც
სუფევდა ბატონსა და ყმას შორის, მთაერობაშ სა-
ხელმწიფო აქტებით, „დავთარში“ ჩაწერით აღწერის
დროს განამტკიცა, მისცა იურიდიული სანქცია ცხოვ-
ვრებისაგან დაწნულ გარემოებასა და მიზეზს და
აღიარა მტკიცე კანონად გაძლიერებული და გახში-
რებული ჩვეულება, ბატონთან ხელწერილის, „წიგ-
ნის“ დადების მაგიერ, სახელმწიფო სიით დაკავშირე-
ბა ყმისა ბატონთან.

ბატონ-ყმობაში ამ გვარად უნდა აღინიშნოს,
როგორც სუყველგან მოხდა, ორი ფაზისი განვითარე-
ბისა: მოშზალება ბატონ-ყმობისა ეკონომიურის მიზე-
ზებით და იმის განმტკიცება კანონ-მდებლობით, მთა-
ვრობის აქტებით.

VIII

ყმები ჰყავდათ როგორც კერძო ბატონებს, აგ-
რეთვე თვით მეფეს (სახასო ყმანი) და ეკკლესია-მო-
ნასტრებს. ხშირად ყმანი ბატონისა და მეფის განუ-
რჩევლად იხმარებიან, რადგან მეფეც თავის თავს ყმის

„წიგნი“ მისცეს მოტუუბით, „მომდევარი“ არა მყავსო, და ახა-
ლის ბატონის სიაში ჩაეწეროს, ძველი ბატონი ჰყარგავს იმაზედ
უფლებას. ვახტ. კან., § 262.

შესახებ „ბატონის“ უწოდებს. აქედამ წარმოსდგა გა-
მოურკეცულობა, როდის არ ის ლაპარაკი მეფეზედ და
როდის კერძო ბატონზედ. იქნება ეს ასე მოხდა იმი-
ტომ, რომ წინანდელი ბატონი და შემდეგი მეფე
ერთ-ნაირად ექცევლინენ ყმებს, ჰქონდათ თანასწორი
იურისლიქცია ყმებზედ¹³⁵⁾. სახასო და საეკულესიო
ყმათა შორის, როგორც საერთოდ საბატონო ყმებ-
ში, მოპყვნენ ტუვე და ნახყიდი, ნაბოძები და შეწი-
რულნი, თავის ნებით ყმალ შესულნი და თავ-შეფა-
რებულნი. საეკულესიო ყმათა რიცხვი მუდამ ჰმატუ-
ლობდა, რადგან ცოდვილნი მებატონენი სულის სა-
ცხონებლად არ იშურებდნენ ეკულესიებისთვის ყმები-
სა და მამულის შეწირეას. დასავლეთ ევროპის ისტო-
რიკოსის გრიგოლ ტურსკის ნაწერებიდგან აშკარად,
სჩანს ის შეუთანასწორობა, რომელიც მეფობდა კერ-
ძო უწმინდურის ცხოვრებასა და ეკულესიათა უხვის
შეწირულებას შორის (VI საუკ.). ჩვენშიაც გადაშა-
ლეთ გუჯრები და ყოველს გვერდზედ შეხვდებით,

¹³⁵⁾ ასეთ განურჩევლობას ბატონისა და მეფის ხმარებაში
ვხედავთ სხვის კანონებშიაც. ფრანგების სამართალში dominus
და rex ირევა. სხვა-და-სხვა ხელო-ნაწერი სხვა-და-სხვა დროი-
სა ხმარობს ქველად dominus და შემდეგ rex. ნაე Lex
Salica, §§ 13, 44, 46; in trustee dominica და in trustee
reguli. Срв. Deloche. L'Antrustion, page, 6.

რომ სულის მოსახსენებლად, ცოდვათა მისატევებლად, შვილების სადღეგრძელოდ, წირვითა და ლოცვით მოსახსენებლად¹⁸⁶⁾ ჩენენი მებატონენი ხელ-გა-შლით სწირავდნენ ეკულესია-მონასტრებს მამულსა და ყმებს. აქ, საეკულესიო ყმათა შორის, როგორც ევ-როპაში, ნახავთ თავის თავის შემწირველთ: სულა-ძემ შესწირა თავი ეკულესის და შეეცა ნება საეკუ-ლესიო მამულზედ დასახლებისა¹⁸⁷⁾. უპატრონონი და უბატონონი ეძებდნენ მფარეველობასა და ყმობას ეკუ-ლესისას: აქტით 1740 წ. გლეხი არაგვის ერისთა-ვისა, ლეკების ტყვეობიდამ განთავისუფლებული, და-რჩენილი უპატრონოდ, შეეფარა ურბნისის მონას-ტერს¹⁸⁸⁾. ეკულესია თვით უფლობს ყმებს და ასახ-ლებს თავის მიწა-წყალზე¹⁸⁹⁾. ერთის შეხედვით თით-ქოს ეკულესის მონაწილეობის მიღება ვლეხთა სყიდ-ვაში არღვევს კათოლიკოზთა კანონებს, რომელთა თანახმად ეკულესია უკრძალავდა ყმის სყიდვა-გასყიდ-

¹⁸⁶⁾ Церк. гуд., 7, 19, 59, 62, 26, 28. Археол. путеш. по Гурії, 303, 318.

¹⁸⁷⁾ Церк. гудж., 19; ნახე კიდევ Церк. гудж., 55.

¹⁸⁸⁾ Церк. гудж., 27, 57.

¹⁸⁹⁾ Церк. гудж., 58, 59, 61. Brosset. Introduction, 127.

ვას¹⁴⁰). ეკულესია გასაკიცხი არ არის, თუ იგრ ყიდულობდა ყმებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი შევიწროებული გარემოებაა შეემსუბუქებინა: საეკულესიო ყმას ბევრი შეღავათი ჰქონდა შედარებით საბატონო ყმასთან და ამიტომაც ხდებოდა, რომ საბატონო ყმები იპარებოდნენ და გადადიოდნენ საეკულესიო მამულზედ; ციციშვილის გლეხი ზაქარია გასიტაშვილი, შევიწროებული თავის ბატონისაგან, შეეფარა რუისის სობოროს; მეფემ იცნო გლეხის ხაჩივარი სამართლიანად და თავის ქონებით გადასცა იგი რუისის კათედრას¹⁴¹). ერთნელ შეწირული მამული და ყმა ეკულესისაგან აღარ გამოიწირებოდა¹⁴²).

ეკულესის მფარველობის ქვეშ შესულოთ მიეტევებოდათ დანაშაულნი: მოჯამაგირემ თულაშვილთა გააპატიურა ქალბატონი, ბატონებს იმის მოკველა უნდოდათ, მაგრამ რაკი ეკულესის შეეფარა, მიუტევეს შეცოდება ხორციელი¹⁴³).

¹⁴⁰) კანონები კათოლ., § 2; ცერ. გუდჯ., 148, 149.

¹⁴¹) ცერ. გუდჯ., 45; ნახე კიდევ Brosset. Introduction, 151, 152—3. კრ. გრ., 8, 149.

¹⁴²) ცერ. გუდჯ., 35.

¹⁴³) ცერ. გუდჯ., 59. ეკულესის მფარველობის ქვეშ შესულოთ ახლაც მიეტევებათ ხოლმე დანაშაული თუშ-ფშავ-ხევ-

საეკულესიო მამულის გამნაწილებელი ყმათა შორის არის კათოლიკოზი, ეპისკოპოზი, წინამძღვარი მანასტრისა, თუ სამონასტრო მამულს განმეორებით დამტკიცება სჭირდება ახალის მეფისაგან¹⁴⁴). აფრეთვეთ თეთრებით ეკულესია ურიგებსა და ამტკიცებს საეკულესიო მამულს იმათ სასარგებლოდ, რომელთაც წინადვე მიიღეს იგი მოსახმარად. ამიტომ როგორც ამოწყვეტილი საბატონო მამული უბრუნდება ბატონს, აგრეთვე საეკულესიო მამული უბრუნდება კათოლიკოზს, წინამძღვარს, რომელიც უმაღლესის პატრიონის უფლებით აძლევს თავის ყმებს¹⁴⁵). ერთის სიტყვით, საეკულესიო და სამანასტრო ბატონები არაფრით არის ირჩევიანი ჩვეულებრივ მამულის ბატონებისაგან. ეს თანასწორობა იქამდის მიღის, რომ სამღვთო პირზედ გადადის წინამძღვრობაც ჯარისა, იმ ყმათაგან შემდგრისა, რომელიც დასახლებულნი იყვნენ საეკულესიო მამულზედ¹⁴⁶). რადგან მიღებული იყო, რომ

სურეთში. ნახე ჩემი წერილი. „О мохевцахъ“ въ Этнограф. сборнике, вып. III.

¹⁴⁴⁾ Церк. гудж., 12, 96, 97.

¹⁴⁵⁾ Церк. гудж., 150. ქუთასის შიტროპოლიტმა გადასცა ამოწყვეტილი მამული გლეხის შოშებისა გლეხის ჯანმაძეს. იხ. კადევ ცерк. гудж., 113, 114, 125, 126.

¹⁴⁶⁾ Крест. гр., 21—22.

ბატონი თავის ყმებით მიღიოდა ჯარში, ამიტომ კა-
თოლიკოზიც თავის გლეხებით, როგორც სამხედრო
კაცი, ასრულებდა ლაშქრობის მოვალეობას. დასავ-
ლეთ ეკროპაშიაც მოხდა ასეთი მატერიალიზაცია
ეკულესიისა: ეპისკოპოზები, ამბობს ისტორიკოსი
გრიგოლ ტურსკი, დადიოდნენ ჯარში, შეჭურვილი
იარალით.

გლეხს ერჩივნა ეკულესიის ყმობა: სასულიერო
წოდებას უფრო ნაკლები მოთხოვნილება ჰქონდა,
ეილრე ჩვენს თავად-აზნაურს, გონებითა და ზნეობით
პირველი მაღლა იღვა მეორეზედ და ქონებრივი შე-
ძლებაც მეტი ჰქონდა. ამიტომ, საფიქრებელია, ეკულე-
სია ნაკლებად აწუხებდა თავის ყმას შედარებით თა-
ვად-აზნაურთან. ეკულესია სცდილობდა დაეცვა მშეი-
დობიანობა და კაცობრიობა ყმათა და ბატონთა შო-
რის; იგი სცდილობდა გაერცელებული ბარბაროსუ-
ლი ჩვეულება—ყმის ყიდვა-გაყიდვა მოესპო და,
რასაკვირველია, თვითვე არ იზამდა მას, რის წინა-
აღმდეგაც იბრძოდა. ეკულესიას ამ შემთხვევაში დიდი
გავლენა ჰქონდა ბატონ-ყმობის მოსალბობად და
მოსატეხად. ბატონები აძლევდნენ პირობას ეკულესიას,
რომ ყმებს არ გაჰყიდ-გამოჰყიდდნენ, ტყვეს ურჯუ-
ლოზედ არ გაჰყიდდნენ. სამეგრელოს მთავარი ბეჭა-
ნი აძლევდა ალთქმას კათოლიკოზს გრიგოლს, რომ
შენს ბძანებას ტყვეების გაყიდვის შესახებ შევასრუ-

ლებ და ვინც დარღვევს ამ შტნებას, დავსჯი კანონიერადაო¹⁴⁷). ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ეკკლესიას, მაგალითად, რომის იმპერიაშიაც¹⁴⁸).

საეკკლესიო გლეხს შეეძლო კათოლიკოზის თანხმობით გაეყიდნა თავის მამული, სახლი, ვენახი¹⁴⁹), შეეძლო თავისუფლად წასულიყო საფაჭოდ, შეეძნა თავისი საკუთარი მამული¹⁵⁰). იგი იყო განთავისუფლებული ზოგიერთ ხარჯისაგან, რომელიც უთუოდ უნდა გადაეხადნა საბატონო ყმას. ხშირად იმას ერთმევა მნიშვნოდ სანთელ-საკმელი, ან მოვალედ ხდება წელიწადში ერთხელ აღაპი განვითართა ბატონის სულისთვის¹⁵¹). სახელ-მწიფოდ მას ერთმევა ლაშეარ-

¹⁴⁷⁾ Церк. гудж., 149. Акты Кавказ. Арх. ком. I, 52, 55, 56, 61, 64. Brosset. Introduction, 82.

¹⁴⁸⁾ Defensor civitatis—მფარველი საწყალის ხალხისა იყო ეპისკოპოზი, რომელსაც მიეცა სისხლის იურისდიკციაც. ჩვენში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭურნდიდელს. აქვე ურიგო არ იქნება მოვიყვანოთ ჩვენ ქორეპოსკოპოზების ასახსნელად შესანიშნავი ცნობა: ბერძენთა იმპერ. ლევ. I განკარგულებით პატარა მაზრებში (chorai) დანიშნულნი იყვნენ ქორეპისკოპოსნი, რომელთაც ემორჩილებოდა მაზრები. Kuhn. Die Städtische und burgerliche vertassug d. Rom. II. B. II, стр. 241.

¹⁴⁹⁾ Кр. гр., 29, 56.

¹⁵⁰⁾ Церк. гудж., 52, 64, 65, 59.

¹⁵¹⁾ Церк. гудж., 27, 89, 109, 132, 144. Brosset. Introd., 115, 129.

ნადირობისა და სათათრო საურის გადასახადი¹⁵²⁾ ეს
ისეთი მოვალეობა იყო ყოვლის კაცისა, ვინც სა-
ქართველოში ცხოვრობდა, რომ ამ ხარჯისაგან გან-
თავისუფლება მეტად იშვიათი საქმე იყო¹⁵³⁾. როცა
ჩამოჰთელით საერთოდ გლეხის გადასახადს, ამ სა-
განს კიდევ დაეუბრუნდებით; ახლა-კი საკმარისია
ესთქვათ, რომ საეკკლესიო ყმის სამსახური ხშირად
არ იყო მძიმე: ნახევარ გირვანქის სანთლის შეწირვა
ბევრს არ გაუჭირდებოდა¹⁵⁴⁾. რასაკეირველია, იყვნენ
ისეთი საეკკლესიო ყმანიც, რომელნიც საბატონო
გლეხთან თანასწორად შეწუხებულნი იყვნენ. რადგან
ალეილთ იყო ეკკლესიის ყმობა, ამიტომ ეხედავთ დაუ-
ლალავს ცდას ყმის მხრივ გადავიდეს საბატონო ყმო-
ბიდამ საეკკლესიო გლეხად. თუ მიეიღებთ მხედვე-
ლობაში, რომ საბატონო ყმას საეკკლესიო სამსახუ-
რიკ არ აკლდებოდა, მაშინ საბუთიანად ეტუნობთ ამ
მეცადინეობას უმებისას. თეოთ განთავისუფლებულნი
ყმობისაგან შედიან ეკკლესიის ყმად (Дв. гр.).
ამას დაუმნეთ ის გარემოებაც, რომ სახასო.

¹⁵²⁾ Церк. гудж., 102, 115, 37, 38, 107, 108. Brosset. Introd. 124. Акты Кавказ. Археогр. ком., I, 8, 9, 23, 30.

¹⁵³⁾ Церк. гудж., 56, 105.

¹⁵⁴⁾ Церк. гудж.. 55, 87, 125, 81.

და საბატონო ყმა ყოველთვის ემსახურებოდა ეკკლესიასაც. „Въ Грузии никто никогда не слыхалъ, чтобы кто-нибудь уклонился отъ уплаты церковныхъ податей“¹⁵⁵). ორის სამსახურის გაწევის მაგიერად, ყმას ერჩიენა ერთი საეკკლესიო ბატონი ჰუმლოდა და იმისთვისაც ბევრად ნაკლები სამსახური დასჭირდებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ ბატონისათვის. სახასო ყმასთანაც შედარებით საეკკლესიო უკეთესს მდგომარეობაში იყო: სახასოს არ ეძლეოდა, როგორც ენახავთ, იმდენი შეღავათი გადასახადში, რამდენიც საეკკლესიოს. ახლაც სახასო გლეხები ბევრით ჩამორჩენილნი არიან, მაგალითად, ქრისტეს საფლავის ყმებთან შედარებით: „მონასტრის გლეხები თითქმის უფრო უკეთესს ყოფა-ცხოვრებაში არიან, ვიდრე სახელმწიფოზი. სახელმწიფო გლეხებს არა ჰუმლნით თავისი მამული და ძალა-უნებურად გადადინ საბატონოში და ემსახურებიან ორ ბატონს: სახელმწიფოსა და რომელსამე მემამულეს. მონასტრის, ანუ საბერო გლეხს მამული სწორედ თავზედ - საყრელი ქქვს. იგი მხოლოდ ერთად-ერთს ბატონს ემსახურება, ერთთან აქვს საქმე, აძლევს მცირედს ხარჯს პურ-

¹⁵⁵⁾ Кр. гр., 27.

ზე, ქერზე, სიმინდზე, ვენახზე; სხვა უკელა მიწის
ბოსაეალი თავისუფალია გადასახადისაგან“¹⁵⁶⁾.

IX

გლეხს ეჩჩიცნა აგრეთვე მეფის ყმობა: ის უფრო
ნაკლებად სასტიკი ბატონი იყო. გარდა ამისა საბა-
ტონო გლეხი მეფის სასარგებლოდ მაინც იხდიდა
„კოდის პურს, საბალახეს, ბეგარას“. აგრეთვე „ლაშ-
ქარ-ნაღირობა არც ერთ არ დაკლდების, უნდა ქნას,
თუ ხელმწიფემ არ გათარხნა“¹⁵⁷⁾. გათარხნება-კი
იშვიათი იყო. მეფე ანთავისუფლებდა საბატონო ყმებს
სახელმწიფო ხარჯისაგან ბატონის რაიმე სამსახურის
დასაჯილდოვებლად. მეფე როსტომმა განათავისუფ-
ლა ტატიშვილის ყმები ლალისა და საბალახოსა-
გან იმ ერთგულებისათვის, რომელიც ტატიშვილმა
დაუმტკიცა მეფეს, როცა საომრად მიესია კახეთის
მფლობელს¹⁵⁸⁾. უფრო იშვიათი იყო ლაშქარ-ნაღი-
რობის მოვალეობის ახდა საბატონო ყმებისაგან მეფის

¹⁵⁶⁾ „ივერია“ 1888 წ. № 216. „წერილი ქართლი-
დაშ“, ს. გუნდაძისა.

¹⁵⁷⁾ ვახტ. კან., ს. 162. აგრეთვე საქორწილო და ალაპი
მეფისთვის არ აკლდებათ. კრ. გრ., 70.

¹⁵⁸⁾ კрест. გრ., 4.

სასაჩვებლოდ¹⁵⁹). თუ ენისელის მოურავის ყმანი მე-
ფი ალექსანდრემ 1527 წ. სიგელით განათავისუფლა
მალისაგან, ეს ჯილდო იყო იმ სამხახურისათვის, რო-
მელიც ბებურმა მეფეს გაუწია ძმისწულთან (ლეონ-
თან) ომში¹⁶⁰). საბატონო ყმანი იშეიათად არიან თა-
ვისუფალნი სახელმწიფო გარდასახადისაგან და სახა-
სო გლეხები-კი ხშირად თავისუფლდებიან ყველა. სა-
ხელმწიფო გამოსაღებისაგან მარტო იმიტომ, რომ
ყმა მორჩილი არის. რაკი სახასო უკეთესს მდგომა-
რეობაში იყო და საბატონო ყმა ორს ბატონს — მეფეს,
და პატრონს-ბატონს ერთად ემსახურებოდა, ამიტომ
არა ერთხელ ვხედავთ მაგალითს, რომ საბატონო
ყმა სცდილობს გადავიდეს ან საეკულესიო და ან სა-
ხასო ყმად. გლეხი ჰერცოგი, როცა იმას ბატონი იჩე-
მებს და არმევს სახასო სითარხნეს, მეფეს სთხოვს
მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ და დაიხსნას შე-
ვიწროებისაგან. ასეთს თხოვნას წარმოადგენს სიგე-

¹⁵⁹⁾ ვახტანგმა აზნაური გახაშვილი განათავისუფლა უვე-
ლა გადასახადისაგან, გარდა ლაშქარ. ნადირობისა და თაორის
მალისა. ქვემოთ მდგრადად გადასახადისაგან, გარდა ლაშქარ-
ნადირობისა. ქვემოთ მდგრადად გადასახადისაგან, გარდა ლაშქარ-

¹⁶⁰⁾ ქვემოთ მდგრადად გადასახადისაგან, გარდა ლაშქარ-

ლი, მიცემული იქანე შავდათუაშვილის „სახელობაზედ¹⁶¹⁾.

ვანთავისუფლებული ბატონისაგან, „აზატი“ ყმა მიღის, მეფის მფარენელობის ქვეშ. დავით გიორგაშვილი, გათარხნებული ყმობისაგან, მიღის ყმად მეფე ერეკლესთან¹⁶²⁾), და უკეთესს ბატონსაც ვერ იპოვნიდა.

სახელმწიფო ინტერესს შეადგენდა გლეხის მდგომარეობა განეკარგებინა. პრინციპი ავსტრიის იმპერატორის ითხებ H—pauvre paysan, pauvre rayon კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენს მეფეებსაც. ამისთვის ისინი სცდილობლენ კანონით განესაზღურათ გლეხის სამსახური ბატონისადმი, დაემკვიდრებინათ კაც-მოყვარული დამოკიდებულება ყმასა და ბატონს შორის. ვასტანგმა კანონით მისუა ნება ყმას თავი დაანებოს თავის სასტიკ ბატონს, თავი შეაფაროს სადმე ექვსის წლით და შემდეგ დაბრუნებისა შეიძლოს და გადავიდეს სახასო გლეხად. „იმიტომ დავწერეთო, უმატებს კაც-მოყვარე მეფე: რომ ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თურემ წავა,“

¹⁶¹⁾ Кр. гр., 77.

¹⁶²⁾ Двор. гр., 126.

ექვეს წელიწადნ სხვაგან დაჰყოფუ, მოვა, ხელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგებათო “¹⁶³⁾

გარდა კაც-მოყვარეობისა, ამ კანონის აღიარებას უდევს საფუძვლად პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებაც. ჩვენს სახელმწიფოს პქონდა, გარდა მაღალის ღირსების მიცემისა¹⁶⁴⁾ დასაჯილდოებლად, ერთად-ერთი წყარო—მამულის მიცემა გლეხებით. შემდევ ვხედავთ მამულის მიცემის მაგიერად თანამდებობის¹⁶⁵⁾ ბოძებას, რომელიც აძლევდა უფლებას მოხელეს თავის სასარგებლოდ მოეხმარა-ერთი ნაწილი სახელმწიფო შემოსავლისა. ნაზარ-ალი-ხანი აძლევს პაპუა ორბელიანს ახალ-ჭალაქის მოურაობას „ყოველის შემოსავლით“¹⁶⁶⁾. იმამ-ყული-ხანი კოდალაშვილს აძლევს მდივნობას კახეთში და ნახევარს

¹⁶³⁾ გახტანგის კან., § 201.

¹⁶⁴⁾ აზნაურობას აძლევს მეფე სოლომონ პარიაშვილს. ქვეყნის დამოუკიდებლობის მიზანი და მიზანი არ გვიჩვენება. დ. გ. 1797 წ.; გურიის მთავარი—გიორგი არბელაძეს. დ. გ., 54.

¹⁶⁵⁾ ხაინტერესო ცნობანი უმცვდა არხივში, რომლითაც შემდეგ ვისარგებლებ. აწ-კი პირდაპირ ამოვწერ, რა სახელმწიფოების თანამდებობანი იუნენ ცნობილნი ძველს საქართველოში. ნახე ცალკე ამონაწერი წიგნის ბოლოს.

¹⁶⁶⁾ ქვეყნის დამოუკიდებლობის მიზანი და მიზანი არ გვიჩვენება. დ. გ., 12; ი. გ. გ. გ. 16, 24, 32; ქ. გ. 62,

შემოსავალს სახელმწიფოს სასარგებლოდ¹⁶⁷⁾ ერკ-ლე მეფე აძლევს ქიბულაშვილს ლაშქარების თანამ-დებობას ვახეთში „ყოველის შემოსავლით“¹⁶⁸⁾. რუ-სეთში ასეთს წეს-წყობილებას უწოდებენ „კორმელ-ნიე“-ს. ძველ ღრმას პრივინციის მმართველნი ამ უფლებით ინიშნებოდნენ რუსეთში. მეთვრამეტე საუ-კუნის დამლევს ეხედავთ მხოლოდ საქართველოში ჯამაგირის დანიშნნას მოხელე კაცთათვების. ზარაშეილს ენიშნება 50 მარჩილი ჯამაგირი სხვა-და-სხვა სამსა-ხურითათვეს¹⁶⁹⁾). ერკლე მეფე უნიშნავს მსაჯულს ლეონიძეს 80 მან. ჯამაგირს, მაგრამ ამას შემოსა-ვალსაც უმატებს¹⁷⁰⁾. ხანდახან სასაცილო საჩუქარი ეძლეოდათ მეფის ერთგულება. გურიელი გიორგი წი-ნამძღვანს იოსებს ვარდება წალების ჯლანებს: „რო-დეს: ც ჩექმა გამოეიცალოთ, იხიც შენთვის გვიბრ-ძებია“. მეფე აძლევდა კიდევ „ნეკრესდობას“, „სალთ-ხუცესობას“, „მელეინეთ-ხუცესობას“, საბალახოს შე-მოსავალს და სხვა საზემოანს თანამდებობას, მაგ-

¹⁶⁷⁾ Двор. гр., 13, 28; Бакрадзе. Археол. Путешествие, 298, 310; Brosset. Introd. 53.

¹⁶⁸⁾ Двор. гр., 27; Акты Археогр. Ком. I, 2, 20, 37, 17.

¹⁶⁹⁾ Двор. гр., 25; Церк. гудж., 114.

¹⁷⁰⁾ Двор. гр., 27.

რამ მამულით და ყმებით დაჯილდოებული უფრო
პატივსაცემი იყო, ამ ეკონომიკურმა და კაცობრიულმა
შეხედულობამ შეიძლება დაწერინა ესტანგს მე-201
მუხლი, რომლის ძალით შეწუხებული ყმა, ექვსის
წლით სხვაგან თავ-შეფარებული, ხდებოდა შეუცი-
ლებელი ყმა ხელმწიფურას. საპელიტიკო სკოლითად
ეს წყარო ღირსეულის მოღვაწის დასაჯილდოებლად
არ მოსპობოდა, იქნება ამავე მოსაზრებით ხელმძღვა-
ნელობდა იმ დადგინდების თარ ბაზედ, რომლის თა-
ნახმად უკანონო გლეხის შეიღლო გადასუ-
ლიაყო სახასო ყმად¹⁷¹). ჩვეულებით მიღებული იყო,
რომ უკანონო შეიღლი ხდებოდა იმ ეკულესის ან
მონასტრის ყმად, რომლის მიწა-წყალზედაც იყო და-
ბადებული ბავშვი. ეკულესია, როგორც ბატონი ამ
გვარის კმისა, აძლევდა სხვას, იმ პირობის-კი, რომ
იგი არ გაეყიდათ და მიეცათ ცოტაოდენი უძრავი
მამული¹⁷²). საფრანგეთშიაც ასეთი ჩვეულება იყო
მიღებული: საეკულესიო უკანონო შეღლი ხდებოდა
ყმად (ერვად) ეკულესისა¹⁷³).

¹⁷¹⁾ ვაკტ. კან., § 110.

¹⁷²⁾ ე. ე. 113—114, 125. ექვთიმე, გელათის მო-
ნასტრის მიტროპოლიტი, აძლევა ამ პირობით ერისთვის უკანო-
ნო შეღლს მღვდელს იშხნებს.

¹⁷³⁾ კაर्भევ. ისტორія франц. крестьянъ; 45.

მეუე სცდილობდა ესარგებლნა ყოველის ემ-
თხვეეფთ, რომ უკან წაერთმია ნაბოძები ყმანი. მე-
ფ-ს შეილმა გიორგიმ ანდონიკაშვილს წაართვა ყმა
პეტრიაშვილი, რომლის ქალი გაუპატიურებული
იქმნა ბატონისაგან. პეტრიაშვილი ცოლშვილით გად-
მოასახლეს სახელმწიფო მამულზედ¹⁷⁴). გამოსყი-
დულნი ტყვეობისაგან მიღიან სახელმწიფო მამულ-
ზედ. თუით ელი, რომელსაც მრასწყინდება ელად
ყოფნა, მეუესთან მიღის ყმად. მას ეძლევა მაწა და
თავის შესანახად საკვება¹⁷⁵). სახელმწიფო მამულ-
ზედ ამ გვარად იუვნენ დასახლებულნი: თავის ნებით
ყმად შეულნი და ნასყიდი ტყვე.

ტყეით ვაჭრობა გახშირებული იყო დასაელეთ
საქართველოში. მკლეხის ბრძოლას ამ კაცის და-
მამცირებელ საქციელის წინააღმდეგ კარგი შედევი
ჰქონდა, თავისი ნაყოფი მოიტანა კიდეც და შესწყვი-
ტეს ყმით ვაჭრობა¹⁷⁶). მაშასადამე, სახასო, საბატო-
ნო და საეკულესით მამულზედ ერთ გვარი მოსახლკა-
რე ყმანი იუვნენ. იმათ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ
განსხვავება და არა ელემენტებში, რომელთაც შეად-
გინეს ყმიბის საფუძველი. „ნაბოძები“ ყმა, რომელ-

¹⁷⁴⁾ Кр. гр., 38.

¹⁷⁵⁾ Кр. гр., 41; Двор. гр., 50.

¹⁷⁶⁾ Церк. гудж., 149, 151.

საც პირველი ადგილი უჭირავს საბატონო და საეკულესით ყმათა შორის, სახასო მამულზედ არ მოძებნება, რაღან „ჩაბოძები“ მხოლოდ მეფისაგან ბატონებსა და ბატონებისაგან ყმებს ექლეოდათ. მეფებატონი და ბატონ-პატრონი ყველთვის ტრიოდნენ მხოლოდ გადასახადის სიმძიმით.

„ხელწერილით“, „წიგნით“¹⁷⁷⁾, „დაეთარში“ ჩაწერით განმტკიცებას ბატონ-უმობისას ერთ ნაირად ჰქონდა ადგილი საბატონო, საეკულესით და სასახო ყმად დასასაკუთრებლად. გაჩნდა ბატონ-უმობა, ხახელმწიფო „დაეთარით“ აღიარებული, როგორც რუსეთში „კრწიანი კე ველჩ“ გაკანონიერდა პეტრე დიდის დროს პირველის რევიზიის შემდეგ (1718 წ.). რა-კი ბატონ-უმობამ ფეხი იცვალა და გადავიდა კერძო დამოკიდებულებისაგან სახელმწიფო ნიადაგზედ, უველა „დაეთარში“ ჩაწერილნი გახდნენ სახელმწიფო მოხარკედ. გადასახადი გავრცელდა აგრეთვე ბუგანისა და ელზე. ბოგანთ (რუსების ნიბილი) იუმშეუძლებელი გლეხი, რომელსაც ვენახი არა ჰქონდა.

¹⁷⁷⁾ რომის ონცერიაში ამათ დაერქვათ adsiripti. ამათ დაკარგეს უფლება ბატონის შესახებ. მაგრამ თავისუფალნი არიან ერთმანეთის შესახებ. Происхождение феодальныхых отношений, Виноградовъ, стр. 28—9.

და სახლიც ან მოეპოვებადა, ან რა „ბოგანოზე, ამბობა დასტურლამალი: საური ორი შაური, ძლვენი ბოგანოს არა სძევს¹⁷⁸), რაღვანაც ბოგანო ლარიბა გლეხია და მამული მცირე აქვს, სრული საბატონო გარდასახადი არა სძევს“. მანც და მაინც წინათ თავისუფალნი ბოგანო (ნინები) და ელი (გულიუშიე ლიდი) გახდნენ სახელმწიფო მოხარკედ. „ელი სამს წელიწადში ერთხელ ჯღაწერების, ვკითხულობთ „დასტურო ამალში“: კომლზე სამი აბაზი ასამწერლო არი“ ...¹⁷⁹) ქართლში აღწერა ხდებოდა შეიძლება წელიწადში ერთხელ. ელთა აღწერა-კი თხოულობდა უფრო მოკლე ვადას, რაღვანაც ელნი ერთ აჟგილას არა რჩებოდნენ და იმათი რაოდენობა იცვლებოდა უხალის ჯვუფის გადმოსვლით საქართველოში.

აღწერის შემოღებამ მოუმატა სახელმწიფოს რიცხვი მოხარჯეთა, იმატა რაოდენობამ სახასო ყვა-თამ, რომელთა რიცხვში მოჰკვა წინად თავისუფა-ლი ბოგანო და ული. მეორეს მხრით განმტკიცდა ბატონ-ყმობა, დავთარში ჩაწერილი ბატონიან იმის

¹⁷⁸⁾ „დასტურლამალი“, გაციც. ვ. უმიკაშვილისა, გვერ. 73.

¹⁷⁹⁾ ibid., გვ. 75. დაწერილებით ჩამოვთვლით ელისა და ბოგანოს გადასახადს, როცა საერთოდ გვექნება ლაპარაკი საბატონო, საკულტო და სახასო უმარა საქართველის გვერ.

სამუდამო ყმად გახდა, ეს ორ ნაირი ყმა შედევი იყო
აღწერის შემოღებისა.

X

მას შემდეგ, რაც ბატონ-ყმობაშ მიიღო სახელ-
მწიფო ხახითი („დავთარში“ ჩაიწერა), ბატონი მე-
ფის მონცვე გახდა, ბატონის უფლება გაორკეცდა
და შესდგა ორის ელემენტისგან — ეკონომიურია და
და პოლიტიკურის ხელმწიფობისა: როგორც მამუ-
ლის მფლობელი, იგი სარგებლობს ყმის შჩომითა
და სამსახურით; როგორც სახელმწიფოს აგენტი,
აბჭიბს ყმათა საქმეს, უურს უგდებს იმის ობლებს,
და პასუხის-მგებელია ყმებისა მთავრობის წინაშე¹⁸⁰).
ბატონი გახდა ხელმწიფის წარმომადგენელად პროვინ-
ციაში, მიეცა განსაზღვრული უფლება და მოვალეო-
ბა; ბატონი გახდა მზრუნველი და მსაჯული ყმისა,
გაუფლდა იმის პიროვნებაზე, როგორც კანონიერი,
მთავრობისაგან დაყენებული მოხელე, რომელსაც ნე-
ბა აქვს დასტუქსოს და დასაჯოს მოუდრეკელი, ურჩი
ყმა¹⁸¹). ბატონს თვალს ადევნებს მეფე და მთავრობა,

¹⁸⁰) Fustel de Coulanges. Histoire des institutions politiques, გვ. 249—252.

¹⁸¹) ვახტანგის კან., §§ 80, 98 და 203. არევა კერძო

რომ თავისი დანიშნულება ყმების შესახევ წმანდად
შეასრულოს. გამოეარკვიოთ იმისი მოვალეობაც:

1) ბატონი უნდა იყოს შეუსყიდავი, მართლიერი პატიონი და მფარველი ყმისა. იმას არა აქვს ნება წაართვას რამე ყმას, რაც-კი კანონით არ ეკუთვნის. უკანონო საქციელი ამ შემთხვევაში ბატონს დაუტჯელად არ გადაუვლის: ბატონში თორმეტის გლეხის სისხლი უნდა მისული¹⁸²⁾.

2) ბატონს უნდა განეთავისუტლებინა ყმა ექვსის წლით გარდასახადისაგან, როცა ახალს სოფელში დასახლებდა¹⁸³⁾.

3) როცა ბატონის სახლში უფროსი კუდება, იმ წელიწადს ყვას ხარჯი არ გამოერთმევა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად¹⁸⁴⁾.

4) წყალს, შეშასა და ბალახს ბატონი ყმას ვერ დაუჭერს. „დასტურლამალში“ არ არის მოხსენებული ტყის ხარჯი, თუმცა სხვა გლეხის გარდასახადს მე-

და სახელმწიფო უფლებათა მოხდა ევროპაშიც. Waitz. Verfassungsgeschichte I, 167.

¹⁸²⁾ აღბულას კან., § 150. მიღებული იყო ჩვეულებითა და კანონით.

¹⁸³⁾ Обычай выработан при груз. царяхъ, § 63.

¹⁸⁴⁾ Обычай, § 67.

ტალ დაწვრილებით მოგვითხრობს¹⁸⁵). მეფე უწყრება ამილახეარს, რომ იგი უკრძალავს გლეხებს ტყით სარ- გებლობასა და არღვევს მიღებულს ჩეეულებას¹⁸⁶).

5) ბატონმა უნდა გამოჰკვებოს შიმშილობაში, ჩაცვას და დახუროს და დაუმარხოს თავის ყმას მცუალებული¹⁸⁷).

6) როცა სოფელი დაისეტყვა, ან მტერმა ჩა- თხჩა, იმ წელიწადს გლეხს არა გამოერთმის რა სამ- სახურისათვის ბატონისადმი. იგი თარხნდება რამდენი- სამე წლით რომლისამე გარდასახალისაგან: ვახტანგმა განათავისუფლა შაბაშვილი სახელმწიფო ხარჯისაგან ათის წლით¹⁸⁸). ავადმყოფობა საკმაო საბუთი იყო, რომ გლეხი განეთავისუფლებინათ მუშაობისაგან¹⁸⁹).

7) ბატონს აკრძალულა ჭქონდა შოეკლა, ან დაეჭრა თავისი ყმა: «ბატონისაც წაგნი დაადებინოს, ვკოთხულობთ ვახტანგის სამართალში. რომ: „უხელ- მწიფოთ ვერც მოკლას, ვერც განახეიბრის“¹⁹⁰). ეს

¹⁸⁵) ვახტანგ კან., § 169. გურიაში-კი უოვილა ტუზედ გადასახადი. Бакрадзе. Археол. путешествие, 284.

¹⁸⁶) Кр. гр., 45—6.

¹⁸⁷) Кр. гр., 56.

¹⁸⁸) Церк. гудж., 68; Двор, гр., 15.

¹⁸⁹) Крестъ. гр., 56.

¹⁹⁰) ვახტანგის კან., 258.

ხელ-შეუხებლობა ყმისა გაერცელდა თავის ნებით ყმად
შესულთ პირობისაგან, რომელის ძალით ბატონი
წიგნს აძლევდა, რომ კანონიერად მოექცეოდა ყმას,
სისხლის სამართალი ჩერნ შა ბატონებს, წინააღმდეგ
რუსეთისა, არ მიეცათ. უხელმწიფოდ, ბძანებს მეფე
ვახტანგი, კაც თავის ყმის სიკედილი არ წხელმწიფე-
ბის¹⁹¹). „Haute justice“ ეკუთხნოდა მეფეს და არა
ბატონს.

8) ბატონის მკელელი არ იყო ისე შეუწყალე-
ბელი დამნაშავე, როგორც უყურებენ იმას ბერძნე-
თა კანონები. თანახმად ამ კანონებისა, ბატონის
სისხლის დამჭკევი ცექლში უნდა დაწვათ¹⁹²). ჩვე-
ნის კანონების დადგინდებით ამ გვარს დამნაშავეს მხო-
ლოდ მდგომარეობა ეცვლება და ხდება ნასყიდზედ
ქვეით: „ნასყიდისაგან უფრო ვერსად დაიკარგოს“¹⁹³),
ამპობს ვახტანგი.

9) თუ ბატონმა მოჰკულა, პნ დასჭრა ყვა „უბ-
რალოდ“, საფათერაკო უნდა მისცეა და წყალობა
რამე უყოს და სისხლიც უნდა მისცეს. თუ იმის
ყმობა აღარ ინდომა... თავის ცოლ-შეილით ვისთა-

¹⁹¹) ვახტ. კან., § 95.

¹⁹²) ბერძნთა კან., § 172. Lex Salica, § 35. ძალით
ნახტარ სისხლის ფასად ეძლევა ბატონის ოჯახს.

¹⁹³) ვახტ. კან., § 258.

ნაც უნდა წავა, უწინდელი პატრონი ეელარ მიედა-
ების, ამიტომ რომ თავის სისხლით დაუხსნია თავი-
სი თავი¹⁹⁴⁾. მაშასადამე, ჩვენში ყმა არ არის „res“,
მხოლოდ სულიერი დასასჯელი, იგი არის სუბაექტი
საკუთარის უფლებით. თვით ბატონმა უნდა მისცეს
სისხლი ყმას, როცა დასჭრის, და უნდა ჰქონოს სი-
სხლი, ვირა (Wergeld) იმას ოჯახის სასარგებლოდ,
თუ ბატონისაგან მოკლულ იქმნა.

10) ბატონს არ შეეძლო ქვრივის ძალით გათ-
ხოვება, ყმის ობლების მოახლედ წაყვანა. ვახტანგის
კანონით ეს აკრძალული ჰქონდა¹⁹⁵⁾.

11) ბატონს არ შეეძლო ყმის ოჯახის შელახვა
და გაუპატიურება: თუ ბატონმა ყმის ცოლს უაში-
ყოს ან ლამე, ან დლისით და ცოლთან საწოლად
დაახელოს და იმან კაცმან მოკლა... სისხლი არ
გაუჩნდების¹⁹⁶⁾.

12) ბატონი ვალდებული იყო მოეცა ნება ყმის-
თვის გაეყიდნა თავისი მამული. ხუცაშეილებში ბატო-
ნის თანხმობით გაჰყიდეს ნასყიდი სახლის აღგარები¹⁹⁷⁾.
აგრეთვე საეკკლესიო მამული მეფისა და წინამძღვრის

¹⁹⁴⁾ ვახტანგ. კანონები, § 95.

¹⁹⁵⁾ ვახტ. კან., § 203.

¹⁹⁶⁾ ვახტანგ. კანონები, § 42.

¹⁹⁷⁾ ეპ. ეპ., 6.

Егъ-Античнот Шеодледа гаэтииц осл сафонаслурии умас¹⁹⁸⁾, тау гаукирда. Саадаатони мадулли жең батони ма, шунда гасинжис да, тау мониндуомеде, уицваши узи-кызесенда ეძледзе¹⁹⁹⁾. Саэкуледесин мадулли жең саэкуледесин үмас шунда Шеадлени²⁰⁰⁾ да Шемдед. Страна мониндуомедац Шеодленац то мониндуомеденең насыиц саэкуледесин мадул. 34.

13) үмас Шеодлор гаадасула ერთис ბатониса-
гын мониндуомедац то мониндуомедац гаадасула үмас
бисегаң. პირველа ჩეеулиеда гааурცელа үмасზედ თა-
ვаს ნებით Шеодлама ბатонис мониндуомеде ქეეშ;
მეორე ჩეеулиеда гаадасура үмас დროებით უაღის ამ-
ლებმა (nexus), რომელიც თარხნდება, რა-კი ალებუ-
ლი ვალი დაუბრუნა ვალის პატრონს თау үмас
Шеодлор гаадасула-გаадасула, ხიზანს ხომ ვერავინ
დაიჭერდა. იგი იყო მонижарнаძრე—conductor²⁰¹⁾.
Гаадасула ბატონს პატრონი უნდა მოჰქმე-
და, ხიზარული და სალамი არ უნდა მოესპო-
იმиствуе, როგორც libertinus' ს რომში²⁰²⁾.

¹⁹⁸⁾ Церк. гудж., 56.

¹⁹⁹⁾ Кр. гр., 62.

²⁰⁰⁾ Крест. гр., 56.

²⁰¹⁾ Кр. гр., 24.

²⁰²⁾ Brosset. Introduction, 82 (salut et amitié).

როგორც ბატონ-ყმობა მტკიცდებოდა „წიგნით“²⁰³⁾ და შემდეგ სახელმწიფო „დაცთარში“ ჩაწერით, აგრესუე გააზარება ყმისა თხოულობდა ხელ-მოწერილს ბატონისა და მოწმების მიერ მტკიცე სიგერს: „პატ-რონმან რომ ყმას თავი დაახსნევინოს და ბატონით და თავისის ბეჭდით წიგნი მისცეს, ის სწორე დახსნალი იქნება; ხელი აღარა აქვს ამასთან და, თუ კარგი რამ სჭირს, სანდახსან ემსახუროს, არაერნ დაუშლის; თუ წიგნი არა აქვს და უწიგნოთ გამოურთვევია რამ და სიტყვებით დაპირებია, ყმა სტყუის, ყმაც ბატონისა არის და საქონელიცა. ყოველი აზატი, დასძენს ვახტანგი, სარწმუნო მოწმებით და წიგნით მტკიცდება“^{203).}

აქ ვხედავთ, რომ ფორმალურს მხარეს გააზარებაში ღიღი მნიშვნელობა აქვს, წიგნი ბატონის ბეჭდითა და სარწმუნო მოწმებით დამტკიცებული ათარხნებს კაცს. თუ ეს დოკუმენტი არა აქვს, მაშინ ყმა „სტყუის“, იგი აზატი არ არის. განთავისუფლებას ყმისას ყოველთვის ღიღის ცერემონიით იხდიდნენ. ფრანკები მეფის თანადასწრებით ათარხნებდნენ ყმას „per denarium“, ყმას ხელიდგან გააგდებინებდა. ბატონი დენარიას და ამით იმის სასყიდელს ვითომ

²⁰³⁾ ვახტანგ. კან., § 260.

იღებდა და იმას-კი ანთავისუფლებდა. რომში ხუთის
მოწმის თანადასწრებით უნდა მომხდარიყო ყმის გაა-
ზატება, როგორც ვკითხულობთ იუსტინიანის დიგენ-
ტებში²⁰⁴).

ბატონი ანთავისუფლებდა ყმას ან სამაღლოდ,
ან თავის სულის მოსახსენებლად სიკუდილ ს შემდეგ
„წაგნით“. თუ ეს უკანასკნელი განზრახვა ჰქონდა
ბატონს, მაშინ იგი მოხენებული უნდა ყოფილიყო
წერილში, რა „ალაპი დაძვა, ან რა სულის საჭირო“²⁰⁵); წერილში უნდა ყოფილიყო მოხენებუ-
ლი, რა საქონლით, რა „მამულით გააზატა თავისი
ყმა“²⁰⁶). მაშასადამე, ჩევნში ძეელის-ძეელად მიღებუ-
ლია გააზატება მამულით. კარგად ცნობილია, რა კა-
მათობა გამოიწვია მე-60 წლებს რუსეთში იმ საგანმა,
რომ მამულით თუ უმამულოდ განთავისუფლებული-
ყო ყმა²⁰⁷). აღბუღამ ხომ გლეხის განთავისუფლება
მამულოდ მამულით იცის²⁰⁸).

თუ ყმა ეკუთვნოდა ერთს ბატონს სიკუდილამ-
დის,—ასე მესმის მე „личный“ ყმა 1794 წ. სიგე-

²⁰⁴) ვ. Un., § 1. C de Lat. lib. tol. (7, 6).

²⁰⁵) ვახტანგის კანონები, § 234.

²⁰⁶) 1. c.

²⁰⁷) Семевский. Крестьянский вопросъ.

²⁰⁸) აღბუღას კან., 57.

ლისა²⁰⁹) — მაშინ იგი თავისუფლდებოდა, როცა „ბატონი“ აღარ ჰქაედა. ნათესავებს ამისთანა ყმასთან «ხელი არა აქვს». თუ კა ეკუთვნის მთელს გვარეულობას, მაშინ კა ის განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სუკველას ხელის მოწერით გააჩატების ბარათზედ: „თუ არა იყო სათავისთავო, ან თავის ჭითვით ნასყიდი, საძმო და სასახლო იყოს, მარტო თითონ არ შეუძლია აზატი ჰყოს, კუელას მოსამსახურე იქნება, არა მარტო იმის. იმან რომ კიდეც მისცეს აზატი, თუ სხვებმა არ დაუმტკიცეს, ამისთანა აზატი საღავო, დაუმტკიცებელი იქნება და არც გაუთავდება“²¹⁰). ეკალესიას ეყროპაში და ჩეენშიაც დაღი მოღვაწეობა მიუძლების კმის გათარხნებასა და იმის კაცობრიულის ღირსების აღღვენაში.

2) კა ის შეეძლო თითონ გამოესყიდნა თავი. ესეც შეიძლებას, ბატონში „კას თავი დახსნევინს“²¹¹). თავის გამოხსნაში გლეხი იხდიდა. ხარჯს. ბატონი ართმევდა იმას, რამდენიც ენტებოდა; ხანკი კა იმას იაფად უჯდებოდა გააზატება: საკმარისი იყო მიერთმიათ კეთი ხარი, ან კარგი ცხენი, ან ფულად.

²⁰⁹) რუსეთში ასეთი კრიბა „по смерть господина“ კაგად ცნობილია.

²¹⁰) ვარტ. კან., § 235.

²¹¹) ვარტ. კან., § 260.

რამდენიმე მარჩილი, რომ გათაჭხების წიგნი მიყღო, „მოწმებით დამტკიცებული²¹²⁾.

3) თუ ბატონშა ყმა დაჭრა და უკანასკნელმა ბატონის ყმაზა აღარ ინდომა, ცოლ-შეილით აზატი ხდება; თუ დაჭრილი გლეხი სასიკვდილოდ დაიკრდა, მაშინ იმისი ძეგბი და ნათესავებიც თავისუფლდებიან: ძალა და სახლის კაცები, თუ არ სიკვდილისათვის, გახეიბრებისას უერავინ გამოართმევს²¹³⁾.

4) თუ ბატონი, დაჭრილი თავის ყმის ხელით, არ დაკმაყოფილდა იმით, რომ მან გადიხადა ბატონისთვის სისხლი, და დამჭრელი ყმა ბატონის მიერ დამახინჯებული, ან მოკლულ იქმნა ამ დანაშაულისათვის, მსაჯული კანონით ანთავისუფლება ყმის ოჯახს ყმობისაგან²¹⁴⁾.

5) ყმა, რომლის ქალი გაუპატიურებულ იქმნა ბატონისაგან, ხდება თარხანი ცოლ-შეილით და გადადის სახასო გლეხად²¹⁵⁾.

6) თუ ყმა ტყვეობისაგან თავის დაუძინებელის მეცადინეობით იხსნის თავს, იგი ხდება აზატი²¹⁶⁾;

²¹²⁾ Brosset. Introduction, 82; Кр. гр., 11.

²¹³⁾ ვახტ. კან., § 95.

²¹⁴⁾ ვახტ. კანონები, § 258.

²¹⁵⁾ Кр. гр., 38.

²¹⁶⁾ Обычай при груз. царяхъ, § 62; Кр. гр., 77; Brosset. Introd., 83.

შვილი-კი დაბადებული ტყვეობამდის ჩჩება ბატონის ყმად.

7) თუ ყმამ, ბატონის მიერ დაგირავებულმა ვალში, თავის ხარჯით გადაწყვიტა პატრონის ვალი, თარხანია ბატონისაგან²¹⁷⁾.

8) თუ ბატონი ყმას აწუხებდ, მეტის გარდასა-ხადითა და სამსახურით და მეტის-ჭეტის სთხოვდა, მაშინ ყმა უკანონოდ თარხნებოდა: იპარებოდა სხეის მამულში ხიზნად და შემდეგ, მეფის განკარგულებით, სითარხნე უმტკიცდებოდა²¹⁸⁾.

განთავისუფლებას ყმისას ეწედავთ საბატონო მა-მულისაგან. გააზატებული მაინც უნდა შეჰქარვოდა ვისმე. იმ ღროს აღელვებულს. ცხოვრების ზღვაში არა შეიძლებოდა ხელ-მოკლე კაცი „უპატრონოდ“ დარჩენილიყო. დამიტომ გათარხნებული ყმა შედის ან სახასო, ან საეკკლესიო ყმად თავის სურვი-ლით²¹⁹⁾.

²¹⁷⁾ Кр. гр., 74.

²¹⁸⁾ Кр. гр., 105, 107, 114.

²¹⁹⁾ Церк. гудж., 65; Кр. гр., 41, 45; Brosset.

XI

კანონ-მდებლობა და ჩვეულება²²⁰⁾ აძლევდა ყმას
ბეჭრს გარანტიას, თავდებობითს საბუთებს, რომ ყმის
პიროვნება, ქონება და პატვი კანონით დაცულია
და განსაზღვრულია მოთხოვნილება ბატონისა ყმისა-
გან. ცხოვრებამ ჰუმანურსა და ბრწყინვალე მხარეს
ვახტანგის სამართლისას პირი უპრონა, ოფ-დაუჭე-
რელმა თვით - ნებობამ შემუსრა კაცობრიული შეხე-
დულობა ყმის შესახებ, გააურცელა უკანონო დამო-
კიდებულება ბატონთა და ყმათა შორის და შევი
დლე დაუყენა. ამ თანდათანობით ვაუქმებას ვახტან-
გის რეფორმის უკიდურესის ნაწილისას ხელი შეუწყო
თვით გამოურკვეველმა თვისებამ კანონებისამ, კანო-
ნების მუხლთა ერთმანეთთან შეუფერებლობამა და
გაბათილებამ. როგორც სულ ყველა კოდექსს, ისეც
ვახტანგის სამართლის წიგნს არ შეეძლო, მეტადაც
იმ დროს, წინ-შედევრელობით მიეცა ყველა შემთხვევ-
ფისათვის ჯეროვანი ახსნა და განბჭობა. ამას თვით
განათლებული მეთვე პერძნობს და ამიტომ წინასიტ-
ყვაობაში პარლაპარ აღიარება, რომ უს წიგნი ასრე-

²²⁰⁾ ჩვენს კანონებში, Рис. Правда-ში და Lex Salica-ში ხშირად შეხვდები ისეთს მუხლს, რომელსაც კერძო შემ-
თხვების ხასიათი აქვს და შემდევ გაკანონებულა.

არ დამიწერია, არც ვიჩემებ, რომ არა აკლდეს-რა: ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომ ზოგი უერ მოვიგონეთ და არც მისწელების ვაცის გუნება; უანც მიხედეს რასმე, მარგონოს, ჩაურთოს და ჩა-სწეროს, კარგსა და მართალსა იქს“. „კარგი“-კა საეჭვოა და „აერი“-კი ბევრი მიემატა ვახტანგის კა-ნონებს. პრია თვალსაჩინოდ გეიმტკუცულებენ „ჩვეულე-ბანი, შემოტანილნი ქართევლთ მეფეთა დროს“.

ცხოვრებამა და პრაქტიკამ დიდი ძალა მისა ბატონს ყმაჲელ, იგი გამეფდა ყმის პიროვნებაზე, ქო-ნებასა და შრომაზე. კანონ-მდებლობა ხშირად ავაწ-ყდებოდათ, როცა პრაქტიკა იმის შველას ითხოვდა. მათ შუა შემაერთებელი ძალი გაწყდა და საგრძნობ-ლად შორს დარჩა ერთმანეთზე კანონი და ცხოვ-რება. ვახტანგის კანონით, ბატონს არ შეეძლო ის, რაც მიანიჭა შემდევ ჩვეულებამ. გავაელოთ ლარი შესადარებლად, რის უფლება ეძლეოდა ბატონს „ია-მართლით“ და რის შემძლე იყო იგი პრაქტიკულს ცხოვრებაში:

1) ვახტანგ მეფის დადგინდებით, ბატონს მიენი-ჭება უფლება ყმის დაშინებისა, ანუ დატუქსეისა. ჩვეულებაში არ იქმარა ეს იურისდიქცია და მისცა მას ნება ყმის ჯოხით ცემის²²¹⁾.

²²¹⁾ ვახტანგის კანონები, § 98 და ინიციატივი, § 71. „ცუ-მა არათერია, რაგაში ბატონს ენ დასძრახვს“, არბობს ბრწყინ-

2) ვახტანგმა დაწესა ზომა, დასდო საზღვარი ყმის სამსახურისა ბატონის წინაშე და უკრძალავდა შეეწუხებინათ გლეხი გარდამცტებულის სამსახურით. ცხოვრებამ-კა გლეხს ისე გაუჭირა სიცოცხლე ბატონის ხელში შეხუთულს, რომ შეღავათსა და თავისუფლად ამოსუნთქვას ეძებდა სხვის მამულში და ან მეფისა და ეკკლესიის მფარველობის ჭვეშ²²²).

3) კანონით ტყვეობისაგან თავის მეცადინეობით გამოპარული ტყვე გააზატდებოდა. ჩვეულებამ ესეც ბატონის ნება-ყოფლობაზე მიაგდო: საკმარისი იყო ერთი კვირა ფაეტარებინა აზატ ყმას ბატონის მამულში, რომ თანხნობა დაეკარგა და სამუდამო ყმად დარჩენილიყო. თვით გააზატებულს, ტყვეობისაგან დაბრუნებულს ბატონი არ ანებებდა შეიღებს და მხოლოდ ცოლით შეეძლო ყმა წასულიყო, საცა ჰებაედა²²³).

4) ბატონს არ შეეძლო აეკრძალა ყმისთვის გა-

ვალე თაკადი ლუარსაბ თათქარიძე. „კაცია - ადამიანი?!“ იღ. ჭავჭავაძისა, გვ. 52. ცემა ხშირად სიკვდილამდის იცოდნენ, ერ. გრ., 24.

²²²⁾ ვახტ. კან., § 201 და ერ. გრ., 29. საჩივარი ქურციშვილისა გადამეტებულ სამსახურის გამო ბატონისთვის. იხ. კადევ 49, 54; ცერ. გუდჯ., 35.

²²³⁾ ერ. გრ., 77 და იბიცაი, 62.

დასულა ერთის ბატონისაგან მეორესთან²²⁴⁾). ცხოვრებამ-კი აქაც გლეხი ცარიელზე დასვა და გადასელის ნება მოუსპო. მეათე ნოტა რუსეთსა და საქართველოს შორის დაზებულ ტრაქტატისა ყმის შესახებ გვაუწყებს შემდეგს: „ესრედვე ყავლად ქვეშევრდომებათ წინარებულ ცუკუთ გლეხთათვის საქართველოს-თა, რამელნიცა იმყოფებან საქართველოსა შინათვისსა მეტატონებასა, ორომელთაც გლეხნი იგი ძევ-ლ ადვე მუნებურითა სჯულითა ჟერა განშორდებიან ესრედ, რათა იგინი აიყარნენ მისგან და მიეიღონ ენ მეორესალმი“²²⁵⁾).

5) ეკულესია უკრძალავდა ყმის გასყიდ-გამოს-ყიდვას, ალყბ-მიცემობის საგნად გახდომას, პირუტ-ყვად, უსულო ნივთად გარდაქცეუას²²⁶⁾) (res); ცხოვ-რებამ აჩც აქ დაინდო ყმა და გათანასწორა იგი პირუტყვთან. მეთერთმეტე ნოტა მოხსენებულის ტრაქ-

²²⁴⁾ ვახტ. კან., §§ 199, 200 და 202.

²²⁵⁾ შეად. პლატ. იოსელიანი. ცხოვრება მეფე გიორგი მე-ХIII, გვ. 129.

²²⁶⁾ კათოლიკ. კანონი, § 2. მათის გასყიდვის მაგალითები ნახე: Brosset. Introduction, 82; Кр. гр., 108. რომის იმ- პერიაში აღკრძალა კოლონების უმიწოდვ გასყიდვა კონსტანტინეა 327 წ.; см. Родбергусъ. Извлѣданія національной эко- номіи классической древности, стр. 42.

ტატისა გვაუწყებს შესანიშავს ცწობას: „ესრელვე ეილჩე ამ დრომდე იყო საქართველოსა შინა ჩეეს-ლება, რომელ მუნებურნი შებრუნენი გლეხთა თვის-თა ჰყილნენ ვინ, როგორ, რაოდენსაც ინებებდა და ამის-თვის არა კეთილნებულ იქმებისა, რომელ ესე ვი-თარი მსუბუკელობა აწ დაუენებულ იქმნას, და ებრძა-ნოსთ რათა გასყიდონ არ სხვა ვვარ, თუ არ სახლე-ულობ თ და უძრავის მამულით თვისითა²²⁷⁾. წინაა, როგორც აჩანს, შეეძლოთ გასყიდვა ცალ-ცალკე ოჯახის წევრებისა მამულით, ანუ უმამულობა, ანლა სთხოვენ, ამ სამარტვენო დაჭრობის მოსპობას-კი არა, არამედ უფლებას სყიდვან ყმები სახლეულობითა და მამულით²²⁸⁾.

ყვას, გარდა ამ გაყიდვამოყიდვისა, ქალებს მჰითვადაც²²⁹⁾ აძლევულნენ, აკრეთვე აძლევულნენ აღ-ბულის ვალის სარგებლის სახლელად და დასაგირა-ვებლად²³⁰⁾, ქრთამად და საჩუქრადაც²³¹⁾. თვით

²²⁷⁾ შეად. ცხაკრება მეფე გიორგი მე-XIII. 3. იოსელი-ანი, გვ. 130.

²²⁸⁾ რესეპში პეტრე დიდმა აკრძალა გაუიდვე ცალ-ცალ-კე წევრებისა „по скотски“.

²²⁹⁾ ქრ. გრ., 17, 54, 62.

²³⁰⁾ ქრ. გრ., 12; დვორ. გრ., 43.

²³¹⁾ დვორ. გრ., 45; ქრ. გრ. 81.

გლეხს შეეძლო გლეხის ყიდვა. ამ არეულს, დაუ-
ლაგებელს ცხოვრებაში ყმობა და ყმათა გაცემ-გამო-
ცემა წარმოადგენდა საშინელს სურათს კაცობრიულ
ლირსების დამცირებისას. ყმის აღებ-მიცემობის საგ-
ნად გახდომა ამტკიცებს გონებითა და ზნეობით და-
ცემულობას მაშინდელის საზოგადოებისას²³²⁾.

6) კანონში აუკრძალა ობლების ძალად წაყვანა
სახლში მოსამსახურედ. ვახტანგი სულილობდა ყმის-
თვის პიროვნული უფლება მაინც მიენიჭებინა და იმას
ნებაზედ დაეყენებინა მოახლედ წასელა²³³⁾. ჩეეულე-
ბამ არც ეს უფლება მოაკლო ბატონს. ბატონები
ჰქმარობდნენ ძალას არამც თუ იმათ თავისუფლებაზე
და ძალად მიჰყავდათ მოსამსახურედ ყმის ცოლი და
ქალი, არამედ იმათი გარუცნილობა იქამდის მიღიოდა,
რომ ძალას ხმარობდნენ იმათს დედაკაცურს ნამუს-
ზედ, იმათს წმინდა ლარსებაზე²³⁴⁾. პეტრიაშვილის ორი
გოგო მოიტაცა მოახლედ ანდრონიკაშვილმა და პა-

²³²⁾ Kp. gr., 79. საუკადლებოა, რომ სასულიერო პირ-
ნიც ვერ ასცდნენ ამ გვარ ბატონის უფლებას. შარვაშიძე²³³⁾ სუს-
ტან ბიჭვინტას სწირავს სულის მოსახსენებლად ხუცეს (მაჩქან-
და ჩანგელიას. Brosset. Voyage archeol. R. VIII ტ., 132.
ჩემი გარჩევა ზედწარწერათა, გვ. 89.

²³³⁾ ვახტ. კან., ქ 203.

²³⁴⁾ დასტურლამალი, გვ. 32.

ტიფი აჰეთა მალლატანებით უბედურს გოგოს²³⁵), ზნეობითი სიმტკიცე გლეხებისა იქამდის მიუიღდა, რომ მსუნავ ბატონებს ხშირად არა ნებრებოლნენ რა არჩევლნენ სიკედილს ქალობის შებლალეას. მრეკელის ქალი მესამე სართულიდგან გადმოვარდა, რომელთაქიშვილმა შეიტყუა გასაუპატიურებლად²³⁶).

7) კანონმა მისცა პიროვნული უფლება გლეხს, ბატონს აუკრძალა ძალის ხმარება და ჩვეულებამ, თუნდა ყმა ყელამდის მართალიც ყოფილიყო, ჩამოართვა ბატონზედ ჩაეიღოს უფლება²³⁷)

8) კანონმა მისცა ჭანებრივი უფლება, ცხოვრებამ ფუჭ დადგინებად გახადა და გლეხის საზრიდონო ბატონს სურვილისამებრ გემრიელი ლუკმა მოუჭრა კანონისავე ძალით „ყმისა უველა ბატონისა არის“²³⁸).

საკმარისად სჩანს, როგორ გადაბრუნდა, აღმოიტკვრა კეთილ მხარე ფახტანგის კანონ-მდებლუბასა. ჰუმანიური კვალი იმისი ცხოვრებაში ჯერ ბუუტავდა, მერე გაჰქია და ყმა ჩავარდა, მოექცა ბატონის გა-

²³⁵) Крестъ.. гр., 38.

²³⁶) Кр. гр., 79.

²³⁷⁾ ვახტანგის კან., § 258 და იბყაურა, 71.

²³⁸⁾ ვახტ. კან., § 52; აღბულა, § 78 და ვახტ. კან., § 258. „წართმევა არაფერია, გოგოც ჩემია. და ჩითმერზინიც“, ამბობს დარეჯანი. „კაცია-ადაშიანი?!“ ილია ჭავჭავაძესა, გვ.

ნუკათხველს ტირანიაში. განუსაზღვრელმა და შტკიურ
დაუღვენელმა კანონ-მდებლობამ ხელი მოუმართა ბა-
ტონს, რათა მძიმე უღელი დაედო გლეხისათვის.
მუხლთა ერთმანეთის გაბათილებამ ვახტანგის სამარ-
თალში წაართვა ვახტანგის რეფორმაცია და მოლვა-
წელბას სპეტაკუ შუქი და განაქარწყლა იმისი საუკეთე-
სო დადგინებანი ყმის შესახებ. ერთა მუხლი უარ-
ჰყოფდა იმას, რაც მეორე ადგენდა: ერთი ამბობდა,
რომ „ყმისა უველა ბატონისა არისო“, მეორე აძლევდა
ყმას მემკეიდრეობის უფლებას, სკიდვა-გასკიდვაში
შონაწილუობის მიღების ნებას ვაჭიშვილის პატიონი
ყმა არა ჰყარგავდა მამულს; ყმის მემკეიდრეს გადაე-
ცემოდა მამის სარჩო-საბადებელი იმ პატობით, რომ
ბატონისთვის სამყასური გაეწია²³⁹⁾). თეთრ ჩვეულე-
ბა არ ართმევდა ყმას მოძრავ ქონებას, თუმცა ხელს
აღებინებდა უძრავს მამულზედ, თუნდა, იგი შექენილი
ყოფილიყო საკუთრად ყმის ოფლით. ერთი მუხლი
უბძანებდა ბატონებს, ყმა არ შეეცნობინათ მეტის
გარდასახალით მეორე-კუ, დამყარებული ჩვეულებაზედ

38. შეადარე გერმანელ სენიორის სიტყვები: Er ist mein, ich mag ihn sieden, oder braten.—ის (უმა) ჩემია, მინდა
მოვხარშვა, მინდა შევცნოვა.

²³⁹⁾ ვახტ. კან., § 231 და აღბუღა, § 78.

და კანონად არ-მიღებული, ყმის გასყიდვის ნებასაც აძლევდა²⁴⁰).

ამ გამოურკვეველმა კანონ-მდებლობამ მისცა საშუალება ბატონებს ეთხოვათ სამართალი თავის სასაჩვებლო შუბლთა ძალით. თვით ვახტანგმა იცნა საჭიროდ მიეცა ნება ეხმარათ „სამართლის“ კანონები სურვილისამებრ. „ხოლო ესეცა ჰსცანთ, ამბობს სჯულ-მდებელი: იგულეთ და იგულს-მოდგინეთ და რომელიც გენებოსთ და უმჯობესი გიჩნდესთ, იმით ჰჯიდეთ და მართალსა სამართალსა იქმოდეთ“²⁴¹). ეს სიტყვები დაიხეიეს ხელზედ: „რომელიცა გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ“ და ის-კი დაივიწყეს, რომ ბრძენი კანონ-მდებელი ამ სიტყვებს სწერდა იმ კეთილის აზრით, რომ არაეინ არ დაესაჯათ უბრალოდ, სამართალი არ დაევიწყათ და რაც უჯობდეს საქმეს, ის კანონი მოეხმარათ, ურათა მართალსა საშართალსა იქმოდეთ“. ბატონს, რასაკეირველია, ერჩივნა ეთხუვნა სამართალი მე-258 მუხ. ძალით, რომელიც აღიარებდა: „ყმისა უკელა ბატონისა არის“, ვიდრე იმ

²⁴⁰⁾ აღბულას კან., § 77; Обычай, § 72.

²⁴¹⁾ ვახტ. კან., § 201; Кр. гр., 108; Brosset. Introd., 82; შეად. Адаты. Леоновичъ, გვ. 221.

კაცობრიულის დადგენით, რომელიც ამცნევება „ნუ-
რა კაცი თავის ყმას ნუ შეაწევს“²⁴²⁾ (§ 201).

XII

გლეხი ორ ნაირად ემსახურებოდა ბატონს, იგი
უწევდა ქონებრიესა და პიროვნულს სამსახურს. პირ-
ველი დამყარებული იყო მამულის მფლობელისა და
იმის შემთუშავებელის დამოკიდებულებაზედ, მეორე
დაიბადა ყმის პარად ხელ-ქვეითობიდამ ბატონისადმი
(изъ личной крѣпости и поземельныхъ отно-
шений). Амьс შეგვიძლიან დავუმატოთ სახელმწიფო
გარდასახადი, რომელთა ჩატვე ჩვენ ში ისე აუარე-
ბელი არ იყო, როგორც დასავლეთს ევროპაში.

მიწის მფლობელობის უფლებამ დაადო ყმას
შემდეგი გარდასახადი: 1) დალა (cens), ესე იგი ნა-
წილი მოსავლისა ბატონის სასაჩვებლოდა ლალა გა-
დაკვეთილი არ იყო, ზოგან მეტსა და ზოგან ნაკლებს
ართმევდნენ; იგი იცვლებოდა სხვა-და სხვა გარე-
მოების მიხედვით: 1) ლალა იცვლებოდა მოსავლის
თანხმად, კარგს მოსავალზედ მეტი ლალა იყო მაღ-

²⁴²⁾ ვახტანგის კანონი, შესავალი.

ბული²⁴³); 2) ვის ერთშევოლა ღალა, ძველსა თუ
ახალს ყმას? უკანასკნელს ღალა ნაკლები პქონდა გა-
დაჭრილი²⁴⁴); 3) აფეთქილ-მამულიც მიღებული იყო
მხედველობაში: სარწყავზედ ხუთზედ ერთი ბატონს
ეძლევოდა, ე. ი. ერთი მეხუთედი ($1/5$), ურწყავზედ
შეიძლედ ერთი ($1/7$)²⁴⁵). ხანდახან საერთოდ გადა-
წყვეტილი იყო ღალა: კომლზედ ათ ლიტრიანით ორი
კოდი, ქერი რვა ლიტრიანით ორ კოდ ნახევარი,
ბჟე კომლზედ ერთი ჩარი²⁴⁶). ფეტვიც ერგება ბა-
ტონს. სახასო გლეხს სხევს ღალა სარწყავზედ მეხუ-
თედი, ურწყავზედ მეექვედი²⁴⁷).

2) კულუხი გადაჭრილი არ იყო. „რახაც ბატონი“
ნი შეადგენს, მოსავალზე პკილია“. ხან კულუხი მო-
სავალზედ-კი არ იყო დაზებული, არამედ მაშულზედ:
„უიდს (პამულს) დიდობით და პატარას ცოტნობით“

²⁴³) დასტურ., გვ. 17 და 25. მოსავალზედ შეუძლები,
ან მერვედი.

²⁴⁴) დასტურ., გვ. 11. ღალისაგან ირჩევა ჭადის-ვერი,
საგრანგუში terrage. თევზი. Старый порядокъ и рево-
люція, 320.

²⁴⁵) დასტურ., გვ. 26.

²⁴⁶) ibid, გვ. 44.

²⁴⁷) ib., 45.

შეაწერენ“²⁴⁸). შეიძლებოდა კულუხით მამულისა და
მოსავლის კვალობაზედ არა ყოფილიყო დამოკიდე-
ბული და სამულამოდ გადაეჭრა ბატონს ყმისათვის.
დუტაშვილმა უნდა აძლიოს თავის ბატონს თულა-
შვილს კულუხი მეოთხედი²⁴⁹), ხან კულუხი ნაკლე-
ბი ერთმეოდათ—მეოთხედი-კი არა, ზოგჯერ მეხუ-
თედი იყო ბატონისა²⁵⁰).

3) ნახირის თავის კაბეს დიდი სოფელს ხარი,
შუათანას—ზროხა, პატარას გამოზამთრული, იმის
დაბალს—ცხარი; თუ ერთი კომლია, ორი შაური;
ერთი წელიწადი უნდა შუაზედ გამოვიდეს და მესამე
წელიწადი აიღონ²⁵¹) ნაჩირისათვის. როგორც სჩანს,
სოფელზედ იყო დამოკიდებული, ხან გადაწყვეტილი
იყო კომლთა რიცხვზედ. 20 კომლი თრიალეთზედ
აძლევდა ერთს ძროხას²⁵²).

საბალახე (droit de blairie). „ასზე ბატკნიანი
ცხვარი სამი, ანუ ასზე ორი ცხვარი და ერთი ბატ-
კანი. ცხვარზე ცხვრის საბალახე აიღონ, თხაზედ
თხისა“²⁵³).

²⁴⁸⁾ ib., გვ. 17 და 26.

²⁴⁹⁾ ქრ. გრ., 10.

²⁵⁰⁾ დასტურლამალი, გვ. 26.

²⁵¹⁾ ib., 65.

²⁵²⁾ ცერკ. გუდჯ., 80.

²⁵³⁾ დასტურლ., გვ. 10, 73, La pêche სატრანგეზი.

პირისთავი „ასზედ ერთი საბატონო აილება²⁵⁴⁾, ხან-კი 150 თავზედ ერთი იყო დანიშნული²⁵⁵⁾; კონისთვის. „რაც კონს თევზი მოხვდებოდეს, თორმეტისაგან ათი საბატონო უნდა გადაიდეს“. ესეც ადგილის მიხედვით მატულობდა. ახალდაბას ედო ქრისტეს შობის მაჩხეაში თოთხმეტი გოდორი თევზი და ორი გზა — ბზობასა და ხარებობას²⁵⁶⁾. ფუფურისათვის — რამდენი სკაც მიუბარებია ბატონს, იმდენი ჩარექ ნახევარი სანთელი აწერია²⁵⁷⁾.

პიროვნობით სამსახურში პირზელი ადგილი უნდა დაეთმოს ბეგარას²⁵⁸⁾ — ბატონისთვის მუშაობას. იგი არ იყო გადაწყვეტილი, არ იყო კანონით განმტიცებული, — რამდენი დღე შეუძლიან ბატონს ამუშაოს თავის სასაჩვებლოდ თავისი ყმა; ხშირად იგი ამუშავებდა ყვას იმდენს, რამდენიც სურდა „დასტურლამალი“ ზოგ-ზოგ სოფელს უნიშნავს გადაწყვეტილ ბეგარას: „შულავერში ბატონისათვის ხუთი

²⁵⁴⁾ დასტურ., გვ. 65.

²⁵⁵⁾ ცერქ. გუდჯ., 79.

²⁵⁶⁾ დასტურ., გვ. 43, 120, 125. აეთ კავკაզ. არქ. ვომ., I, 54.

²⁵⁷⁾ ib., გვ. 84. უველა ეს გადასახადი საერთოა ჩეკენში, რუსეთში და ევროპაში.

²⁵⁸⁾ Corvées. მj-XVIII საუკ. გადაწყვეტილი იყო, რამ-

დღე ხენა, ფარცხევა, მორწყვა, მომკა, ზიღვა და ჩა-
მოტანა“, სხვაგან დადებული იყო სამი დღე ხენა,
იმისი მომკა, მოზიღვა, გალეწევა. შემდეგ საერთოდ
დაასკენის „დასტურლამალი“ და განუსაზღვრელ სამსა-
ხურს აწერს ყმას: „ჩაზედაც დაუძახონ, უნდა წავიდ-
ნენ, უარს ვერ იტყვის“. ამას კიდევ ემატება დანი-
შნული მუშაობა: სამი დღე ზვარი იმუშაონ, თავზედ
თითო კონა სარი აძევთ. ყველა სამუშაო გლე-
ნი მიღის თავის ხარ-კამბეჩით, იკვებავს თავს თავისის
ხარჯით²⁵⁹). (ამავე დასტურლამალი არ არის მართვის მიზანი, მაგრამ მას გვიგვილებული არ არის).

(ნუ დაივიწყებთ კიდევ: უჩემის ბატონის მოთ-
ხოვნილებით მირთმევას, ძღვენს — ბატი, ქათამი, კვერც-
ხი, ერბო ფურზედ ჩარექი, ცერცვი, ნიგოზი, ტყლა-
პი, თაფლი, სანთელი, თევზიუ საშობაოდ ცხვარი,
საალდგომოდ ბატკანი, ბატონისა და იმის მოსამსახუ-
რეთა მასპინძლობა²⁶⁰). ყმას ეჭო გალად გზის შენახ-

დენი დღე უნდა ემუშავნათ ბატონისათვის. Токвиль. Старый
порядокъ и революція, 322.

²⁵⁹⁾ დასტურ., გვ. 9, 251. დასავლეულს საქართველოში
ნატურალ გადასახდელს ერქვა საუდიერო. Акты Кавказ.
Археогр. ком., V, 475.

²⁶⁰⁾ Кр. гр., 28, 34; დასტურლ., 7—8, 18, 73,
125—6, 8, 57 და 67.

ვა, გაყვანა, გასწორება. რუს გამოყენა და გაწმენდა ყმის მარჯვენით კეთდებოდა²⁶¹).

ჭირად სელქეებითობაში ბატონისადმი მისაცა დასაწყისი შემდეგ გარდასახადს: ქაჩექმეს, გარდასახადი, ქალწულის გათხოვების გამო. ქალის ბატონს ეძღვევა ექვეის აბაზილამ სამ მანათამდე²⁶²). საჩექმის რაოდენობა, იცელება იმის მიხედვით, თხოვდება ქალი იმ სოფელშივე, თუ სხვის მამულში მიჰყავთ²⁶³). ამ ჯოლების ფარიცელებას ვხედავთ დასავლეთ ევროპაშიაც (droit de formariage) და რუსეთში ხომ სულ ახალი საქმეა იმის ფაუქმება (выводныя денъги). ამ გარდასახადს, თუ ქვრივი თხოვდებოდა, მაშინ სახელი ეცვლებოდა და ერქვა საჭრივო, იგი იყო საჩექმეზედ მეტი. ნეუეს ხუთ მანეთიდგან 50 მანეთამდე უნდა მიერთმია ბატონისათვის²⁶⁴). ბატონს გარდა, რომელსაც „დასტურლამალი“ ხარს უწესებს, ნეფე აძლევდა სამ აბაზს მოურავს, აბაზს ნაცვალს, აბაზს მამასაძლისს²⁶⁵).

²⁶¹) დასტურ., გვ. 22 და 67.

²⁶²) Обычай, § 65.

²⁶³) დასტურლ., გვ. 11, 93; „Юридич. В.“, 1838 წ., XII, 522.

²⁶⁴) Обычай, § 65.

²⁶⁵) დასტურლ., გვ. 10.

გასამურელო დამყარებული იყო გლეხის შეძლება-ზედ. გაამყრელო კარვს გლეხზედ, ვკითხულობთ „დასტურლამალში“: ერთი ცხვარი, ნაცვალს ცხვარი, ვისაც ძროხა გამოუვიდოდეს — აბაზს და ვისაც ცხვა-რი გამოუვიდოდეს — ორს შაურს მისცემდეს²⁶⁶).

სამარხი. ბატონის დასამარხად გლეხი ვალდებუ-ლი იყო შეეტანა თავისი წვლილი, ოფლით ნაშრო-მი და ნაღვაწევი²⁶⁷).

მსახურება — გოგოს მიცემა მოახლედ, თავის გა-ვლა ყმისა მოსამსახურედ ყმას ედო პირდაპირ ვა-ლად²⁶⁸).

სახელმწიფო გარდასახადი ყმისთვის უანგარი-შოდ იყო დადებული. სახასო ყმა იხდიდა ხარჯება მარტო მეფისთვის, საბატონო ორივეს ემსახურებოდა, ხევკლესიო ყმა ორივეზედ უკეთესს მდგომარეობაში იყო შესახებ გარდასახადთა სიმსუბუქისა. საბატონო გლეხი, გარდა პირდაპირ სამსახურისა ბატონისათვის, მოვალე იყო: დაშქარ-ნადირობა მეფისთვის „არც ერთ ირ დაკლების, უნდა ქნას, თუ ხელმწიფემ არ გა-ათარჩნა“²⁶⁹). მეფის სასარგებლოდ ვაუთარხნებლად

²⁶⁶) დასტურ., გვ. 94.

²⁶⁷) ქრ. ერ., 33.

²⁶⁸) დასტურლ., 32, 71; ქრ. ერ., 26, 74.

²⁶⁹) ვახტანგ. კანონები, § 162; ქვ. ერ., 13.

საბატონო ყმას უნდა ეძლია დალაც, საბალახეც, ღორებისა, ცხენებისა და ცხვრების ჰირისთავიც²⁷⁰), მეფის-თვის საქორწილო და სამარხი (აღაპი) უნდა გაელო ბატონის ყმას²⁷¹). მხოლოდ იშვიათი გათარხნება აძლევდა საბატონო ყმებს შეძლებას ემსახურნათ მარტო ბატონისათვის და არ ეწიათ ორ-კეცი გარდასახადი და ორ ნაირი მძიმე ულელი²⁷²).

საბატონო ყმა, როგორც სახასოც, იშვიათად თავისუფლდებოდა ლაშქარ-ნალირობის სამსახურისა-გან, მახრა-საურისაგან და მალისაგან (სათათრო). მალი (სათათრო) სახელმწიფო ხარჯია, გლეხზედ და-დებული ექვსის შაურილგან ექვს აბაზამდე. „ახალი ნა-ქორწილევზედ თავზედ სამი აბაზი, ერთს წელიწაზა უკან, ვკითხულობთ „დასტურლამალში“: ექვსი აბა-ზი“²⁷³).

მალი დაწესა ალექსანდრემ, გიორგი VII შეილმა, ლანგოთემურის საქართველოს მიერ აოხრე-ბის შემდეგ სამშობლოს აღსაშენებლად (ორმოცი თეთრი მალი). 1440 წელს აშენდა ეკკლესიები, მონასტრები, ციხეები და მალი თვითვე გააუქმა-

²⁷⁰⁾ Двор. гр., გვ. 13; Кр. гр., 4.

²⁷¹⁾ Кр. гр., 70.

²⁷²⁾ Кр. гр., 12.

²⁷³⁾ დასტურლ., გვ. 19—20, 85.

მასტა ედოთ მხოლოდ მწყემსს ხალხს (ელთა) თო-
თხმეტი შაური. ელი იხდის აგრეთვე ოდუნახჩას — სა-
ბალახო ფულს ორ შაურს; ნავროზანას (საახალ-
წლოს) ხუთს შაურს და ქოდავს — ხარკს ერთის ად-
გილიგან მეორე ადვილას გადასცლისას ერთს შაურს²⁷⁴).
საური — საკომლო გარდასახადი კომლზეა დადებული.
იგი იყო საერთო გარდასახადი და ერთმეოდა ბოგა-
ნოსაც²⁷⁵). ამდენ ნაირს გარდასახადს ბატონისა და
მეფის სასარგებლოდ უნდა დაემატოს ხარჯი ყმისა
ეკულესისა და მოხელეების შესანახად. საეკულესო
გარდასახადზედ „არ გავონილა, არომ ყმამ“ უარი
სთქვას²⁷⁶). ყმა იხდის ფულით ხარჯს მოხელეთა
შესანახად და თავის შრომით ემსახურება მეფის მო-
ხელეებს. მოურავს ერთი დღე მკა, ერთი ხენა, მისი
მოზიდვა, ლეწვა²⁷⁷). იგი იხდის ადსამწერლოს ორ
შაურს კომლზედ; გასამტეხლოს მოურავისთვის ასაში,
ნაცვლისათვის ორი შაური; ხელმოტეხისთვის ექვესი
შაური, ნაცვალს სამი შაური²⁷⁸). გლეხი ვალდებუ-

²⁷⁴⁾ ib., 46.

²⁷⁵⁾ ib., 97.

²⁷⁶⁾ Kp. gr., 27.

²⁷⁷⁾ დასტურლ., გვ. 78.

²⁷⁸⁾ დასტურლ., გვ. 13, 86; Kp. gr., 80 გასამტეხ-
ლო ხარი და მარჩილი.

ლი იყო შეენახა მდივნები, მუურავები, მამასახლისები თანაშემწებით, ხასადრები, ალმწერლები, ბუქატლები, მეჯოგები, მეძალლეთუხუცესები, მებალეები, ბაზირები, იასაულები, სალარის, ნაზირები, სალთხუცესები და სხვა და სხვა²⁷⁹).

ამას დაუმატეთ არა-პირდაპირი გარდასახადი, რომელიც ერთმევა ყმას (косвенный налог): ბაჟი მარილზედ, ფარჩაზედ, ენდროზედ, თევზზედ, ქონზედ, ერბოზედ, მატყლზედ, ლაზლზედ²⁸⁰). აქ უნდა დაესახელოთ ერთი ფრიად შესანაშნავი გარდასახადი, რომელიც მიღებული იყო მთელს უკროპაში. ბაჟი მამულის გასუიდვისა (lods et vents). როცა მამული გაისყიდვის, თუმანზედ ათი შაურნ²⁸¹). ეს გარდასახადი იმით არის საყურადღებო, რომ იგი ამტკიცებს აზრს, რომელსაც ვადვევარ მე—მამულის უფროს ბატონად ირიცხებოდა მეფე და ბატონი, მფლობელი-კი იმის დროებითა მოსარგებლე იყო, იმის გადაცელაში უნდა გადახდილიყო ბაჟი ბატონის სასარგებლოდ. აი რამდენ ნაირი გარდასახადი შემხვდა გუჯრებში, სიგელებში და აქტებში: სამეფო გამანალები და სათხოვარი, ლალა, კულუხი, ბევრა, კო-

²⁷⁹⁾ Ер. Гр., 29; დასტურლ. 7. 59. 41. მდ. (ავ)

²⁸⁰⁾ დასტურლ., გვ. 26.

²⁸¹⁾ დასტურლ., გვ. 18.

დის პური, საბაზიერო, (სანაცვლო, სამოხელო, ლაშქარ-ნადირობა, გარდასახადი სათავადო, სააზნაურო, საერისთავო, სათათრო, სასპასალარო, სამანდატურთუხუცესო, საეჯიბი (министра двора), ულაყი, საბალახო, კრავი, ყველი, სამეჯინიბო, ბზე, ქერი, აჯილლისა და კერცის მიბარება, ცხენი, ბაჭი და სეფის მუშაობა, მკა, ხვნა, ოფწვა, ნახშირი, ოქრო, ვერცხლი, რკინა, ჰპლენძი, კალა, ტყვია, პირუტყვი, იქინველი, მხალთაგანი, ბალახი, ხე, ქვა, სამასპინძლო, თოვლის ზიდვა, პირისთავი, ნახირთავი, გასამტეხლო²⁸²), ძლვენი, მასპინძლაბა²⁸³), ტომარა, ხალიჩა, აბრეშუმი²⁸⁴), საკმელი, კელეპტარი²⁸⁵), საკარავე, შავარდნის ფასი, ტიკი, საპალნე²⁸⁶). აქ შეგვიძლიან შეეჩერდეთ და მკითხველის სჯაზედ მრავაგდოთ გარჩევა, რამდენად ძეგლი და შეუძლებელი ტვირთი ერთ ჩერებულზე ყმას წარსულში. ეს-კი უნდა დაიხსომოთ, რომ აქ ჩამოთვლილი ხარჯი სრული არ არის, და, კინც მოისურვებს ამ საგნის დაწვრილება.

²⁸²⁾ Церк. гудж., 61, 79, 80.

²⁸³⁾ Кр. гр., 28, 34; Акты Археогр. Ком., I, 30.

²⁸⁴⁾ Церк. гудж., 20, 36.

²⁸⁵⁾ Бакрадзе. Археол. Путешествие, 292; Церк. гудж., 44, 45; Кр. гр., 55.

²⁸⁶⁾ Акты Археогр. Ком., I, 9, 31.

ლებით გაცნობას, კურჩევთ მიჰმართოს Brosset-ს (Introduction, 170—176), რომელსაც ანბანზედ ჩამოთვლილი აქვს 120 გარდასახადი.

XIII

სახასო გლეხის გარდასახადის გასაკრობლად ჩამოვთვლი დაღვის სახელმწიფო კმათა ხარჯს „ბატონი“ სასარგებლოდ. მთელს სოფელში ორაცხებოდა 103 კომლი. ამათ აქვს, ვკითხულობთ „დასტურობალში“: მალი თავზედ შაური ოც-და-ორი; დალა სარწყავზედ პუთზედ ერთი ბატონის, ურწყავზედ შვილზედ ერთი; კუჭუხი შეწერით არის, მამულზე ჰკილია; საშობაოთ ცხვარი 18, სააღდგომოთ ცხვარი 18, ბატონის ზერის მუშაობა, ყოველისაფრით იმათ უნდა შეიმუშაონ; ყარაიაზედ პირველზე კონის ჩადგმა, რამდენიც გუთანი გამოვა; სამაც დღეს ყარაიაზედ ხვნა, იმის მომკა, შეტანა, გალეჭვა; ბატონის აყრაზედ ცხენისა და ურმის თხოვნა; ბატონის წიგნით სტუმრისა და მდგმურის დაუკენება; ბატონის მიბრძანებაზედ შეძლებით სამასპინძლო; საბაზიერო ქათამი, თავალის ქეშიკობა, ბატკანი, სამართლით საბალახე, ცხვრისა და ლორის პირისთავი, შიშლიგი ორასზე ერთი ცხვარი, ნახირის-თავი, ქალაქის სასახლის მუშაობა, მაცხოვის

მისელაზე სამსახური, ქვის ზიდვა, ყარაიას ჯელგა, ბარ-
გის ჩატანა, საური 14 შაური²⁸⁷⁾.

ლაშქარ-ნადირობა, სათათრო მაღი არ არის
მოხსენებული, ეს ისეთი გარდასახადი იყო, რომლისა-
განაც იშვიათად ჰარაზებულების უმანი²⁸⁸⁾. რა-
საკეირველია, სულ ყველას არ ეღო ჩამოთვლილი
ხარჯი, ერთს სოფელს მეტი ხვდებოდა, მეორეს ნაკ-
ლები. ხშირად სახასო, სასეფეო უმანი თავისუფლდე-
ბოდნენ გარდასახადისაგან²⁸⁹⁾. ან სრულებით სულ
ყველა სახელმწიფო გამოსალებისა და ხარჯებაგან.
მეფე თეომურაზმა ასე წმინდად გაათარხნა გიორგი
ნოღარაშვილი განსხვავება საბატონო და სახასო
გლეხთა გარდასახადისა დიდი არ იყო, მხოლოდ პირ-
ველი იხდიდა ბატონისათვისაცა და მეფისათვისაც „ვა-
მოსალებს“, მეორე-კი ემსახურებოდა მხოლოდ შეფე-
ბატონს. განთავისუფლება რაიმე გარდასახადისაგან
სამეფოდ საბატონო ყმებსაც ხვდებოდა: მეფე ალექ-
სანდრემ განათავისუფლა ენისელის მუკურავის უმანი
მაღისაგან²⁹⁰⁾.

²⁸⁷⁾ იხ. „დასტურლამაღი“.

²⁸⁸⁾ ვახტ. კან., § 162.

²⁸⁹⁾ ეპ. ერ., 56. რეს გამოსაყანად არ არშავებენ
რელინის ბრძანებით.

²⁹⁰⁾ ეპ. ერ., 12.

მას შემდეგ, რაც ელი და ბოგანო სახელმწიფო
ფონ „დავთარში“ ჩაეწერნენ, იმათაც დაედო შეფის-
თებს „სათხოეარი“ და გამოსაღები. ბოგანოზე, ვკით-
ხულობთ „დასტურლამალში“: საური ორი შაური,
ძღვენი ბოგანოს არ სძევს, მალი ბოგანოზედ ათი შაუ-
რი. ბოგანო ღარიბი და პატარა მამულის პატრონია.
ამიტომ იმას კიდევ არა ხედება სრული გარდასახადი
(„ძლევნი არ სძევ“). მაინცა და მაინც ბოგანო, წინად
ხარჯისაგან თავისუფალი, მერე გახდა სახელმწიფო
მოხარკედ²⁹¹). ასეთივე დღე დადგა ელს (ნო-
მადს).

ელი „სამს წელიწადში ერთხელ აიწერების“;
კომლზედ სამი აბაზი სამწერლო და ორი შაური
ადამიათისა არის (აღამათი — დროებით ყოფნის გარდა-
სახადი), თორმეტი შაური ობაზედ (გვაროვნობის ნა-
წლზედ), ხუთი აბაზი სამენანდრო²⁹²) (სტუმრების-
თვის გარდასახადი). ელი იხდის ქოდავს ცხეარზე ერთს
შაურს, მასტას 14 შაურს კომლზე, ოდენ სხს (სა-
ბალახო ფულს) ორს შაურს, ნავროზენს 25 კაპ.
მას ადევს ალაჩუხზედ (კარავზედ) ერთი ფლური; რო-
გორც სახასო ყმას, მას დაედო ლაშქარ-ნალირობაც.

²⁹¹⁾ Дв. Гр., 2—3.

²⁹²⁾ დასტურლ., გვ. 73, 97.

ელის ცაცს სძევს ცხენი კუცით და „ეს ქვეითი კაციც ვერა დაკულდების თავის ასაყოლით უფროსით“²⁹⁸).

დაგვრჩა საეკულესიო ყმის გარდასახადის ჩამოთვლა. საეკულესიო ყმას იგივე გარდასახადი ედო, რაც საბატონო და სახასოს, იმ განსხვავებით, რომ მათთვის შავალდებულო არ იყო ხშირად ეხადნათ ბატონისა და მეფისათვის გამოსალები, გარდა მონასტრისა ანუ ეკულესისათვის. საეკულესიო ყმა იხდიდა წინამძღვრისათვის: დალას — მეხუთედს მოსავლისას, ჭულუხს — მესამედს, მუშაონა ეკულესის ენახში, ტივს და სანთელ-ხაკმელს. სწირავდა ტაძარს სულის მოსახსენებლად, საბალახო ცხვარი აღდგომას, ძლვენი — ერბო, კვერცხები, თაფლი²⁹⁴); გისამყრელო, საქვრივო, მოპარულ საზღვეურისა მონასტერს ერგება ოთხი ნაწილი²⁹⁵); ლაშქარ-ნადირობა არც ამათ დაკულდებათ, თუ გათარხნებულნი არ არიან²⁹⁶). საეკულესიო ყმის მდგომარეობას აუმჯობესებდა ის გარემოება, რომ ურიცხვი გამოსალები, რომელიც ხვდებოდა საბატონო და სახასო გლეხს, მას არ ედო ვალად²⁹⁷).

²⁹³⁾ ib., გვ. 75.

²⁹⁴⁾ დასტურლამალი, გვ. 75, 124.

²⁹⁵⁾ Церк. гудж., 98; Акты Археогр. Ком., I, 23—4.

²⁹⁶⁾ Церк. гудж., 72.

²⁹⁷⁾ Церк. гудж., 8, 18, 36. თარხანი ლაშქარ-ნადირობისაგან. იხ. Акты Кавк. Археогр. К., I, 8, 9.

ხშირად ჰნახავთ, რომ საეკულესით ყმა განთავი-
სუფლებულია ყველა სახელმწიფო გარდასახადისაგან,
გარდა ლაშქარ-ნაღირობისა და საურისა მანგლისის
ეკულესია ნაზარ-ალი-ხანმა (1689 წ.) განათავისუფლა
და მოსპოტ ყველა გარდასახადი, რომელიც იმას ყმათ
ედოთ მეფისთვის (ლალა, კოდის პური, საბალახე,
ნახირის თავი, სამეკობროს - მძებნელო, ულაყი, გუ-
თანი, სამეჯინიბო), გარდა ლაშქარ-ნაღირობისა და
ხაურისა²⁹⁸). იშვიათი იუმ ლაშქარ-ნაღირობის გა-
მოსალებისაგან გათაჩხნება, მაგრამ უფრო იშვიათი
იუმ საურის არ გამორთმევა²⁹⁹): რუსის სობოროს
არ ერთმევა საური, გარესჯეს ჯარის-კაცი არ მოეთ-
ხოვება³⁰⁰). ხან დაწვრილებით არის ჩამოთვლილი, რა
ხარჯისაგან ანთავისუფლებს მეფე საეკულესით ყმას,
როგორც ზევით დავასახელეთ აი კიდევ მეფის გიორ-
გის მიცემული გუჯარი, თუ რა გამოსალებისაგან ან-
თავისუფლებს ბალნისის გლეხებს: ლალისგან, მალის-
გან, კულუხისაგან, საბალოხოსაგან, ულაყისაგან, სა-

²⁹⁸⁾ Акты Кавк. Арх. К., I, 23—4; №. კიდევ იქვა I, 30; Церк. гудж., 10, 15, 37, 54, 107, 108. Пл. Иоссе-
ліани. Древности Тифлиса, гр. 215.

²⁹⁹⁾ Акты Кавк. Арх. К., I, 8, 9, 30; Пл. Иосселі-
ани. Ор. с., е. с. № 22.

³⁰⁰⁾ ib., I, 35, 46; Церк. гудж., 7, 56, 105.

მეჯინიბოსაგან (Цер. гудж., 8). ხანუ პირდაპირ
არის მოხსენებული, რომ მეფე ანთავისუფლებს უკე-
ჭა გარდასახადისა და გამოსალებისაგანაო. მეფე ერეკ-
ლემ წმიდა დავითის მონასტრის ყმანი გაათარხნა უვე-
ლა სახელმწიფო ხარჯისაგან. ალექსანდრე მეფემ (1441
წ.) ტფილასისა და მანგლისის ეკკლესიის ყმანი განა-
თავისუფლა სუუკეჭა გარდასახადისაგან (სამუშაო, ძრო-
ხა, სამეჯინიბო და სხვ.)³⁰¹). როგორც უნახეთ, სამ
ნაირი განთავისუფლება შეიძლება საეკკლესიო ყმისა
სამეფო გარდასახადისაგან: ან სუუკელა გარდასახადი-
საგან გამოუკლებლად; ან უკელა გარდასახადისაგან,
გარდა ლაშქარ-ნადირობისა და საურისა; ან განთავი-
სუფლება ლაშქარ-ნადირობისაგან, გარდა საურისა. ამას
უნდა დავუმატოთ ნაწილობითი განთავისუფლება კერძო
რაიზე გამოსალებისაგან: საქალაქო ხარჯი არ ერთმევა, მე-
ფის ბძანებით, გორში პორტაციის მონასტრის უწყბეს³⁰²),

³⁰¹⁾ Двор. гр., 51; Церк. гудж., 13, 69, 96, 103;
Акты Кавк. Арх. К., I, 5—6; Brosset. Introduction, 150.
Пл. Йосселіани. Древности Тифлиса. Грамота царицы
Марии, супруги царя Ростома, данная въ 1637 г. крес-
тьянамъ Сионскаго собора: дали вамъ тарханство и осво-
бодили васъ отъ всѣхъ повинностей (стр. 208) № 7.

³⁰²⁾ Крест. гр., 24.

ანუ გათარხნებულნი არიან ბაჟიღვან გლეხნი წმ. საფლავისა³⁰³). ეს განთავისუფლება სახელმწიფო ხარჯისაგან ხშირად მოხდებოდა სულის შოსახსენებლად. მეფე ერეკლე სწირავს ურბნისის სობოროს ერთს ოჯახს გლეხს, რომ ეპისკოპოსმა წელიწადში ერთხელ ადაბი გაუმართოს. ამისათვის იგი ანთავისუფლებს ყველა გამოსალებრისაგან (ღალისაგან, კოდის პურისაგან, კულუხისაგან, პირისთავებისაგან, სეფეობისაგან, ბეგრისაგან)³⁰⁴). კეთილ-მორჩმუნე მეფენი დროს უნიშნავდნენ ამ წირეისათვეს: დედოფალმა გულშარმა დაუწესა ყმებს ქვათახევის ეკკლესიისას 25 ნოემბერს აღაზის გადახდა³⁰⁵). ვადასთან ერთად უნიშნავდნენ შემწირველნი, რა უნდა შოეტანათ ყმებს აღაპზედ: ორი ცხვარი, ერთი ხარი, სამი კოდი პური, ოთხი კოკა ღვინო, ორი ზურგიელი, ერთი ლიტრა ყველი, ერთი ლიტრა ერბო, ასი კვერცხი, ჩარექი მარილი, ერთი ლიტრა სანთელი და ჩარექი საკმელი.³⁰⁶). დაწვრილე-

³⁰³⁾ ქ. ერ., 51.

³⁰⁴⁾ ცერ. გუჯ., 27.

³⁰⁵⁾ ცერ. გუჯ., 89. ხან ეს დრო იცვლებოდა და 25 ნოემბრის მაგიერად ინიშნებოდა 15 ნოემბერი. ცერ. გუჯ., 15.

³⁰⁶⁾ ცერков. გუჯ., 9. ამ გარდასახადს ხან ემატება, ხან აკლდება: ემატება თევზი, ქათმები. ცერ. გუჯ., 15.

ბით ჩამოთვლილია რიცხვები და რაოდენობა შესაწი-
რავისა. საკვირველია არ არის ასეთი ყურადღება
ეკულესის. მიმართ და სულის ცხონების წადილისა-
თვის. ამ წმინდაზრით იცოცხლა საქართველოშ
საშინელ მაჭმალიანთა ერთა შორის. ამას ის კარგი
მხარე ჰქონდა კადევ, რომ ყმა არა სწუხდებოდა სხვა
გარდასახადით. საკმარისია შეადაროთ გარესჯის მო-
ნასტრის გლეხთა გარდასახადი და აღაპისთვის გაღვ-
ბული ხარჯი, რომ თვალ-საჩინოდ გამოჩედეს უპი-
რატესობა აღაპით მეფის მოხსენებისა იმ ტვირთის
წინაშე, რომელიც ედო გლეხს სახასო და საეკულე-
სიო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

თუ მიეიღებთ მხედველობაში იმასაკ, რომ ეკულე-
სიაც მეფისამებრ ანთავისუულებდა სხვა-და-სხვა გარ-
დასახადისაგან³⁰⁷⁾, მაშინ აშკარა იქნება ის შედარე-
ბითი შედაგათი, რომელიც საეკულესიო ყმას ჰქონდა.
ამიტომაც მიიწევდნენ საბატონო გლეხნი საეკულესიო
მამულზედ. საეკულესიო ყმას, თუ არა ცუდებით,
ხშირად ხაზინაზედაც წაკლები გარდასახადი ხვდებო-
და. ხიზანიბატონისაჭვის იგივე ყმა იყო და ამიტომ

³⁰⁷⁾ ცერ. გუდ. 10. ტახტია ძირის სახერო გლეხების
შამულს თას დღიურს ერთ დღიურად თვით ხერები სწერდნენ,
რომ უფრო ნაკლები გამოერთმიათ გლეხებისათვის. „ივერია“, №
216, 1887 წ., „წერილი ქართლიდამ“.

არაფერში არ აჩეედა დანარჩენ ყმათაგან „დასტურ-ლამალში“ ცკითხულობრივ შემდეგი გარდასახადს, რომელიც დადებული იყო ბატონისათვის ხეზანზედ „ახალ კაცზედ“: ერთ წლამდის თარხანი იყოს, ნურას სთხოვენ. საქვრივო ხარი ბატონს, სამი აბაზი მოურავს, აბაზი ნაცვალს, აბაზი მამასახლისს. საბატონოდ ასზედ ორი ცხვარი, ერთი ბატკანი, ორას-ზედ ერთი შიშლიკი მობალახეს; საბალახეს ცხვარზედ ცხვარს აიღებენ, თხაზე თხას; აყრილის კაცის სახლში რომ სხვა (მოსული) გრიეხა შევიდეს, იმის ნახნავნათვეს ნუ წაართმევენ. ერთი კაცი რომ დაბერებული იყოს და იმისი ორი შეილი მალს იძლეოდნენ, იმ ბერიკაც „დაეთარში“ ნუ ჩავდებენ, მალს ნულარა სთხოვენ. იქავ რომ ერთმანეთში ქუდობა იქნას, შვიდეულად აჩლკევინებდონენ: ერთი-ორად პატრონს, თხი ბატონს და ერთი მოურავს.

გასამურედოდ ეძლეოდა მოურავს ხარი, ნაცვალს აბაზა, მამასახლისსაც აბაზი; ჭერი კომილზედ სამი კოდია, ნაცვალს ერთი; ფურზედ ერთი სტილი ერბო. საჩემე, თუ იმ ქვეყანას გათხოვდეს, მოურავს ექვსი შაური, მამასახლისს აბაზი; თუ სხვას ქვეყანას წაიყვანონ, მოურავს ხუთი აბაზი, მამასახლისს აბაზი. მოურავი როდესაც მივიდეს, მართებულად ძლვენი მიუტანონ. ღვინო ნებით, თორებ ძალით ნუ სთხოვენ. მოურავი კოჯორზე ულავს ნუ სთხოვეს. დალის

ათისთავი, ხასადარის (მეფის საკუთარ მოხელის) რიგიდა სარგო; მოურავს თავის გასამტებლო ხუთი აბაზი, ხელის მოტეხისათვის ექვეში შაური; კბილის ჩაგდებისათვის და ბოჭობის მქნელმან ხუთი შინალთუნი³⁰⁸).

გარდასახადი, როგორც ჰედავთ, არაფრით განირჩევა საბატონო გლეხის გამოსაღებისაგან. თუ ხიზანს არ ერთმევა ულაყი, ეს კიდევ ისეთი საბუთი არ არის, რომ იმის გარდასახადი ვიცნათ შედარებით აღვილ და არა სამძიმო ტვირთად. საბატონო ყმებსაც ანთავისუფლებდა მეფე რაიმე გარდასახადისაგან³⁰⁹).

პირველ შემთხვევით გასაოცარია ამდენის ხარჯის დადება ყმის კისერზედ. შეიძლება ვიტაქროთ, რომ მარტო ჩვენში იყო ასეთს განუკითხველს მდგომარეობაში საბატონო ყმი, მაგრამ ერთის თვალის გადავლება კმარა ევროპის ყმათა გარდასახადზე, რომ ეს აზრი განვაკარგოთ. საშუალო საუკუნეებში გერმანელს, ან ფრანგს ისეთი შემაძრწუნებელი და საზაზლარი სამსახური ედო ბატონისადმი, როგორც *jus primae noctis* (ცფლება პირველის ლამასა, შემ-

³⁰⁸⁾ დასტურლ., გვ. 11.

³⁰⁹⁾ კრ. გრ., 4.

დეგ კუცნაზედ ჩამოხდომილი). არ იყო ჩვენში ასრედ
წოდებული პontaticum (ნიღზე გასასვლელი ხარჯი),
ripaticum (წყლის პირზედ მიმსვლელთა გამოსალე-
ბი), rotaticum (ურემზე მისაცემი ხარჯი); არ გა-
გონილა ჩვენში უფლება bannalités, რომლის თან-
ხმად ბატონს შეეძლო მხოლოდ თითონ წისქვილის
დაბრუნება, აკრძალვა ხელსაფქვავის ხმარებისაც, რომ
უკელას იმის წისქვილში ეფქვა და დადებული მინცი
ეხადნა; droit de banviz—ლვინის გასყიდვის უფლე-
ბა 30—40 დღის განმავლობაში რთვლის შემდეგ
ეძლევა მხოლოდ ბატონს³¹⁰). არ იყო ჩვეულებად
ჩვენში აკრძალვა ტყის ხმარებისა და ნადირობისა.
საფრანგეთში la chasse (ნადირობა), colombiers
(სამტრედეს გამართვა) შეეძლო მხოლოდ ბატონს.
ამას დაუმატეთ კიდევ უანგარიში გარდასახადი: des
fontaines, puits, routoires, etangs, gareunes,
peages, eaux, carpot, servage l'accapte, ანუ
plait à mere, rachalt (relief), ifforage, palvera-
ge³¹¹). საერთო ჩვენში და ევროპაში იყო ბატონ-
უმობის დასაწყისი და მისი განვითარების მსვლელო-

³¹⁰) Тэнъ. Происхождение общественного строя в современной Франции, I, гл. II.

³¹¹) Токвиль. Старый порядок и революция, 318—322; Тэнъ. Opus cit., I, гл. II.

ბა. იგი, როგორც ვსთქვით, დაიწყო ეკონომიურ მიზეზთაგან და შეძლევ გაძლიერდა პოლიტიკურ მიზეზთა წყალობით³¹²⁾). მთავრობა ერთის მხრით ამტკიცებდა მას, რასაც ცხოვრების ჩეცელება აძლევდა ძალას, მეორის მხრით თვით ხელს უწყობდა ბატონიუმობას იმითი, რომ შემოიღო მამულის ყმებით გაცემა, იმით დასაჩუქრება ჯერ დროებით, შემდევ სამულამოდ, საშეილიშვილოდ. ამასთანავე მთავრობა თავის ცდას არ იშურებდა ყმის მდგამარეობა კანონით განეთაზღვრა, დაეცვა იმისი პიროვნული და ქონებრივი უფლება, მაგრამ ეს სპეციალი მხარე კანონმდებლობისა ხშირად უქმად ჩებოდა.

XIV

ურიკო არ იქნება მოკლედ გავიშეორო ისტორია ბატონიუმ აბისა. ჯერ კი ნებას ვითხოვ ერთხელ კიდევ მიუუბრუნდე იმას, თუ რა გაელენა იქნია ბერძენთა კანონებმა ვახტანგის რეფორმაზე. ამის

³¹²⁾ გიზო ფერდალიზმს ჰქონდაკა სამს მოვლენაში; შეერთება მამულობრივი უმაღლესის უფლებისა, გადაქცევა საკუთარის მფლობელობისა პირობის მამულად და დაწესება ვახტალურის იერარქიისა მეფე-პატრიონთა შორის. Histoire de la civilisation en France, III, 28, 29. იგივე აშავი მოხდა ჩეცელი.

ახსნა, ამ ნასკების გამორკვევა გამოგვალგება, როცა
გადავალთ ყმების მდგრამარტობის შეცვლას მიზეზე-
ბის გარჩევაზედ.

ვახტანგ ჭეთის კანონები თავის თავად ორს ნაწი-
ლად განიყოფულა: პირველი მიღის მე-204 მუხლამდე და
შემდეგ იწყება მცორე ნაწილი, რომელსაც წინ უძლვის
ახალი შესავალი, ამ წინასიტყვაობაში ვახტანგი სხვა-
თა შორის ბძანებს: „წიგნები სასამართლონი დიდთა-
სამეფოთანი მოვიძიეთ და მრავლის სასჯელითა ვიდრე
წელთა მეორემდე გადმოვთარგმნეთ და იგინიცა უკ-
ლებლად აგვიწერიეს და არს შემკობელი ყოვლისა
სამართლითა“ ... შესანიშნავია ჯერ ის, რომ ვახტანგ-
მა მე-204 მუხლის წინ გვაცნობა გადმოთარგმნა „დიდ-
თა სამეფოთა სასამართლოთ“. ამის შემდეგ ვახტანგ-
მა 60 მუხლი კიდევ დასწერა³¹³⁾). ამ გადმოთარგმნამ
არ იქნია გავლენა „სამართლის წიგნის“ დასრულე-
ბაზედ? ვვონებთ, რომ ეს გავლენა დაეტყო ვახ-
ტანგის კანონებს და ბევრს ძველს კანონსა და
ჩვეულებას აცვლევინა ფერი და ხასიათი. აღბულას
კანონით აღარებული უფლება, ყმის თავდებად დად-

³¹³⁾ მე-262 მუხლიდან თემურაზის გარიანტში არ არის
დასახელებული, შეიძლება შემდეგ იყოს ჩამატებული ისე,
როგორც ემატება აჯალი მუხლები Lex Salica-s, Iyc. Прав-
да-s და სხვ.

გომა, ვახტანგმა მოსპო. შეგვიძლიან, თუ არა ეს
ცვლილება ავხსნათ ბერძენთა კანონის გავლენით
(§ 153) ვახტანგის § 235-ზედ, რომელზაც აუკრძა-
ლა ყმას თავისებობა? წინანდელი კანონი და მიღე-
ბული ჩეცულება შემდეგშიაც-კი ყმას არ ართმევედ
საკუთრებას. ვახტანგმა ეს უფლება ერთის მუხლით
ამოშალა კანონებიდან და აღიარა დელა-აზრად:
„ყმისა ყველა ბატონისა არის“ (§ 258). ეს მუხლი
დაწერილი ხომ არ არის ბერძენთა კანონების თანა-
ხმად § 166, რომელც ვდაუწყებს: „Онъ (Ерѣпос-
тної) ничего своего не имѣетъ“. თვით სიმარტი-
ვე დადგრებისა ვახტანგისა და ბერძენთა კანონებში
თითქოს გვანიშნება გადმოთარებნას „ყმისა ყველა ბა-
ტონისა არის“. საა „ყმას თავისი არა აქვს-რა“-დან.
ახლა შეორე საბუთ, მიემართავ.

მე ვამბომ, მე-204 მუხლიდან დაიწყო ბერძენ-
თა გავლენა კიდევ იმიტომ, რამ ამ მუხლამზე ვახ-
ტანგი არა ჰქმარობს სოტურა, ნასყიდი ყმა. გადმო-
თარებნილი ხომ არ არის აქაც „ნასყიდი“? ამ მუხლის
შემდეგ არა ერთხელ შეხვდებათ „ნასყ-დს“. ბერძენ-
თა გავლენას უნდა მიეწეროს, ვგონებ, დადგინდება:
შოეჭრას ხელა ყმას, თუ მან სცემს ბატონს, და
ამოეძროს ენა, თუ მან ავინა ბატონს (§ 259). ეს
სასტიკი დასჯა წაბატეა ხომ არ არის ბერძენთა კანო-
ნისა (§ 69 და § 172)? ჩვენის ჩვეულებას კვალიც

არის დაცული ვახტანგის კანონებში: თვით ბატონის მკვლელი. არ ისჯებოდა ისე ბარბაროსულად, როგორც საბერძნებით. იქ სწვამდნენ ბატონის მკვლელს, ჩევნში ყვობას უძლიერებდნენ (ვახტანგის კანონი, § 258).

სამართლის წიგნის ორს ნაწილად გაყოფა და ბერძნთა გავლენა სჩანს კიდევ იქ დგან, რომ ერთს დანაშაულზედ სხვა-და სხვა სასჯელია დანიშნული. ეს აიხსნება სხვა-და-სხვა წყაროს გავლენით — ძევლის ქართულის ჩვეულებითა და ბერძნთა გავლენით⁸¹⁴⁾... მე-43 მუხლი ამბობს: „თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიყოს და ცოლთან საწილათ დაახელოს და მან კაცმან მოკლას (ბატონი)... სისხლი არ გაუჩიდების“. ეს იყო ქართველებში ზნეობითის სიწმიდის დასაცველად აღიარებული კანონი. იმის შეცვლა და გადა-

⁸¹⁴⁾ მეფე ალექსი მიხეილის ძის „Уложение“-ში (1649 წ.) ასეთივე ორ-კეცობა აღმოჩნდა, რაიცა აიხსნება ლიტოვის სტატუტის კეთილის გავლენით. XXI თავი საერთოდ ქურდა უნიშნავს შემდეგს დასჯას: ჯაჯას (пытка), მათრახით (кнутъ) ცემას, მარცხენა უურის მოჭრას, სარჩოს წართმევასა და ბორგოლით უერაინაში გაფრივნას. კერძოდ ფუტკრის მპარავა უდებს სასჯელად მხოლოდ კნუტით ცემასა და ფულით ჯარიმას. См. Объяснение этой аномалии, Владими́рский-Буда́ловъ. Обзоръ исторіи русскаго права, вып. I, 32.

Візантійська імперія вважала себе «домом імператора» та «матер'ю всіх християн». Вона була утворена на землях, які колись належали до Римської імперії. Візантійська імперія була державою, яка складалася з різних етнічних та релігійних груп. Вона мала сложену систему управління, яка включала в себе центральну владу, провінціальну адміністрацію та місцеву владу. Візантійська імперія була державою, яка складалася з різних етнічних та релігійних груп. Вона мала сложену систему управління, яка включала в себе центральну владу, провінціальну адміністрацію та місцеву владу.

Візантійська імперія була державою, яка складалася з різних етнічних та релігійних груп. Вона мала сложену систему управління, яка включала в себе центральну владу, провінціальну адміністрацію та місцеву владу. Візантійська імперія була державою, яка складалася з різних етнічних та релігійних груп. Вона мала сложену систему управління, яка включала в себе центральну владу, провінціальну адміністрацію та місцеву владу.

ბა სახოგადო კოდვად არ არის ცნობილი. მეფე გიორგი-
სა და ალბულას კანონები თითქმის მთლად ს-სხლის
უფლებას ეკუთვნის. მთავრობისათვის საჭიროა იქ-
ნიოს რამე საწყაო სალო გარჩევასთვის³¹⁵) წოდებათა
დასაყოფად. ამისთანა საწყაოდ არის ფასი
სისხლისა: ეიტა სისხლიც მეტი ლირს, ის მაშასადამე
მთავრობის ფალშიაც წარჩინებულია³¹⁶), ჩვენებუ-
რად რომ ვსოდეთ, მაღალის ხარისხის კაცია. Lex
Salica-მ, მავალითად, იცის მხოლოდ პრივილეგია კაც-
თა სისხლის გარდახდასა და მოთხოვნაში, მაგრამ
იქ არ მოიპოვება კვალი შემდეგის არისტოკრა-
ტიისა. მან იცის, რომ სისხლი თავისუფალის კაცისა
ლირს 200 solidi³¹⁷), რომაელის სისხლი-კი 100 sol.
ლირს, ესე იგი იმდენადა ლირს, რამდენადა; ნახევარ
თავისუფალ კაცისა — ლატისა³¹⁸), ანტრუსტიონის
სისხლი-კი 600 sol. ლირს. აქედგან წარმოსდვა უპი-
რატესაბანი ანტრუსტიონისა: იგი არ ისჯება, რო-

³¹⁵⁾ Brunner. Rechtsgeschichte, 220.

³¹⁶⁾ Schulte Lehrbuch der deutsch. Reichs.

³¹⁷⁾ Lex Salica, § 41, 1; ალლემანებში 160 solidi.

³¹⁸⁾ ibid, § 42, 4; § 26, 1. ამდენადვე ლირზა სისხლი
puer regis., § 54, 2. რომაელთ სისხლი, როგორც ძლეულ-
თა, ოჯავლ ნაბლები Wehrgeld (bupa) აქვთ.

გორც მონა (servus), მას ეძლევა პარველი ადგილი მეფის სახახლეში, აქეს სამკეცი სისხლის ფასი³¹⁹⁾ (triple Wehrgeld), რება მონაწილეობას მოხელეთა და ჩიშვნაზი და სხვა. აქ არის დასაწყისი, წოდებათა.

ვახტანგის კანონით გლეხის სისხლი ღირდა 120 მან., მსახურის სისხლი ორჯელ მეტად — 240 მ. და პარველის ხაზისხის თავადის სისხლი 128 ჯერ მეტად, ე. ი. 15,360 მან. ეს სისხლის (Wehrgeld) დაშორება ყმისა და თავადისა ამტკიცებს სრულს განვითარებას ჩვენში სოციალურ წყობილებისას. რუსეთში, „Рус. Правда“ თანხმად, თავადის სისხლი ღირდა 80 გრივნა კუნად და იმის მოჯამაგირისა 5 გრივნად. აქ უფრო ეტყობა გარჩევა სისხლის აწევას წოდებათა შორის, ვადრე ფრანგთა შორის. იქ მხოლოდ ანტრუსტიონის სისხლი საშვერ მეტია თავისუფალის სისხლზედ და ექვსჯერ მეტი ნახევარ თავისუფალისაზედ.

XV

ბატონ-ყმობა, როგორცა ვსთქვათ, ლაპხ. და სამმა ელემენტები: „ნასყიდმა“, „ნაბოძებმ“ და თავის ნებთ ყმად შესულმა. ნასყიდი და ტყვე იყვნენ.

³¹⁹⁾ Deloche. L'Anrustion, 143—4.

პარველი ყმანი ბატონისა, ისინი იყვნენ სრული საკუთრება პატრიანისა, ოფიციალუ ნივთი რამ (res). პირველად იმათ არა აქვთ პიროვნული და ქონებრივი უფლება, შემდევ თავის ნებით ყმად შესულმა გადასცა ეს უფლება „ნაბოძების“ დახმარებით. ყმობა-ში რჩებოდა ვაჭ-გადაუხდელი კაცი, ომელმაც ვერ დაუბრუნა მოვალეს აღებული ვალი: თუ დანიშნულს ვადაზედ არ მისცა ვალი, „დროებითი“ ვალის ამლები ხდება სამუდამო ყმად³²⁰). თავის ნებით ყმად შესვლა იშვიათი არ არის ევროპაშიც³²¹)! იგი წოდებულია პრეკარად და კომენდაციად. პრეკარი ერქვა გადაცემას მამულისა და თავის თავისას ეკულესისათვის, ოფიციალუ ჩვენში იყო, და კომენდაცია შესვლაა შეძლებულის მებატონის მფარველობის ქვეშ. ეს შეფარება საჭირო იყო ხელ-მუკლე და ულონო კაცისათვეს იმ არეულობაში, ომელიც გამოიარა ქვეყანაშ საშუალო საუკუნეებში ამ სამშა ელემენტმა დაპარადა ბატონ ამობა და მთავრობამ იგი განამტკრცა „დავთარში“ ჩაწერათ. მიწის პატრიანი ავის შემდევ გახდა,

³²⁰) მშვენიერი მაგალითი ამისი იხ. კრ. გრ., 26. სამიხა წლის განმავლობაში თუ არ დაუბრუნა ხარჯი, დროებითი მოსამსახურედ მიცემული და გვიცამისა ხდება სამუდამო ყმად ქუთაფელ: ძისა.

³²¹) Կար्बեվ. История крестьянъ во Франціи, 30.

მიწის შემმუშავებელის ბატონადაც, მთაერობის აკენ-
ტადა და წარმომადგენელადაც პროექტიაში.

თითოეულმა ელემენტმა თავის თვისებანი გა-
დასცა რთულს ტიპს ყმას — ნახუიღმა გადასცა უქონ-
ლობა პიროვნულისა და ქონებრივის უფლებისა, ბო-
ძებულმა ეს სასტიკი ჩვეულება შეამცირა და თავის
ნებით ყმად შესულმა მოიტანა ჩვეულება გადასვლი-
სა ერთის ბატონისაგან მეორესთან. გადასვლა შემდევ
გაპარვად გადიქტა³²²⁾: 30 წლით დაჩჩენილი გლეხა-
სხვის მამულში ხდება ახალის ბატონის ყმად. რუსეთ-
ში-კი გლეხი იქმნა დაბმული მიწასთან (ПРИКРЫ-
ПЛЕНИК) და დაჰკარგა უფლება სხვა წოდებაში გადას-
ვლისა (ВЪЧНОСТЬ крестьянства). ჩვენში-კი არა
ერთი მაგალითი ყოფილა ყმის გადასვლისა (ტეტალე
მსახურისა) აზნაურთა ანუ სახულიერო წოდებაში.
დიასამიძემ განათავისუფლა მღვდელი ციციშვილი

³²²⁾ რუსეთში გადასვლის ნება ბორის გოდუნოვმა მისცა
იურივიქ დღეს, უложеніе-მ-კი (XI თავი) აკრძალა სამუდამოდ
და დააბა ყმანი ბატონთან: А будеть кто съ сего государева
уложенія учнетъ бѣглыхъ крестьянъ и бобылей... при-
нимать, тотъ долженъ возвратить безъ урочныхъ лѣтъ изъ
совсѣми животы... и уплатить 10 руб. за годъ. ჩვენში-
ვადად დადებული იყო 30 წელი, ვახტ. კანონი, § 199; რუსეთ-
ში-კი ვადა ამოიკვეთა გაპარულ გლეხების საძებნელად.

ყმობისაგან და დაუკავშირის ეკკლესიაში
მწყემსად (Brossset. Introduction, 115; ср. Адаты,
Леонтическа, стр. 136).

თუმცა ვახტანგის ყმას დაეტყო ბერძენთა გავ-
ლენა და გავრცელდა საერთოდ ყმაზედ ბერძენთა
შეხედულობა, მაინც ჩვენი ყმა დარჩა ბევრად უკე-
თესს მდგომარეობაში, ვიდრე ბერძენთა „ჩასკიდი“
და რუსების ყმა. ჩვენი გლეხი მაინცა და-მაინც არა
ჰყარგავს პიროვნულსა და ქონებრივს უფლებას; იმას
შეუძლიან ბატონის თანხმობით შამულის გაყიდვა,
საკუთრებად შეძენა სამკვიდრო ქონებისა³²³⁾). ჩვენი ყმა
თავისუფლად მოქმედობს, შეუძლიან მოწმად ყოფნა;
შეუძლიან ვალის აღება და იმის გადახდა თავის სარ-
ჩილგან³²⁴⁾.

ბატონს არა ჰქონდა უფლება, წინააღმდევ რუს-
თა მებატონეთა, ყმის სისხლის გასჯისა, იგი იყო
მხოლოდ „შვარველი და პატრონი“. თავის ნებით
ყმად შესული იმ პირობით მაღის ბატონთან, რომ
დაიფაროს იგი და ეყოს პატრონად. ყმას ბატონის თან-
ხმობათ (droit de garde) შეეძლო გადაეცა მიცე-

³²³⁾ Кр. гр., 83. 3, 6, 7, 51, 65; Церк. гудж., 76; Двор. гр., 31.

³²⁴⁾ Обычай, § 10.

მული მამული, არამც თუ ვაკისათვის, ქალისათვისაც-
კი, თუ უკანასკნელი დარჩებოდა საბატონო მამულ-
ზედ³²⁵). ეს ქონებრივი და პიროვნული უფლება გვაძ-
ლებს საბუთს შევადაროთ ჩვენი გლეხი არა რუსების
ყმას, არამედ გერმანელთა ნახევარ თავისუფალ ლი-
ტებსა, ლაცებსა და ალდიებს. ამათ, როგორც ჩვენს
ყმას, ჰქონდათ უფლება მავლოთ სისტლის ფასი, თუმ-
ცა ბატონი იღებდა ერთს ნაწილს თავისთვის (ვახტ.
კან., ს 52). ლიტი ყმა აღარ არის, იგი ნახევარ
თავისუფალი კაცია ჩვენს ყმასავით. ამ მხრივ ჩვენი
ყმა ჰგავს კულონს, რომელსაც ჩვენს ყმასავითა აქვს
ქონებრივი და პიროვნული უფლება³²⁶), მაგრამ ორი-
ვენი მოკლებულნი არიან საკუთარ, შეუცილებელ
მიწას, მათ აქვთ dominium utile (სარგებლობის უფ-
ლება) და აკლიათ dominium directum (ნამდვილი
პირდაპირი უფლება). ჩვენი ყმა კულონზედ ცოტა
მაღლა იდვა, რაღვანაც მა, შეეძლო ბატონის თანხ-
მობით გაეუძნა თავის ნაჭერი მიწა. ეს უფა ება ჩვე-

³²⁵⁾ Кр. Гр., 71.

³²⁶⁾ Происхождение феодализма. Виноградовъ, 83.

ნის ყმისა უახლოებს მას ემუიტევტს საშუალო საუკუნეებში³²⁷⁾.

სრული შედარება ჩვენის ყმებისა კოლონიებთან და ემფიტევტთან უნაყოფო იქნებოდა. სათავედ ამათ ჰქონდათ ეკონომიური დამოკიდებულება ბატონსა და მიწის შემშევებელს. შორის და შემდეგ-კი მიიღეს სხვა-და-სხვა განვითარება აღვილობრივ პოლიტიკურ გარემოებათა ზედმოქმედებით.

1889 წ.

³²⁷⁾ Proudhon. Theorie de la propriété, 118. რომელ გლეხნი იუვნენ მემკვიდრეობითნა მეიჯარადრენი და, გაი გრაკხის კანონით, მათ მიეცათ გასუიდვის უფლებაც, როგორც ჩვენში. Моммсенъ. Исторія Рима, т. II, 87; შეად. Des lois agraires chez les Romains Mace.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

მე-XVII და მე-XVIII საუკუნის ფულის შედარება
ჩვენის დროის ფულთან.

უკელამ ვიცით, რომ საქონელი, საჭმელ. სასმე-
ლი ჩვენს ხსოვნაში გაძვირდა, ფული. კი გაიაფდა.
ბევრს ახსოვს, რომ 1876 წ. გორში ძრობის ხორცი
გირვანქა ერთ შაურად იყიდებოდა, ახლა 7—9 კაპ.
ავიღდა. ამ გვარსავე მოვლენას ეხედავთ პურის გაძვი-
რებაშიაც. თუ ამ მოვლე ხანში ასე შეიცვალა და-
მოკიდებულება ფულისა და საზრდოს ფასებს შორის,
რასაკვირველია, შედარებით წარსულ საუკუნეებთან
ჩვენი ფული უფრო უნდა დაცემულიყო. ამ აზრის
შესამოწმებლად შეგვიძლიან მოვიყვანოთ ის ცინბა-
ნი, რომელნიც შევერჩენია მე-XVII—XVIII საუ-
კუნეებისა.

პურის ფასი სხვა და-სხვა დროს, როგორც ამ-
ბობს პროფესორი კლიუჩევსკი ერთს თავის თხზუ-
ლებაში¹⁾, საუკეთესოდ პატავს ფულის გაიაფების
ისფორიას. ჩვენც პურის ფასი მიემართავთ. ვანტანგ
შეფას კანონებში ვკითხულობთ, რომ კიდი პური

¹⁾ Русский рубль. В. Ключевского.

„შაურ ჩახევრად იქნების, უფრო ძვირად, გინა ია-
ფად“²). გაძვირებაში, გვაუწყებს კანონ-მდებელი:
კოდი პური ლირდა 40—50 კაპ, ან 60 კაპ³).
სამ აბაზად რომ ვამხდარა კოდი პური მეჩეიდმეტე
საუკუნეში, ამას ჰმოწმობს ერთი სიგელი 1672 წ.⁴).
ამ წელიწადს პური გაძვირებულიყო და კოდი ხორ-
ბალი ისყიდებოდა ერთ მარჩილად⁵). ჩვეულებრივი
ფასი პურისა იყო $7\frac{1}{2}$ კაპ. მეტი, ან ნაკლები, გა-
ძვირებაში სამი აბაზი იყო. ვთქვათ, კოდი პური ლი-
რებულა მეტი ან ნაკლები $7\frac{1}{2}$ კ. და ორ შაურად იყი-
დებოდა ორთა შუა რიცხვით. ჩვენს დროში კოდი
პური ლირს 1—2 მან., ორთა შუა რიცხვით 1 მ.
50 კ. თუ მე-XVII საუკუნეში კოდი პური ლირდა
10 კ., ახლა ლარს 1 მ. 50 კ. მაშასადამე, ფული გა-
იაფებულა იმდენჯერ, რამდენჯერაც 150 მეტია
ათზედ, ესე იგი 15 ჯერ ($150:10=15$). ჩვენის
დროის 15 მან. იმდენადვე ჰფასობს, რამდენადაც ამ
ორის საუკუნის წინად ფასობდა ერთი მანეთი. მა-
შინდელი ერთი მანეთი და ეხლანდელი 15 მ. თანა-
სწორია ალებ-მიცემობის წარმოებაში.

²⁾ ვახტანგის კანონები, § 129.

³⁾ ვახტანგის კანონები, § 126.

⁴⁾ ქ. გრ., стр. 6.

⁵⁾ მარჩილი სამი აბაზია. გურიაში სხვა ფასი ედო. ჩახე
Археологіческія путешестввія. Бакрадзе, стр. 297.

მე XVIII საუკუნეში, შედარებით მეჩვიდმეტესთან, ფული გაიაფებოდა და ცოტათი დაუახლოვდებოდა. ჩვენის დროის ფულს ფასობაში. აი რა ცნობები გვაქვს ამის შესახებ. აკადემიკოსი გოლდეშტეტი⁶⁾ მოგზაურობდა საქართველოში 1772 წელს. იმის თხზულებაში ამ მოგზაურობას შესახებ ვპოვ ულობთ გამოსადევ ცნობას ჩვენის ხაკითხის ასახსნელად. ტფილისში იმის დროს ბათმანი პური ღირებულა რეა კაპ. ბათმანი 20 გირვანქა მაშ ერთი გირვანქა ღირებულა $8 : 20 = \frac{2}{5}$ კ. ტფილისში ახლა გირვანქა პური სხვა-სა სხვა ხარისხისა იყიდება 5 კ., 4 კ., $\frac{3}{2}$, 3 კ. ორთა შუა რიცხეით დაახლოვებით გირვანქა პური იყიდება 4 კ., წარსულს საუკუნეშიკი გირვანქა პური იყიდებოდა $\frac{2}{5}$ კ. მაშასადამე, პური გაძვირებულა იმდენჯერ, რამდენჯერაც ოთხი შეტია $\frac{2}{5}$ -ზედ, ესე იგი ათჯერ ($4 : \frac{2}{5} = 10$). წარსულის საუკუნის ერთი კაპ. ოთხჯერ ძვირია ჩვენს კაპ., ასუ ეს უკანასკნელი ოთხჯერ იათია წარსულის საუკუნის კაპეიკზედ ამ საუკუნის პარველ ნახევარში 1829 წ. კოდი პური ღირდა ორი აბაზი⁷⁾, ეხლა ღარს 1 - 2 მან.,

⁶⁾ Гольдешт. Путеш. въ Грузии на Кавказѣ, стр. 271.

⁷⁾ ეს ცნობა ამოვწერე ერთის ჩემის ახლო ნაცნობის თხზულებ-დგან, რომელშიაც 1820 წლიდგან გვხდება ფრიად სა-უკუნადლებო ცნობანი პურისა, შეშისა და ხორავის ფასისა.

ორთა შუა რიცხვით 1 მ 50 კ. შაშასადამე სამო-
ცის წლის განმავლობაში ფული გაიაფებულა იმდენ-
ჯერ, რამდენჯერაც 150 მეტია ორმოცხელ, ესე
იგი ოთხჯერ ($150 : 40 = 3\frac{3}{4}$) (თითქმის ოთხჯერ).

აი ასე იცვალა ფულისა და პურის ფასი. ფული
გაიაფდა, პური გაძვირდა. XVII საუკ. ერთის მანეთით
კაცი შეიძენდა ოხუთმეტჯერ მეტს, ვიღრე ჩვენის
ღროვის ჩუქოვრებს შეუძლიან. მეთერამეტე საუკუნეში
ერთის მანეთით ქარველი იმდენსავე შეიძენდა, რამ-
დენსაც ახლა ათ მანეთად. ავრეთვე პარველ ნახე-
ვარში ამ საუკუნისა ერთი მან. ღირდა ახლანდელს
ოთხ მანეთად, ამ სამის საუკუნის ფულის ისტორია
ამ გვარად შეგვიძლიან გამოვხატოთ $15 : 10 = 4:1$.

ტალკე ამონაწერი

(თბილი ქა-IX თავი შე-165 სხდლით)

ბატონის დედოფლის კარის გელისუფალნი:

- ქ. სახლო-უხუცესი.
- ქ. მანდატურო-უხუცესი.
- ქ. მელარეთ-უხუცესი.
- ქ. მეჯინიბეთ უხუცესი.
- ქ. მწიგნობარნი.
- ქ. ბეჭდის მცვლი.
- ქ. მწერალი.
- ქ. ჩურჩერახი.
- ქ. ძმარეულო-უხუცესი.
- ქ. მეპურეი.


მისის უწმინდესობის კათოლიკოზ პატირიარქის კარის
გელისუფალნი:

- ქ. სახლო-უხუცესი.
- ქ. დეკანოზი დიღისა ეკალესისა მცხეთისა.
- ქ. ჯვარის ტუვირველი.
- ქ. ქადაგი.
- ქ. მელარეთ-უხუცესი, ნაზარიც იგივე არის.
- ქ. ბოქაულო-უხუცესი.
- ქ. ბოჭაულო-უხუცესი.
- ქ. მერიქითვეთ-უხუცესი.
- ქ. ქორეპისკოპოსნი.
- ქ. შესამოსლის მცველი.

- ქ. საწიგნობრის მცველი რომელ არის ვივლოტიკა.
- ქ. მწიგნობართ-უხუცესი,
- ქ. ბედის მცველი.
- ქ. მეჯინიბეთ-უხუცესი.

გელის უფალნი ქართველთა მეფის ქარისა ძველად ენითა
ქართველთა გითარ იწოდებოდნენ და ანუ აშ ვითარით
სასელით იწოდებიან:

- ქ. სპასალარი, სარდალი.
- ქ. აბრამიძი, სახლო-უხუცესი.
- ქ. მონათ-უხუცესი, ყუდარალასი.
- ქ. მანდატურთ-უხუცესი, ეშიკალისაში.
- ქ. მანდატური, სოიბათ იასაული.
- ქ. ბოქაული, ელილაჭი.
- ქ. შაჟელოთ-უხუცესი, მდივანბეგი.
- ქ. დივანი, დივანივე ანუ მწიგნობარი.
- ქ. მწერალი, მუშრიბი.
- ქ. მეჭურჭლეთ-უხუცესი, მელარეთ-უხუცესი.
- ქ. მეჯინიბეთ უხუცესი, მალიხარი.
- ქ. ბაზიერთ-უხუცესი, მინიშვარბაში.
- ქ. ეჯიბი, მეითარი.
- ქ. ეზოს მოძღვარი, ნაზარი.
- ქ. ჩუნჩეჩანი, სუფრაჭი.
- ქ. ჩანჩაგერი, საუფრაქეში.
- ქ. ფარეშთ-უხუცესი, იგივე ფარეშთ-უხუცესი.
- ქ. მესტუმრეთ-უხუცესი, მეჭმანდარი.
- ქ. მეღვინეთ-უხუცესი, იგივე მეღვინეთ-უხუცესი.
- ქ. ხუროთ-მოძღვარი, საირადარი



143/10

